ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდა ამისა, წინა წლების ბიუჯეტების შესრულებების ანგარიშებისგან განსხვავებით, 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დამატებულია პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინებით, რაც იძლევა საშუალებას შეფასდეს ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობა დაგეგმილ ბიუჯეტთან.

2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება. თბილისის ბიუჯეტის შედგენისას გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იქნა, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვის ერთ-ერთი

კომპონენტი. შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშში, ზოგიერთი პროგრამისა და ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ნაწილში გათვალისწინებულია გენდერული ინდიკატორები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2019 წლის გეგმა		2019 წლის საკასო შესრულება (ნაზარდი ჯამით)	
	სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	**1 009 839,6**	**0,0**	**1 101 206,0**	**0,0**
გადასახადები	658 415,2	0,0	708 992,3	0,0
გრანტები	151 149,6	0,0	151 112,1	0,0
სხვა შემოსავლები	200 274,8	0,0	241 101,6	0,0
ხარჯები	**795 205,9**	**0,0**	**710 069,2**	**0,0**
შრომის ანაზღაურება	86 724,0	0,0	86 163,0	0,0
საქონელი და მომსახურება	143 873,6	0,0	137 144,3	0,0
პროცენტი	1 559,7	0,0	1 559,7	0,0
სუბსიდიები	181 802,1	0,0	181 518,1	0,0
გრანტები	1 080,3	0,0	990,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	167 981,7	0,0	167 429,5	0,0
სხვა ხარჯები	212 184,5	0,0	135 264,6	0,0
საოპერაციო სალდო	214 633,7	0,0	391 136,8	0,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**268 232,1**	**4 345,4**	**225 521,1**	**4 345,4**
ზრდა	301 209,0	4 345,4	282 821,3	4 345,4
კლება	32 976,9	0,0	57 300,2	0,0
მთლიანი სალდო	**-53 598,4**	**-4 345,4**	**165 615,7**	**-4 345,4**

ფინანსური აქტივების ცვლილება	**-63 250,3**	**-4 345,4**	**155 964,6**	**-4 345,4**
ზრდა	0,0	0,0	219 734,2	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	219 734,2	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	**63 250,3**	**4 345,4**	**63 769,5**	**4 345,4**
ვალუტა და დეპოზიტები	63 150,3	4 345,4	63 769,0	4 345,4
სესხები	100,0	0,0	0,5	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0

ვალდებულებების ცვლილება	**-9 651,9**	**0,0**	**-9 651,1**	**0,0**
ზრდა	0,0	0,0	0,8	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,8	0,0
საშიანო	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	**9 651,9**	**0,0**	**9 651,9**	**0,0**
საგარეო				
საშიანო	9 651,9	0,0	9 651,9	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 63,085.2 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოსთვის - 220,669.0 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)


დასახელება	2019 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	**1 043 916,5**	**1 160 126,2**	**111,1%**
შემოსავლები	1 009 839,6	1 101 206,0	109,0%
არაფინანსური აქტივების კლება	32 976,9	57 300,2	173,8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	1 100,0	1 619,2	147,2%
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,8	
გადასახდელები	**1 106 066,8**	**1 002 542,4**	**90,6%**
ხარჯები	795 205,9	710 069,2	89,3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	301 209,0	282 821,3	93,9%
ვალდებულებების კლება	9 651,9	9 651,9	100,0%
ნაშთის ცვლილება	**-62 150,3**	**157 583,8 ***	


* **შენიშვნა:** ფულადი სახსრების დაგროვება

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 1,043,916.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,160,126.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 111.1%.

ათასი ლარი






სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:



I შემოსავლები


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1,009,839.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 1,101,206.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 109% და მთლიანი - შემოსულობების 94.9% შეადგინა.




I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 708,992.3 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით (2018 წლის ფაქტი – 249,606.5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 459,385.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც გამოწვეულია 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში აღარ ირიცხება და მათ ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ნაწილდება

დამატებული ღირებულების გადასახადი, ფაქტიურად მიღებულია 497,806.5 ათასი ლარი.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 211,185.8 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 169,338.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 24,301.3 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან - 17,545.9 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან (ფაქტი – 189,851.9 ათასი ლარი) შედარებით 21,333.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის (2018 წელი - 152,709.0 ათასი ლარი).






II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 151,112.1 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები

- 645.5 ათასი ლარი (მათ შორის ევროკავშირიდან მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 150,466.6 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 460.0 ათასი ლარი (გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ-ებიდან და ა(ა)იპ-ებიდან - 6.6 ათასი ლარი (ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვა); სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 150,000.0 ათასი ლარი (მათ შორის: გზების მშენებლობა აღდგენისთვის - 10,904.8 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 5,417.8 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 61,850.7 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის - 471.6 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციისათვის - 1,945.5 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობისათვის (პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ორბელიანის მოედანზე და ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების და მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოები) - 50,000.0 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებებისათვის - 13,376.0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის - 6,033.7 ათასი ლარი). როგორც უკვე ავღნიშნეთ, 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში აღარ ირიცხება.




III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 200,274.8 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 241,101.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 120.4 %-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 209,919.4 ათასი ლარი) შედარებით 31,182.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13,278.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 10,932.6 ათასი ლარი) შედარებით 2,346.3 ათასი ლარით მეტია.

ათასი ლარი




დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 44.4 ათასი ლარი. (მათ შორის: შპს „წყნეთის საქიმო ამბულატორია - 4.1 ათასი ლარი, შპს „თბილისის სისხლის გადასხმის ამბულატორია“ – 18.7 ათასი ლარი, შპს ლილოს სამედიცინო ცენტრის მიერ - 1.1 ათასი ლარი და N19 მოზრდილთა პოლიკლინიკის მიერ - 20.5 ათასი ლარი).

რენტის სახით მობილიზებულია 5,136.6 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 1,819.1 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 3,317.5 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 151,430.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (142,175.0 ათასი ლარი) 106.5%-ია. მათ შორის:

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 74,044.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (74,000.0 ათასი ლარი) 100.1%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 77,868.1 ათასი ლარი) შედარებით 3,823.2 ათასი ლარით ნაკლებია. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 41,908.5 ათასი ლარი (57%), სამორინეს მაგიდიდან - 26,139.6 ათასი ლარი (35%), ხოლო დარჩენილი - 5,996.8 ათასი ლარი (8%) ნაწილდება წამახალისებელ გათამაშებებზე და სხვა სახის ობიექტებზე:



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 48,312.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 47,000.0 ათასი ლარის 102.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 47,420.3 ათასი ლარი) შედარებით 892.4 ათასი ლარით მეტია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 37.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (70.0 ათასი ლარი) 53.2%-ია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 13,180.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,000.0 ათასი ლარი) 131.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 11,854.2 ათასი ლარი) შედარებით 1,325.9 ათასი ლარით მეტია.


სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 14,752.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,850.0 ათასი ლარი) 136%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 13,309.1 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 1,443.8 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებლის აკუმულირების მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (7,331.7 ათასი ლარი) მიმართებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოწვეულია მშენებლობის ნებართვის განაკვეთის ზრდით (2018 წელი - 5,242.6 ათასი ლარი), ასევე, 2018 წელს დაწესდა ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე მოსაკრებელი.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,627.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,900.0 ათასი ლარი) 85.7%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,611.5 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 16.1 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 59,281.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (40,000.0 ათასი ლარი) 148.2%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (38,250.7 ათასი ლარი) შედარებით 21,031.2 ათასი ლარით მეტია, რაც ძირითადად გამოწვეულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამოღებული ჯარიმების ზრდით (2018 წელი - 23,296.6 ათასი


ლარი), მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 40,909.7 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 4,577.8 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 992.7 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 6,492.6 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 761.4 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 681.4 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 4,866.2 ათასი ლარი.

ათასი ლარი




შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10,302.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,549.8 ათასი ლარი) 185.6%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 432.6 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,542.0 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 4,347.8 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 76.6 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 2,318.8 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 1,584.3 ათასი ლარი.

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 57,300.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 25,927.1 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 31,373.1 ათასი ლარი.




ათასი ლარი



<u>ფინანსური აქტივების კლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 1,619.2 ათასი ლარიდან, 1,618.7 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის

დაბრუნება), ხოლო 0,5 ათასი ლარი ასახულია სესხების სახით (ბინათმესაკურეთა ამხანაგობების ფარგლებში გაცემული სესხის დაბრუნება).

ათასი ლარი




<u>ვალდებულებების ზრდის</u> სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.8 ათასი ლარი (შემოსულობა საგარეო ფინანსური ვალდებულებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).


ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2019 წლის **გადასახდელების** შესრულების 91%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7%-ით ნაკლებია და თანხობრივ ჭრილში 2018 წელთან შედარებით დახარჯულია 64,033.6 ათასი ლარით ნაკლები[1].


[1] აუთვისებლობის ძირითადი ნაწილი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებულ სახსრებზე მოდის. აღნიშნული გამოწვეულია იმ მიზეზით რომ საჭირო იყო განსხვავებული ზომის და კატეგორიის ავტობუსების ბაზრის კვლევა, რამაც მოითხოვა დიდი დრო და სატენდერო პროცედურების გაჭიანურება. შესაბამისად არ მოხდა თანხის გადარიცხვა.



ათასი ლარი



ათასი ლარი




2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,106,066.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1,002,542.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.6%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 795,205.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 710,069.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89.3%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 70.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 301,209.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 282,821.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 28.2%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9,651.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9,651.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1%-ია.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 86,724.0 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 86,163.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 12.1%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 143,873.6 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი

შეადგინა 137,144.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.3%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19.3%-ია.

,,პროცენტის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,559.7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა გეგმის 100%-ი, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.2%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 181,802.1 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 181,518.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 25.6%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 112,428.4 ათასი ლარი;
- ხელოვნების სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების და სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები - 1,973.1 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებები 2,889.9 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 53,200.0 ათასი ლარი.

„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,080.3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 990.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.6%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

„გრანტების” მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები და სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად;

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 167,981.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 167,429.5

ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 23.6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:


- კომუნალური სუბსიდირება - 8,027.9 ათასი ლარი;
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში - 36,157.1 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 3,962.3 ათასი ლარი;
- ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) – 7,605.4 ათასი ლარი;
- დაავადებათა სკრინინგი (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტალური, ფარისებრი ჯირკვლის სკრინიგი) – 1,852.2 ათასი ლარი;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 2,882.4 ათასი ლარი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 522.6 ათასი ლარი;
- მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 17,997.2 ათასი ლარი;
- მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) M3 კატეგორიის ავტობუსით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - 62,800.0 ათასი ლარი;
- თბილისის მასშტაბით დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები - 6,269.6 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 2,270.3 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 10,427.7 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება - 3,095.4 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 212,184.5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო ხარჯი გაწეული იქნა 135,264.6 ათასი


ლარის მოცულობით, რაც გეგმის 63.7%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19%-ია.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები - 73,043.5 ათასი ლარი.
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მშენებლობა - აღდგენის ღონისძიებები - 31,370.3 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები - 20,760.4 ათასი ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები - 2,625.3 ათასი ლარი.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 73,726.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (76,168.0 ათასი ლარი) 97%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 7.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 69,569.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (71,569.0 ათასი ლარი) 97%-ია;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1,567.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2,589.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,032.0 ათასი ლარი) 85%-ია.

◙ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1,441.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 468.2 ათასი

ლარი, რაც გეგმის 32%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.05%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ფონდის ხარჯები.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 273,661.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 193,910.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 71%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 19.5%. მათ შორის:

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 191,949.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (271,637.5 ათასი ლარი) 71%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1,961.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,023.6 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 90,563.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 86,402.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.7%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 53,200.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს;

✓ ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა 2,416.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,500.0 ათასი ლარი) 97%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 30,785.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (34,863.4 ათასი ლარი) 88%-ს შეადგენს.

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 237,217.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 233,003.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 23.5%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 106,711.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (107,798.6 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 25,442.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (26,743.9 ათასი ლარი) 95%-ს შეადგენს;

✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 739.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (854.4 ათასი ლარი) 87%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 30,723.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (31,200.0 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

✓ გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 5,977.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,290.1 ათასი ლარი) 95%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 63,408.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (64,330.8 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 55,009.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 54,368.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.5%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 39,355.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (39,981.7 ათასი ლარი) 98%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 15,012.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს.

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 55,123.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 51,078.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.1%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 13,137.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15,193.9 ათასი ლარი) 86%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 31,672.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (33,014.2 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4,078.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,390.1 ათასი ლარი) 93%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2,189.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,524.9 ათასი ლარი) 87%-ს შეადგენს.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 156,498.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 149,713.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.1%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 134,684.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (139,346.8 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს;

✓ პროფესიული განათლების დაფინანსების გეგმამ შეადგინა 172.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (180.0 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსების გეგმამ შეადგინა 133.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (142.2 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 14,723.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (16,829.8 ათასი ლარი) 87%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 150,732.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 150,220.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.1%. მათ შორის:


✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3,160.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,175.0 ათასი ლარი) 99.5%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 458.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (485.4 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 38,521.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (38,586.4 ათასი ლარი) 99.8%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 7,491.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7,557.2 ათასი ლარი) 99%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 100,588.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (100,927.9 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს.




სარეზერვო ფონდი

ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან საანგარიში პერიოდში გამოყოფილი 4,788.7 ათასი ლარიდან გადარიცხულია 4,632.3 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 1,848.4 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 66.1 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 125.9 ათასი ლარი, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა – 322.4 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მიერ მოხმარებული ელეტროენერგიის ღირებულების დავალიანების დასაფარად - 48.4 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ქარი, ძლიერი წვიმა- სეტყვა, აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს და სხა ხარჯები - 2,018.2 ათასი ლარი, სადღესასწაულო დღეებში სასაჩუქრე კალათების შეძენა სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის - 49.5 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა რაიონებში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში დაზიანებული ლიფტების შეძენა-მონტაჟისა და აღდგენის

სამუშაოების ჩასატარებლად - 137.3 ათასი ლარი, ეკლესიების ფინანსური დახმარება - 16.1 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)



ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2019 წელს გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(ლარი)

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ შესრულება (გადარიცხული თანხა)
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (კოდი 01 02 04)				**80 000,00**	**80 000,00**
1	*1-91*	*11.03.2019*	*შპს „სი-ტი პარკთან“ პოტენციური საარბიტრაჟო დავის ჭრილში სამართლებრივი რისკების შეფასების/შემცირებისა და საერთაშორისო დონეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინტერესების დაცვის მიზნით, იურიდიული მომსახურების შესყიდვის განსახორციელებლად*	80 000,00	80 000,00
კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10)				**5 907,56**	**5 907,56**
2	*1-86*	*05.03.2019*	*2019 წლის 16-17 თებერვალს ძლიერი ქარის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად*	5 907,56	5 907,56
კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13)				**28 308,62**	**28 308,62**
3	*1-536*	*23.10.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონში, გედევანიშვილის ქ.№27-ში მდებარე ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებული სახურავისა და სხვადასხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ასანაზღაურებლად*	28 308,62	28 308,62

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული ლარი)
კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16)				**82 472,70**	**81 666,33**
4	*1-192*	*07.05.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონში, გუჯარეთის ქ. II შესახვევი 30-სა და მე-2 მელაანის ქუჩა 14, 16, 18-ს შორის მდებარე საყრდენი კედლის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად*	74 472,70	74 472,70
5	*1-550*	*01.11.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონში, თ. რაზიკაშვილის ქ.№6-ში ტრანსპორტის სავალი გზის დამჭერი საყრდენი კედლის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების მიზნით*	8 000,00	7 193,63
კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19)				**16 079,50**	**16 079,50**
6	*1-435*	*21.08.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შესაძენად*	16 079,50	16 079,50
თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი: 04 08)				**17 480,00**	**17 426,01**
7	*1-143*	*08.04.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით 2019 წლის 29-31 მარტის „თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტისა“ და “თბილისის სტარტაპ ბიუროს“ ერთობლივი პროექტის - იგჩტ აბ-ის პირველ ჰაკათონში მონაწილე სამი გამარჯვებული გუნდის დასაჯილდოებლად*	6 000,00	6 000,00
8	*1-355*	*05.07.2019*	*თბილისში არსებული ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით European Best Destinations – EBD-ს კონკურსზე წარსადგენ ფოტოებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეული ფოტოების ღირებულების ასანაზღაურებლად*	11 480,00	11 426,01
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08)				**53 605,56**	**53 605,56**
9	*1-224*	*22.05.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონში, ატმოსფერული ნალექების შედეგად, გლდანის VI მკ/რ, კორპუსი №14ა-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის მიზნით*	53 605,56	53 605,56
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა ნაძლადევის რაიონში (კოდი 05 01 09)				**46 424,29**	**0,00**
10	*1-563*	*15.11.2019*	*2019 წლის 19 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონში, დ. გურამიშვილის გამზ. №30-ში მდებარე №2 კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზიანებული სამგზავრო და სატვირთო ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსების მიზნით*	46 424,29	
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 013)				**74 000,00**	**74 000,00**
11	*1-384*	*18.07.2019*	*2019 წლის 16 იანვარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩა №8-ში მდებარე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო მომხდარი აფეთქების შედეგად ამორტიზირებული ლიფტების (შეძენა, აღდგენა) მოწყობითი სამუშაოების დაფინანსების მიზნით*	74 000,00	74 000,00
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15)				**4 213,38**	**4 043,12**
12	*1-608*	*02.12.2019*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში, გიორგი მუხაძის ქუჩა №6/2-ში მდებარე კორპუსის სარდაფის სავენტილაციო ღიობების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სარდაფის კედლის სავენტილაციო ღიობების მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების მიზნით*	4 213,38	4 043,12
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17)				**65 339,92**	**63 339,14**

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ შესრულება (გადარიცხული ლიმიტი)
13	1-41	05.02.2019	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონში, ვ. ანჯაფარიძის ქ. 9-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ლიფტის დასამონტაჟებლად ჩასატარებელი სამუშაოების დაფინანსების მიზნით	65 339,92	63 339,14
სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09)				**2 158 529,12**	**2 054 566,36**
14	1-01	04.01.2019	მოქალაქე გრიგოლ მატუაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	50 310,15	50 310,15
15	1-03	08.01.2019	მოქალაქე ეკატერინე მეუნარგიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 356,00	2 356,00
16	1-04	14.01.2019	სეზონური გრიპის შემთხვევებისა და მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის წილის მატებასთან დაკავშირებით, ტერიტორიული ნიშნით შერჩეულ რამდენიმე ამბულატორიულ კლინიკაში პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მიზნით	43 200,00	43 200,00
17	1-06	18.01.2019	მოქალაქე ეთერ კაპანაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
18	1-09	21.01.2019	მოქალაქე ნათია ხარებოვისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	700,00	700,00
19	1-10	21.01.2019	მოქალაქე მაყვალა ცხვარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	30 000,00
20	1-16	21.01.2019	მოქალაქე მარინა ჩხაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	650,00	650,00
21	1-17	21.01.2019	მოქალაქე მამუკა ჩქოტუასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	29 999,99
22	1-19	24.01.2019	მოქალაქე გურამ ანსიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	0,00
23	1-20	24.01.2019	ცნობილი მუსიკოსისა და მომღერლის კონსტანტინე კორძაიას დაკრძალვასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის შეძენისა და სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 630,00	4 630,00
24	1-23	29.01.2019	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონში, 2019 წლის 16 იანვარს, დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩა №8-ში მდებარე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების დროს გარდაცვლილი მოქალაქეების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 495,00	3 495,00
25	1-24	29.01.2019	ცნობილი ჟურნალისტის ლევან ჩხაიძის დაკრძალვისათვის საბურთალოს სასაფლაოზე მიწის ნაკვეთის შეძენის ხარჯების ასანაზღაურებლად	6 000,00	6 000,00
26	1-25	29.01.2019	მოქალაქე ვახტანგ ჩხაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 875,00	1 875,00
27	1-26	29.01.2019	საქართველოს დამსახურებული არტისტის კირა მებუკეს დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად	4 680,00	4 680,00
28	1-27	29.01.2019	მოქალაქე ანდრია ხუფენიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5 310,00	5 310,00
29	1-28	29.01.2019	მოქალაქე მიხეილ გოროზიასათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5 190,00	5 190,00
30	1-29	29.01.2019	მოქალაქე ლევან ახალაიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
31	1-34	30.01.2019	მოქალაქე მიხეილ გოროზიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 312,00	3 312,00
32	1-48	07.02.2019	მოქალაქე სულიკო არქანიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	1 500,00
33	1-49	07.02.2019	მოქალაქე გურამ დოლენჯაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 669,98	1 669,97

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ შესრულება (გადარიცხული ლარი)
34	1-50	07.02.2019	ცნობილი ჟურნალისტის ლევან ჩხაიძის საფლავის კეთილმოწყობის ხარჯების ასანაზღაურებლად	2 030,00	2 030,00
35	1-51	07.02.2019	ცნობილი მხატვრის თემურაზ მაჭავარიანის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	745,00	745,00
36	1-52	07.02.2019	მოქალაქე გიგა ხიმშიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 700,00	2 700,00
37	1-53	07.02.2019	გარდაცვლილი მოქალაქის - კახა ასათიანის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 346,75	1 346,75
38	1-55	12.02.2019	მოქალაქე მედეა ბახტაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
39	1-56	12.02.2019	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონში, 2019 წლის 16 იანვარს, დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩა №8-ში მდებარე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების დროს, მოქალაქე - მინდია ფირანიშვილის გარდაცვლილი ოჯახის წევრების სასაფლაოს მოწყობის ხარჯების ასანაზღაურებლად	12 000,00	12 000,00
40	1-58	12.02.2019	ჰამლეტ გონაშვილის სახელობის №29-ე ხელოვნების სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის მაყვალა ლორთქიფანიძის დაკრძალვასთან დაკავშირებით, ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაწევის მიზნით	500,00	500,00
41	1-62	14.02.2019	მოქალაქე მერაბ სიოროძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	19 999,98
42	1-66	14.02.2019	მოქალაქე ანი ქარქაშაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	731,00	731,00
43	1-67	14.02.2019	მოქალაქე ეთერ გიორგობიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 100,00	1 098,50
44	1-68	14.02.2019	მოქალაქე მაია გოგლიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6 000,00	6 000,00
45	1-69	14.02.2019	საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და კინოს მსახიობის გურანდა გაბუნიას დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 650,00	1 650,00
46	1-71	19.02.2019	მოქალაქე გიორგი გურჯიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	0,00
47	1-72	19.02.2019	მოქალაქე რატი ბარათაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10 000,00	9 999,98
48	1-73	19.02.2019	მოქალაქე აკაკი ალიბეგაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	30 000,00
49	1-75	25.02.2019	მოქალაქე გიორგი კოტარიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 800,00	2 800,00
50	1-76	26.02.2019	მოქალაქე მაია დიასამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5 000,00	5 000,00
51	1-77	26.02.2019	მოქალაქე ბაქარ გიგაურისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 173,25	3 173,25
52	1-83	28.02.2019	მოქალაქე ნათელა ქევხიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	19 999,99
53	1-88	05.03.2019	მოქალაქე გივი იოსელიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 190,00	1 190,00
54	1-93	12.03.2019	მოქალაქე გენად განევისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8 061,60	8 061,60
55	1-94	12.03.2019	21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების დაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება	10 000,00	10 000,00
56	1-96	12.03.2019	მოქალაქე ბესარიონ სოლოღაშვილისათვის სამედიცინო	4 400,00	4 400,00

№	გრანტის №	გრანტის თარიღი	გრანტის შინაარსი	გრანტით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული ლარი)
			მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
57	1-98	15.03.2019	მოქალაქე ნელი სამუკაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	0,00
58	1-100	18.03.2019	მოქალაქე თენგიზ ღუნაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
59	1-101	18.03.2019	მოქალაქე მანანა გორგიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	900,00	900,00
60	1-102	18.03.2019	მოქალაქე დავით ნიკოლაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
61	1-103	18.03.2019	მოქალაქე ნუკა ბილანიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
62	1-105	20.03.2019	მოქალაქე გივი ცერცვაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15 219,50	15 219,50
63	1-113	26.03.2019	1992-1993 წლებში, აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარებული ოჯახების უგზო-უკვლოდ დაკარგული, მოძიებული და ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვენებული 12 ნეშტის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10 725,00	10 725,00
64	1-114	26.03.2019	მოქალაქე ვიქტორია ბალავაძე-ლომსაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 500,00	2 500,00
65	1-115	26.03.2019	მოქალაქე გულიკო კარიაულისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8 000,00	7 999,98
66	1-123	29.03.2019	მოქალაქე ლევან კობახიძისათვის სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტების შეძენა) ხარჯების ასანაზღაურებლად	600,00	599,50
67	1-124	29.03.2019	მოქალაქე მარიამ ბაკურაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 600,00	4 600,00
68	1-131	03.04.2019	მოქალაქე ირინე ხარებაშვილისათვის საზღვარგარეთ ქიმიოთერაპიული მკურნალობის ჩასატარებლად მედიკამენტების შეძენის ხარჯების ასანაზღაურებლად	3 496,09	3 496,09
69	1-136	04.04.2019	მოქალაქე ბაჩანა მარგველაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	29 999,98
70	1-137	04.04.2019	მოქალაქე მაგდა გოგუაძისათვის სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტების შეძენა) ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	20 000,00
71	1-138	08.04.2019	მოქალაქე ჰამლეტ შარაბიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	830,00
72	1-139	08.04.2019	მოქალაქე გურამ ჩუბინიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 417,00	2 417,00
73	1-140	08.04.2019	მოქალაქე ეთერ კაპანაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 000,00	3 000,00
74	1-141	08.04.2019	მოქალაქე ვალერი გოგილაშვილისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 000,00	2 000,00
75	1-142	08.04.2019	მოქალაქე ნიკოლოზ ვაშაკიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 499,50	2 499,50
76	1-147	11.04.2019	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის გურამ ლორთქიფანიძის.დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	230,00	230,00
77	1-148	11.04.2019	ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ნოდარ მგალობლიშვილის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 450,00	1 450,00
78	1-149	11.04.2019	მოქალაქე მიხეილ კალანდაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3 504,00	0,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ შესრულება (გადარიცხული ლარი)
79	1-155	16.04.2019	აფხაზეთიდან დევნილი სხვადასხვა კატეგორიის უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისათვის სააღდგომო სასაჩუქრე კალათების შესაძენა	9 950,00	9 950,00
80	1-157	17.04.2019	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, აკადემიური საბჭოს წევრის, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის დიმიტრი თუმანიშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებით ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაწევის მიზნით	1 000,00	1 000,00
81	1-158	12.04.2019	მოქალაქე არჩილ ქადაგიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	70 000,00	70 000,00
82	1-162	23.04.2019	მოქალაქე დავით მირიანაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტების შეძენა) ხარჯების ასანაზღაურებლად	3 429,00	3 429,00
83	1-163	23.04.2019	მოქალაქე ირაკლი სიამაშვლისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4 300,00	4 300,00
84	1-164	23.04.2019	მოქალაქე ნანა აროშიძისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით	2 500,00	2 500,00
85	1-165	23.04.2019	მოქალაქე მაკა ხოხონიშვილისათვის, ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით	3 000,00	3 000,00
86	1-167	30.04.2019	მოქალაქე რევაზ ფედოროვისათის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	1 500,00
87	1-168	30.04.2019	მოქალაქე მარიამ ქაჯაისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	3 463,48
88	1-174	02.05.2019	მოქალაქე ამირან აბუაშვილისათვისა და მისი მომვლელი პირისთვის, საზღვარგარეთ სარეაბილიტაციო მკურნალობის ჩატარების მიზნით, მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად	5 370,00	5 370,00
89	1-175	02.05.2019	მოქალაქე ელენე სვარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	0,00
90	1-176	02.05.2019	მოქალაქე თენგიზ გრძელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 250,00	1 250,00
91	1-177	02.05.2019	მოქალაქე ალექსანდრე კირაკოზოვისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 154,00	1 154,00
92	1-178	02.05.2019	მოქალაქე დემურ ყურაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	875,00	875,00
93	1-179	02.05.2019	მოქალაქე ზურაბ შალამბერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 376,00	2 376,00
94	1-180	02.05.2019	მოქალაქე მარიამ არველაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 770,00	1 770,00
95	1-183	06.05.2019	პროექტის „მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბავშვების დასვენება ცემში“ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი ჩემი სახლისათვის“	8 600,00	8 600,00
96	1-184	06.05.2019	მოქალაქე თამარ გასვიანისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით	4 000,00	4 000,00
97	1-190	07.05.2019	მოქალაქე გულნარა კომლაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	900,00	821,00
98	1-191	07.05.2019	მოქალაქე ლუკა დგებუაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 355,00	1 355,00
99	1-193	07.05.2019	2019 წლის 3 მაისს, ქალაქ თბილისში მეტროსადგურში „სარაჭიშვილი“ ტრაგიკული შემთვევის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქე გიორგი ბადალაშვილის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება	3 130,00	3 130,00
100	1-194	07.05.2019	მოქალაქე ილია ბეკოშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ჩატარების მიზნით, მგზავრობის ხარჯების	10 302,00	10 302,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ შესრულება (გადარიცხული ლარი)
			ასანაზღაურებლად		
101	1-199	10.05.2019	მოქალაქე ნოდარ ექვთიმიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 500,00	1 500,00
102	1-200	10.05.2019	მოქალაქე სესილი ჭურღულიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	923,00	923,00
103	1-207	15.05.2019	მოქალაქე გურანდა კუტალაძისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით	1 500,00	1 500,00
104	1-208	15.05.2019	მოქალაქე დავით ძასოხოვისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 118,75	2 118,75
105	1-209	15.05.2019	მოქალაქე ნინო ბერძენიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 385,00	2 385,00
106	1-210	15.05.2019	მოქალაქე რევაზ ბაბაიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 930,00	1 930,00
107	1-211	15.05.2019	მოქალაქე თორნიკე ნინუასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	990,00
108	1-212	15.05.2019	მოქალაქე გიორგი ჩიტაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20 000,00	20 000,00
109	1-213	15.05.2019	მოქალაქე დავით გოჩაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30 000,00	29 999,99
110	1-214	15.05.2019	მოქალაქე ირაკლი სიჭინავასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10 000,00	9 999,99
111	1-218	16.05.2019	მოქალაქე ნიკოლოზ მაზანაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 886,00	1 886,00
112	1-219	16.05.2019	მოქალაქე თინა ღამბარაშვილისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 816,15	1 816,15
113	1-221	22.05.2019	მოქალაქე გელა დვალიშვილისათვის ამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 928,80	2 900,00
114	1-222	22.05.2019	მოქალაქე ქეთევან მელაძისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით,	1 500,00	1 500,00
115	1-223	22.05.2019	მოქალაქე თეიმურაზ თვალაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	13 878,00	13 878,00
116	1-227	22.05.2019	მოქალაქე ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2 321,56	2 321,55
117	1-228	22.05.2019	მოქალაქე ზაზა თოლორდავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
118	1-231	22.05.2019	მოქალაქე ქრისტინა მოდებაძისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით,	5 000,00	5 000,00
119	1-233	22.05.2019	მოქალაქე ირაკლი ჩიკვაიძისათვის სამედიცინო მომსახურების (ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია) ხარჯების ასანაზღაურებლად	600,00	550,00
120	1-235	22.05.2019	მოქალაქე ლერა შეყილაძისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით,	2 250,00	2 250,00
121	1-236	22.05.2019	მოქალაქე ნადეჟდა სიანოზოვასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 100,00	1 100,00
122	1-237	22.05.2019	საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ღირსების ორდენის კავალერის ამირან სხიერელის დაკრძალვასთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთის შეძენის ხარჯების ასანაზღაურებლად	5 500,00	5 500,00
123	1-238	22.05.2019	მოქალაქე ირაკლი ქუთელიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 000,00	1 000,00
124	1-241	27.05.2019	მოქალაქე ქეთევან დაუთაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	794,29	794,29
125	1-243	27.05.2019	ავტოკატასტროფის შედეგად გარდაცვლილი, ა(ა)იპ ქ.თბილისის	4 000,00	4 000,00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	სულ შესრულება (გადარიცხულ ლარში)
			მერიის ა.მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის „ბიჭუნათა კაპელას'' მოსწავლის გიორგი დეკანოიძის დაკრძალვასთან დაკავშირებით, ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით		
126	1-244	27.05.2019	მოქალაქე ნიკა ალოევისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1 189,75	1 189,75
განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 14,688.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,970.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა. თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: ღამბაშიძის ქუჩა #3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; კრწანისის ქუჩა 3, კორპ. 2-ს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (დასრულდა); ზემო ფონიჭალა N3-ში (კორპუსი N23) მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინმსწრებ-დამზღვევი სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზ/პ. N12-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩის მე-VI შესახვევში მდებარე №9 ავარიული საცხოვრებელი კორპუსის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; პეკინის გამზ. №24-24ა ავარიული კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების III ეტაპის დარჩენილი სამუშაოები; ავთანდილის ქუჩა №8-ში გაწმენდითი და

სადემონტაჟო სამუშაოების, ასევე ავთანდილის ქუჩა №1, №3, №6, და ვეფხისტყაოსნის ქუჩა №56-ში დაზიანებული მეტალო- პლასტმასის ფანჯრების აღდგენითი სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩა N19ა-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვაზისუბნის მე-3 მრ. მე-2 კვარტ. კორპ. №17-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; კოსტავას ქუჩა №75, მე-3 სადარბაზოს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ნუცუბიძის ქუჩა №2 გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ფალიაშვილის გამზირი №39 ბ-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაშლიჯვრის დასახლება N14-ა-ში მდებარე კორპუსის ლოკალურად დაზიანებული ზონების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; კახეთის გზტკეცილის N17-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება გაძლიერების სამუშაოები; თამარ მეფის N32 შენობის ძლიერ დაზიანებული აივნების ავარიული ფრაგმენტების დემონტაჟის სამუშაოები; თამარ მეფის N27 შენობის ფასადზე ძლიერ დაზიანებული ნალესების დემონტაჟის სამუშაოები; გამრეკელის ქ.N12-თან ავარიული კედლის სადემონტაჟო სამუშაოები; მოსკოვის გამზ. მეხუთე კვარტალი N9 კორპუსის ლოკალურად ძლიერად დაზიანებული ზონების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; დ. აღმაშენებლის გამზირი N89/24 მდებარე შენობის სხურავის 510კვ.მ სარემონტო სამუშაოები; გურამიშვილის გამზ. N50-ის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების მეორე ეტაპი; ვარკეთილის III მასივი, ქემო პლატო კორპუსი N43ბ გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; სამგორის დასახლება N27-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება- გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის 3 მას, მე-7 კვ. N6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები;ლომთათიძის ქN4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები;ქიზიყის ქN11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვარკეთილის 3 მას, მე-6კვ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; მოსკოვის გამზ. მე-4 კვ. N5 მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვარკეთილის 3 მასივი ზ/პ, N43ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვარკეთილის 3, 3ა

მიკრო, N320-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვარკეთილის 3, მე-4 მ/რ კორპუსი N403-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის 3, მეორე მიკრო, N7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; კახეთილს გზატკეცილი, რკინიგზის ბინა კორპუსი N3ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვარკეთილის 3 მ/რ პირველი მიკრო კორპუსი N35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; იოსებიძის ქ. N72ბ-ში მდებარე 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ქინძმარაული მე-2 შესახვევი კორპუსი N2ა-ს აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; მოსკოვის გამზ. N7-ში მდებარე ავარიული კორპუსი N1-ის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ვარკეთილის 3, პირველი მ/რ კორპუსი N25-ის და N32 -ს აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; ცისკარიშვილის ქუჩა N 2ა-ში მდებარე ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; პეკინის გამზირი N29/ანა კალანდაძის 7ა-ში მდებარე 5 სართულიანი შენობის ავარიული ფრაგმენტების დემონტაჟის სამუშაოები; პეკინის გამზირი N20-ში მდებარე ავარიული კონსტრუქციული ნაწილის გამაგრება- გაძლიერების სამუშაოები; დიღმის მასივი IV კვარტალი N4 და N5 კორპუსების სადემონტაჟო და აღდგენა გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ვაზისუბნის მე-3 მ/რ პირველი კვარტალი კორპუსი N2-ის პირველ და მეორე სართულზე 2 მსხვილი საკედლე ბლოკის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; გლდანის მე-7 მ/რ კორპუსი N20 ძლიერ დაზიანებული ლიფტის შახტის კედლის გამაგრება- გაძლიერების სამუშაოები; პეკინის ქუჩა N2-ში მდებარე კორპუსის მე-6 სადარბაზოსთან დაიზნებული კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები; ს.ჩიქოვანის ქუჩაზე N38-ში მდებარე კორპუსის მეორე სადარბაზოს 16 სართულის დაზიანებული მინა-ბლოკის სადემონტაჟო და ძლიერ დაზიანებული აივნის კონსტრუქციების გამაგრება-აღდგენის სამუშაოები; ქინძმარაულის შესახვევი N25-ში მდებარე შენობის სადეფორმაციო ნაკერში რკინა-ბეტონის დაზიანებული კონსტრუქციის დემონტაჟის სამუშაოები; ლიბანის ქუჩაზე N5-ში მდებარე ავარიული შენობის დაზიანებული ფრაგმენტების

სადემონტაჟო სამუშაოები; კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ბინა, კორპ. №3ა გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: კახეთის გზატკეცილი N7-ში მდებარე მდებარე საცხოვრებელი სახლის წინსმწრებ დამზღვევი სამუშაოები, საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; დ.გურამიშვილის გამზირზი N30 კორპუსი N2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინსმწრებ დამზღვევი სამუშაოები, საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვარკეთილის 3, 4მ/რ კორპ N13-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინსმწრებ დამზღვევი საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონში ვარკეთილი-3, 3ა მ/რ კორპ N322-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინსმწრებ დამზღვევი საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები; თევდორე მღვდლის ქუჩა N38-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინმსწრებ-დამზღვევი საპროექტო მომსახურებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: წინა წლებში აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობა - ნაგებობების რაოდენობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 51 შენობა-ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი: გამაგრება-გაძილიერების სამუშაოები ჩაუტარდა 49 შენობა-ნაგებობას.

02 03 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 5,816.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,566.5 ათასი ლარის 95.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცა და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 911.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 700.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 76.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: მთაწმინდის რაიონში, თამარ მეფის ქუჩის (სოფ. ტაბახმელადან მარნეულის გზატკეცილამდე) აღდგენა-რეაბილიტაცია; ისნის რაიონში, დავითაიას ქუჩისა და მთისძირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობის სამუშაოები; დავით აღმაშენებლის ხეივნის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანის რაიონში, ხევძმარას ხევის კოლექტორის მონაკვეთის (დაზიანებული მონაკვეთის მომიჯნავედ) სარეაბილიტაციო სამუშაოები; საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე N83-ის მიმდებარედ არსებული N50 შახტის გადახურვის სამუშაოები; სამგორის რაიონში, კაიროს დასახლების ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ზემოფონიჭალა N3-ში (კორპუსი 23) მდებარე მარავალსართულიანი საცხოვრელებელი კორპუსის წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან გალაქტიონ ტაბიძის ხიდზე ასასვლელი პანდუსის მოწყობა; სამგორის რაიონში, სამხედრო დასახლების შიდა გზების მოწყობის სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოები; მდინარე მტკვარზე, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის კვლევა-პროექტირების (ტექნიკურ-ეკონომიური კვლევა, საინჟინრო გადაწყვეტა და საავტორო ზედამხედველობა) მომსახურება; ჩუღურეთის რაიონში, თამარ მეფის სახელობის ხიდის მიმდებარედ არსებული კიბის რებილიტაციის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში, კოსტავას ქუჩის #54-თან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის კვლევის და პროექტირების სამუშაოები; რუსთაველის გამზირის N8-ში მდებარე პარლამენტის შენობის წინ მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები; ვაკის რაიონში, თამარაშვილის ქუჩაზე და რუსთავის გზატკეცილიდან ზემო ფონიჭალისაკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ ქვათაცვენის

უბნების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოები; ვ. ბარნოვის ქუჩაზე მდებარე ხიდი-გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-სთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საჭირო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - საჭირეობისამებრ მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2019 წლის გეგმა - 4,904.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,865.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით; ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხარჯები. მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა ზედამხედველობა განხორციელდა 1457 ობიექტზე. აქედან; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 386, გამგეობების ობიექტი – 1071;

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 470, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 755 კერნი, ბეტონის ნიმუში - 250 კვლევა.

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 251 ობიექტზე, აქედან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 49, გამგეობების ობიექტი – 202.

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 936 ობიექტზე, აქედან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 111, გამგეობების ობიექტი – 230, კეთილმოწყობის საქალაქო სამუშაოები - 546, სტიქია - 49;.

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 695 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 1447 ობიექტზე. აქედან სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 1263, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 184.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 10 დღე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - კვლევის პერიოდის შემცირება 5 დღემდე.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 31,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 30,723.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება; კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობას (ექსპლოატაციას) უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს, ახორციელებს საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს. მიმდინარე პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 129 943 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 115 620 სანათი, მხატვრული მინათება – 14 323 სანათი. ასევე, მიმდინარე პერიოდში დამონტაჟდა 403 განათების ბოძი და 419 ახალი სანათი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს ექსპლოატაცია გაეწია 124 502 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 110 697 სანათი, მხატვრული მინათება – 13 805 სანათი;

დაგეგმილი მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწევა 129 943 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 115 620 სანათი, მხატვრული მინათება – 14 323 სანათი;

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 2,500.0 ათასი ლარი დაფინანსდა 2,416.8 ათასი ლარით. გეგმის 96.7%.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად და სანიაღვრე კოლექტორში გავლით 200 კმ); სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და არასტანდარტული ჭების გაწმენდა – 26000ც; კიუვეტების გაწმენდა – 28600 გრძ.მ.; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გადამაერთებელი ქსელების მექანიკური დამუშავება - 7000 გრძ.მ.; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც.ტექნიკის გამოყენებით – 99000 გრძ.მ.; დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების და ყრუ ხუფების შეცვლა – 644ც.; სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემების აღდგენა, მოწყობა - 464ც (მ/შ: სანიაღვრე ჭების შეკეთება - 240ც; თუჯის ოთხკუთხა ჩარჩო - 85ც; გვერდმიმღების ჩარჩო - 20ც; რ/ბ ჭის რგოლი დ=1000მმ - 19ც; რ/ბ ფილა (თუჯის ჩარჩო ხუფით) – 65ც; ახალი ჭების მოწყობა (თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) - 35ც).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2019 წლის გეგმა - 9,042.1 ათასი ლარი დაფინანსდა 8,639.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა; სხვადასხვა ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა; ახალი ობიექტები, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლები; ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა კულტურულ სივრცეში და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საახალწლო, 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, თბილისობის აღსანიშნავი ღონისძიებები; სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და დაბრენდილი დროშების შესყიდვა; საკონცერტო და ღონისძიებებისათვის საჭირო მონიტორებით, სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, გახმოვანების საკონცერტო აპარატურით, პროფესიონალური გახმოვანების საკონცერტო აპარატურით, სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიორებით, კოშკებით, დეკორაციებით ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით მომსახურება; ღონისძიებების ელექტროფიცირება და წყალმომარაგებისთვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფა; ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარით (გამათბობელი, გენერატორი), ქალაქგაფორმებითი დეკორაციებით მომსახურება; სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და თაიგულებით მომსახურება; სხვადასხვა ტიპის ნაბეჭდი ბანერების შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი-დემონტაჟი); სხვადასხვა ტიპის წებოვანი ფირების (სტიკერი) შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - გაკვრა-ჩამოხსნა); დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, შემზღუდავი ჯებირების მოწყობა და ალაგება, კარვების მოწყობისა და რეცხვის მომსახურება, ბიოტუალეტებით მომსახურება; მარტივი ტიპის ჯებირების შესყიდვა; მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი; საახალწლო ილუმინაციების ექსპლოატაცია, მონტაჟი-დემონტაჟი, აღდგენა;

ძეგლების მშენებლობის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა: კახეთის გზატკეცილზე მდებარე ‘’ადამიანი მზე’’ მონუმენტის აღდგენა - რესტავრაციის მომსახურება, სკვერში მდებარე ‘’სოფიკო ჭიაურელის’’ სკულპტურული კომპოზიციის მომსახურება, დანტე ალიგიერის ბიუსტის მოწყობა, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების ხსოვნის მემორიალის (სკულპტურა „მერანი“)

განსათავსებლად კვარცხლბეკის სამშენებლო სამუშაოები, იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის დამზადება და განთავსება, ვერიკო ანჯაფარიძის სკულპტურული კომპოზიციის (ბარელიეფის) დამზადება და განთავსება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებას საშუალოდ 5000 ადამიანი ესწრება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის ზრდა - 8000 ადამიანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრე - 8330 ადამიანი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებაზე დაახლოებით 200 განცხადება შემოდის, რომლის 25% დაკმაყოფილებულია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაკმაყოფილებული განაცხადების 50%-მდე გაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ტიპის ტექნიკური აღჭურვილობით მომსახურების ხარისხის კონტროლი, ჩატარებული ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ყველა ჩატარებული ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაიდგა 1 ახალი ძეგლი, განთავსდა 5 მემორიალური დაფა, რესტავრაცია ჩატარდა 1 ძეგლზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3 ძეგლის გახსნა და 1-ის რესტავრაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - გაიხსნა 1 სკულპტურული კომპოზიცია, რესტავრაცია ჩაუტარდა 1 ძეგლს და 1 სკულპტურულ კომპოზიციას, დამონტაჟდა 7 მემორიალური დაფა, დაწყებულია დიდუბის და მთაწმინდის პანთეონებში არსებული საფლავების აღდგენა-რეაბილიტაციისა და ქვის კონსერვაციის მოსამზადებელი სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევი კონკურსის ჩაშლა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში ხელოვნების სფეროს დაახლოებით 700-დე ცნობილი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას (მომღერალი, მსახიობი, მოცეკვავე, რეჟისორი, დირიჟორი და ა.შ.).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში რაოდენობის ზრდა - 1000 ხელოვანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებებში ჩართული - 950 ხელოვანი.

6.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მინიმუმ 150 დამწყებ ხელოვანს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს მერიის მიერ განხორციელებულ და მხარდაჭერილ ღონისძიებებში და წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება, ხელნაკეთი ნივთები და სხვა პროდუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამწყები ხელოვანების რაოდენობის ზრდა - 250 ხელოვანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებებში ჩართული 240 დამწყები ხელოვანი.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 59,807.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 60,419.3 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 12,730.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 12,621.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან; ქალაქის იერსახის გალამაზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: „მშვიდობის ხიდი“-ს მოვლა-პატრონობა; გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი); კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; შადრევნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; თბილისის მასშტაბით დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენის სამუშაოები; თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - წინა პერიოდში განხორციელებული სხვადასხვა სახის სამუშაოები: მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2019 წელს განხორციელდება სხვადასხვა სახის სამუშაოები: მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა 3077 კვ.მ ქვაფენილი და 1050 გრძ/მ ლითონის მოაჯირი.

მიღწეული მაჩვენებელი: განხორციელდა მშვიდობის ხიდის, გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 28 500 კვ.მ ქვაფენილი და 950 გრძ/მ ლითონის მოაჯირი.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2019 წლის გეგმა - 162.4 ათასი ლარი დაფინანსდა 127.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 78.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 400.5 კვ.მ კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (მონოლითური გადახურვით); 120 კვ.მ შენობა-ნაგებობების არამონოლითური და არაბეტონის ფილით (ე.წ.სინკარით) კონსტრუქციით გადახურვის დემონტაჟი; 365 კვ.მ შენობა-ნაგებობების მონოლითური ფილის დემონტაჟი; 62 კვ.მ შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის მოწყობილი კედლების დემონტაჟი; 1607 კვ.მ სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დაშლა; 75.5 კვ.მ რკინა-ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი; 445 გრძ.მ მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა; სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების (ინერტული) – 1155 კუბ.მ განთავსება მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 5,776.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,687.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: დამონტაჟდა ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობილობები, გაწეულია ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის,

სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურების ხარჯი, ხარჯი გაწეულია გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის და ხე მცენერეების დარგვაზე, სკვერების მოწყობის და სკვერებში ფურნიტურის შეკეთების სამუშაოები, მოეწყო მცირე სკვერი (საბავშვო ატრაქციონებით) და დასასვენებელი პავილიონი (ფანჩატური),შესრულდა არსებული სპორტული მოედნების შეკეთების და ახალი მოედნების მოწყობის სამუშაოები, კანალიზაციის ქსელის მოწყობის და საკანალიზაციო სისტემების შეკეთების სამუშაოები, საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო ბეტონის კიბე-ბილიკი, დამონტაჟდა ლითონის მოაჯირები, დაუფინანსდა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საცხოვრებლის გაზიფიცირების საფასური, განხორციელდა ერთ მისამართზე კორპუსის ავარიული ელემენტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები, ერთ მისამართზე განხორციელდა სადარბაზოს სახურავის ჩანგრეული ფილების შეცვლის სამუშაოები, გადახდილია გარე ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით დახლის გათავსების საფასური, დამონტაჟდა საპარკე სკამები, შშმ პირებისათვის მოეწყო ელექტრო პანდუსები, საპროექტო და საექსპერტო მომსახურების, 16 ეკლესიის ფინანსური დახმარების და სხვა ხარჯები. ასევე, 3 მისამართზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენის სამუშაოებისთვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 5.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და სპორტული ობიექტების რაოდენობა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 31 სკვერს; მოეწყობა 5 ახალი სპორტული მოედანი და დამონტაჟდება სპორტული ტრენაჟორების 16 კომპლექტი.

მიღწეული მაჩვენებელი: 31 მისამართზე მოეწყო მცირე სკვერები (საბავშვო ატრაქციონებით), 9 მისამართზე დასრულდა სკვერების მოწყობის სამუშაოები, 3 მისამართზე მოეწყო ახალი, ხოლო 24 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი; 24 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი.

2. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია კანალიზაციის 5 ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 5 მისამართზე მოეწყობა ახალი საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი: 5 მისამართზე განხორციელდა და 1 მისამართზე დაიწყო კანალიზაციის ქსელის მოწყობა.

3. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია 8 ახალი საყრდენი კედელი და აღსადგენია 4 საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა 4 ახალი საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი: მოეწყო 1700 კუბ.მ საყრდენი კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში გასული წლების მსგავსად, კეთილმოწყობითი სამუშაოების დროს მოეწყო შშმპ-სათვის პანდუსები, რომლითაც ასევე, სარგებლობენ ბავშვიანი ქალები.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა 6 მისამართზე ელექტრო პანდუსი.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

5. საბაზისო მაჩვენებელი: 2017-2018 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია 137 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დამატებით იგეგმება 125 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი: მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 13 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

6.საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 20 ჰექტრამდე გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია 200-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა და 1500 ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი: დარგულია 360 ძირი ხე-მცენარე, გადაიბელა და მოიჭრა 2990 ძირი ხე, განხორციელდა 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3,939.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,912.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების გადაბელვის, დაჭრა-დამუშავება-გატანის, მოჭრისა და კუნძების ამოღების სამუშაოები, სკვერებში არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჭარების მოვლა-პატრონობის მათ შორის კომუნალური ხარჯები, რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (58 მისამართი), დაირგო 195 სხვადასხვა სახეობის ფოთლოვანი ნერგი, (240 ერთეული) საპარკე სკამის შესყიდვისა და (144 მისამართზე) მონტაჟის სამუშაოები, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის მომსახურების სამუშაოები (შესრულდა 141950 კვ.მ ფართობზე), სატრანსპორტო კვანძთან დამაკავშირებელი კიბეების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (5 მისამართზე), 23 მისამართზე საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (1771.58 კუბ.მ), საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები (5 მისამართი), სკვერების მოწყობის სამუშაოები 2 ობიექტზე, 10 მისამართზე სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, 15 მისამართზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების და 24 მისამართზე კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონების შესყიდვა/მონტაჟის სამუშაოები, ეკლესიების ფინანსური დახმარება (14 ეკლესია), ბუნებრივი გაზის გარეშე დარჩენილი 61 ოჯახის გაზმომარაგების ქსელზე მიერთების სამუშაოები, 16. სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და წყალსაწრეტი მილების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (23 მისამართი), რაიონის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული მომსახურების

ხარჯი, ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 28 სკვერი და 94 სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა 3 ახალი სკვერი და მოხდება არსებული 3 სკვერის რეაბილიტაცია; მოეწყობა 5 ახალი სპორტული მოედანი და 6 ობიექტზე დამონტაჟდება სპორტული ტრენაჟორები.

მიღწეული მაჩვენებელი: მოეწყო 2 ახალი სკვერი, 5 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 სპორტულ მოედანს; 15 ობიექტზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორები.

2. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია 6 მისამართზე 1030 გრძ.მ. ახალი სანიაღვრე და წყალსადენის და კანალიზაციის 2 ობიექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა 390 გრძ.მ. ახალი სადრენაჟე/სანიაღვრე და 300 გრძ.მ. საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი: საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები შესრულდა 5 მისამართზე - 399,6 გრძ.მ.

3. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია 22 ახალი საყრდენი კედელი და აღსადგენია 9 საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია 15 ობიექტზე 1228,45 კუბ.მ. და 6 ობიექტზე 531,50 კუბ.მ საყრდენი კედლის აღდგენა/რეაბილიტაცა.

მიღწეული მაჩვენებელი: გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 23 მისამართზე 1771კუბ.მ.

4. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 150000 კვმ გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა-ფორმირება, თიბვა). 2017-2018 წლებში სხვლა- ფორმირება ჩატარებული აქვს 2177 ხის ძირს.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია 334 ძირი კიპარისის და 150000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობა, 1537 ძირი ხის სხვლა-

ფორმირება, რის შედეგად, მოსახლეობა და კერძო საკუთრება დაცული იქნება სტიქიის დროს დაზიანებისაგან.

მიღწეული მაჩვენებელი: დაირგო 195 ერთეული სხვადასხვა სახეობის ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 14 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 2488 ძირი, მოიჭრა - 341 ძირი).

6. საბაზისო მაჩვენებელი: 2017-2018 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირდა 363 ოჯახი,

დაგეგმილი მაჩვენებელი: დამატებით იგეგმება 100 ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი: მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 61 ოჯახს.

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 4,245.1 ათასი ლარი დაფინანსდა 4,191.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის აღდგენა–შეკეთების სამუშაოები (18 მისამართი), ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვის, ტრენაჟორებისთვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოები, ახალი სკვერების, არსებული სკვერების და სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საბავშვო სათამაშოების (ატრაქციონების) შეძენა-მონტაჟის და სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშოები (4 მისამართი), ახალი და არსებული უსაფრთხოების მოაჯირების მოწყობის სამუშაოები, რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების,

კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება, დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნაწილობრივი დემონტაჟის, დროებითი გამაგრების ღონისძიებები, დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის ელექტროენერგიის ხარჯი, ბუნებრივი გაზის ინდივიდუალური შეყვანის (ორი წერტილი) სამონტაჟო სამუშაოები, დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოები, 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 260 ერთეული პარკი, სკვერი და სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა 10 ახალი სკვერი; 3 ახალი მოედანი; რეაბილიტირებული იქნება 35 სკვერი; 15 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი: რეაბილიტირებული იქნა 44 ერთეული სკვერი და 26 ერთეული სპორტული მოედანი. მოეწყო ახალი სკვერი 7 ერთეული.

2. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობი და შესაკეთებელია 2694 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიარვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შეკეთდება და მოეწყობა 2694 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიარვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი: მოეწყო და შეკეთდა 3003 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიარვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი: გასული წლების განმავლობაში, კეთილმოწყობითი სამუშაოების დროს შშმპ-სათვის მოეწყო 20 პანდუსი, რომლითაც ასევე სარგებლობენ ბავშვიანი ქალები.

დაგეგმილი მაჩვენებელი: პანდუსი მოეწყობა 4 ობიექტზე.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

4. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის დარგვები, სხვლა-ფორმირება, თიბვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია 1375-მდე ძირი მცენარის და 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი: განხორციელდა 759-მდე ძირი მცენარის და 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3,874.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,864.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; სტიქიისა და სიძველისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; მოაჯირეების, საერთო სარგებლობის კიბეებისა და საფეხმავლო ბილიკების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები; სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები; გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ძვირადღირებული დეკორატიული ხეების შეძენა, ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანა და გამწვანებული ღონისძიებების მოვლა-პატრონობა); არსებული სპორტული მოედნის, სკვერების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები და ასევე ახალი სკვერების მოწყობის სამუშაოები; სასმელი წყლის ნიჟარების მოვლა-პატრონობაზე და 3 ახალი სასმელი წყლის ნიჟარის დამონტაჟება; რაიონის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწყობის უზრუნველყოფა; ქუჩის ავეჯისა და

ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი; რაიონის ტერიტორიაზე ძლიერი ქარისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ზაზიაშვილის ქუჩაზე პანდუსის მოწყობის სამუშაოები; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება; 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 28.3 ათასი ლარი, გედევანიშვილის ქ.#27-ში მდებარე ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებული სახურავისა და სხვადასხვა ელემენტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მოეწყო ხუთი ახალი სკვერი და აღდგენა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 36 სკვერს, 21 სპორტულ მოედანს და დამონტაჟდა 9 ფიტნეს-ტრენაჟორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 5 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 5 მისამართზე სპორტული ტრენაჟორები; განხორციელდება 40 სკვერის და 21 სტადიონის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 4 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 6 მისამართზე სპორტული ტრენაჟორები; განხორციელდა 42 სკვერის და 21 სტადიონის რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს საყრდენი კედელი მოეწყო 27 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 3 007კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი (39 მისამართზე);

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 39 ახალი საყრდენი კედელი 2281 კუბ.მ

3.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე 2018 წლის მდგომარეობით შშმპ-სათვის მოწყობილია 117 ერთეული პანდუსი;

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით მოეწყობა 60 ერთეული პანდუსი;

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 1 ახალი პანდუსი ადმინისტრაციულ შენობასთან; 26 ცალი პანდუსი გაკეთდა სკვერების მიმდინარე შეკეთების დროს.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2018 წლის განმავლობაში სხვადახვა უბნების მიხედვით გაზიფიცირდა 73 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 25 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე გაზიფიცირებულია 5 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 18 000 კვ.მ. გამწვანებულ ტერიტორიას;

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 200-მდე ძირის ხის დარგვა და 600 ძირი ხის გასხვლა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დარგულია 200-მდე ძირი ხე და განხორციელდა 600 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 4,176.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,151.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; კიბეებისა და ღობეების მოწყობის სამუშაოები; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები; სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია; ფიტნეს ტრენაჟორების შესყიდვა-დამონტაჟება; წყალსადენ-კანალიზაციის სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება;

მცირეფასიანი საპარკე სკამების შესყიდვა-მონტაჟი; რაიონის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწყობის უზრუნველყოფა; დაზიანებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისა და აივნების მიმდინარე შეკეთებისა და პარაპეტების მონტაჟის სამუშაოები; 23 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის მდგომარეობით რაიონის ტერიტორიაზე განთავსებულია 72 სპორტული მოედანი და 125 სკვერი, საიდანაც აღდგენილია 51 სპორტული მოედანი და 59 სკვერი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 3 ახალი სკვერის, 1 ახალი სპორტული მოედანის და 5 ახალი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა; რეაბილიტაცია ჩუტარდება 8 არსებულ სპორტულ მოედანს და 19 არსებულ სკვერს.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 9 ახალი სკვერი, 2 ახალი სპორტული მოედანი და 18 ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 14 არსებულ სკვერს და 2 სპორტულ მოედანს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის მდგომარეობით მოსაწყობია 1500 გრ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი და 901 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1263 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი; 10 მისამართზე მოეწყობა 901 კუბ.მ საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელები 8 მისამართზე - 1294 გრძ.მ; 5 მისამართზე მოეწყო 694 კუბ.მ საყრდენი კედელი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2018 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია 48 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 50 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 8 ოჯახი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 200 000 კვმ გამწვანებულ ტერიტორიას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1700 -მდე ძირის და 170 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 170 000 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 2506 ძირს.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 5,297.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,197.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები (მათ შორის მულჩირება, ხეების გასხვლა-გადაბელვა); სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზაფიცირების სამუშაოები; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები; სკვერებისა და სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; სკვერებში დაზიანებული ინვენტარის აღდგენის სამუშაოები; გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი; დამცავი ღობეებისა და უსაფრთხოების მოაჯირების შეძენა-მონტაჟი; კიბეების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები; შშმ პირებისათვის საცხოვრებელ კორპუსში ლიფტებისა და ამწე პლატფორმების მონტაჟი; რაიონის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწყობის უზრუნველყოფა; 14 ეკლესია-მონასტრის ფინანსური დახმარება და სხვა. ამასთან, დაფინანსებულია დიდ დიღომში გაზის აფეთქების შედეგად დაზიანებული კორპუსის მდგრადობის დასადგენი ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები, ბალანჩივაძის ქ.N1-ში მდებარე სპორტული მოედნის ტერიტორიაზე არსებული

მიწიქვეშა ნაგებობების გამაგრებითი სამუშაოები და სანიაღვრე-საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს სკვერების აღდგენა/რეაბილიტაცია განხორციელდა 52 მისამართზე, სპორტული მოდნების აღდგენა/რეაბილიტაცია განხორციელდა 20 მისამართზე, ტრენაჟორების მოწყობა 18 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია - 28 მისამართზე, სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია - 15 მისამართზე, დამონტაჟდება 7 კომპლექტი ახალი ფიტნეს ტრენაჟორი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 33 მისამართზე სკვერის აღდგენა-რეაბილიტაცია, 18 მისამართზე - სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია, დამონტაჟდა 7 კომპლექტი ახალი ფიტნეს ტრენაჟორი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს სანიაღვრე ქსელი მოეწყო 2 მისამართზე, ხოლო საყრდენი კედელი 7 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება სანიაღვრე ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია 2 მისამართზე, საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაცია - 3 მისამართზე.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა სანიაღვრე ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია 2 მისამართზე, საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაცია - 6 მისამართზე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია 156 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 12 ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 5 ოჯახი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევდა 811.3 ათას კვმ გამწვანებულ ტერიტორიას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1958 -მდე ძირის სხვლა ფორმირება და 1,268.1 ათას კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1955-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 910.9 ათას კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 4,914.0 ათასი ლარი დაფინანსდა 4,903.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: სპორტული მოედნების, საყრდენი კედლების, დაზიანებული კიბეების, პანდუსების, სკვერების მოწყობა; დაზიანებული შენობა-ნაგებობის კონსტუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების, არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების, დაზიანებული სახურავების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებლის გაზიფიცირება, 21 ეკლესიის ფინანსური დახმარება, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა, გამწვანების ზოლებში 31 მისამართზე დეკორატიული განათების მოწყობა-რეაბილიტაცია, დეფექტური აქტების შედგენის, ზედამხედველობის ხარჯები და სხვა. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გაწეულია სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების

სახურავის აღდგენა-შეკეთების ხარჯები. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 82.5 ათასი ლარი, გუჯარეთის ქ. II შესახვევი N30-სა და მე-2 მელაანის ქუჩა N14, N16, N18-ს შორის მდებარე საყრდენი კედლის რეაბილიტაციისათვის და თ. რაზიკაშვილის ქ.#6-ში ტრანსპორტის სავალი გზის დამჭერი საყრდენი კედლის აღდგენითი სამუშაოებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე არსებობს 157 სკვერი და 89 სპორტული მოედანი. აღსადგენია 109 სკვერი და 32 სპორტული მოედანი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 31 სკვერი და 17 სპორტული მოედანი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 13 სკვერი და 14 სპორტული მოედანი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი – მოსაწყობი და აღსადგენია 8 000 გრძ/მ სანიაღვრე, 4 000 გრძ/მ წყალსადენის და 3 500 გრძ/მ კანალიზაციის ქსელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება - 2 008.5 გრძ.მ სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა - 2 101 გრძ.მ სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მოეწყო 8 საყრდენი კედელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 4 ერთეული - 240 კუბ.მ საყრდენი კედელი და მოეწყობა 6 ერთეული პანდუსი

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულ იქნა 6 ერთეული - 350 კუბ.მ საყრდენი კედელი და მოეწყო 6 ერთეული პანდუსი

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2018 წლებში გაზიფიცირრებულია სოციალურად დაუცველი 80 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება სოციალურად დაუცველი 20 ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი.

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 35 000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას (რგვები, სხვლა ფორმირება და თიბვა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 5 846-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 35 000 კვ.მ-მდე გამწვნებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 487-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 35 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 6,437.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,422.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა, სკვერების მოვლა-პატრონობა და ბალახის თიბვა, რაიონის სხვადასხვა ტერიტორიაზე მოეწყო ჩასასვლელი კიბეები, საყრდენი კედლები, სანიაღვრე (9 მისამართი), საკანალიზაციო (22 მისამართი) და წყალსადენის ქსელები, 17 სპორტული მოედანი და 14 სკვერი, ფანჩატურების (25 მისამართი) დადგმა და ტრენაჟორების (39 მისამართი) მონტაჟი, შეძენილი და დამონტაჟებულია 200 სკამი. 24 ეკლესიის ფინანსური დახმარების ხარჯები, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების სამუშაოები და სხვა. ასევე, გაწეულია საპროექტო

დოკუმენტაციის, დეფექტური აქტების შედგენის, სამუშაოებზე ზედამხედველობის, გარე ვაჭრობის ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე არსებობს 36 სკვერი და 31 სპორტული მოედანი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 10 სკვერი და 10 სპორტული მოედანი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 14 სკვერი და 17 სპორტული მოედანი, მიმდინარეოს 3 სკვერის მოწყობის სამუშაოები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მოეწყო და აღდგა წყალსადენის, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელი 45 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 15-17 მისამართზე მოეწყობა საკანალიზაციო, 3 მისამართზე წყალსადენის და 3 მისამართზე სანიაღვრე ქსელი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 9 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 22 მისამართზე და წყალსადენის ქსელი 3 მისამართზე

3.საბაზისო მაჩვენებელი - მოეწყო 6 საყრდენი კედელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება - 400 კუბ.მ საყრდენი კედელი და 200 გრძ.მ მოაჯირი

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულ იქნა 1 საყრდენი კედელი - 300 კუბ.მ და 200 გრძ.მ მოაჯირი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2018 წლებში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 384 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 75 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე განხორციელდა 20 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

5.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას უწევს 50 000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 700-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2 741-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 4,117.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,017.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებები, მიტოვებული სამშენებლო ნარჩენის სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა; სკვერებისა და საბავშვო-გასართობი (მოსასვენებელი) კუთხეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; კრწანისის ქუჩა კორპ. N8-ის მიმდებარედ და სადგურის ქ. N57ა კორპუსის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები; საზოგადოებრივი ტუალეტების, სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ერთი კომპლექტი ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი; გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობა; შ.ნიშნიანიძის ქN16-ის მიმდებარედ ნ. ბარათაშვილის ქუჩაზე ჩასასვლელი კიბის რეაბილიტაცია და ფოლადის მსუბუქი პროფილებით მოაჯირის მოწყობა; წყლის სასმელი ნიჟარების და მორწყვის წყლის ხარჯი; ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების დამუშავება-გატანა; რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელების მოწყობის სამუშაოები; კ.აფხაზის ქუჩა N32-ში

მდებარე საცხოვრებელ სახლში შ.შ.მ. პირთათვის ღია ადაპტირებული ლიფტის მოწყობის სამუშაოები; რუსთავის გზატკ.N19 კორპ.N2 მიმდებარედ სკვერში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები; სხვადასხვა სახის მცირეფასიანი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების, საპარკე სკამებისა და სამეურნეო საქონლის შეძენა-მონტაჟი; გრიშაშვილის N51-ის მდებარე სკვერში სათვალთვალო კამერების მოწყობა; რაიონის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწყობის უზრუნველყოფა; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, 11 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის მდგომარეობით რაიონის ტერიტორიაზე განთავსებულია 53 დიდი და მცირე სკვერი და 26 სპორტული მოედანი, სადაც განთავსებულია 9 სპორტული ტრენაჟორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 5 ახალი სკვერი, ერთი ახალი სპორტული მოედანი და 3 სპორტული ტრენაჟორის შეძენა-მონტაჟი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1 ტრენაჟორის მონტაჟი, 7 მისამართზე სკვერის და 2 მისამართზე სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია - 1113 გრძ/მ ახალი სანიაღვრე ქსელი და კანალიზაციის - 1800 გრძ/მ ქსელი, 8 ახალი საყრდენი კედელი და აღსადგენია -5 საყრდენი კედელი - სულ 1663 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა - 1113 გრძ/მ ახალი სანიაღვრე ქსელი და კანალიზაციის - 1800 გრძ/მ ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა- რეაბილიტაცია განხორციელდება 1663 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1367 გრძ.მ სანიაღვრე და 1860,5 გრძ.მ კანალიზაციის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, 1223,31 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2018 წლის განმავლობაში განხორციელდა 6 ოჯახის გაზიფიცირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება დამატებით 10 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 5 ოჯახი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (დარგვა, სხვლა-ფორმირება) უწევს 15000 კვმ გამწვანებულ ტერიტორიას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1442 -მდე ძირის და 15 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი მიღწეულია, დარგულია 1442 -მდე ძირი და ჩატარებულია 15 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის სხვლა ფორმირება.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 4,748.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,711.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო; რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, ავარიული ელემენტების აღდგენის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები, კედლების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, ქვეითად მოსიარულეთა ზონების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, ხეების სხვლა-ფორმირების, გამწვანებული ტერიტორიების მოვლის სამუშაოები, სკვერების და მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები, ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოები (2 მისამართი), 15 ეკლესიის ფინანსური დახმარება, შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტების და საპროექტო

დოკუმენტაციის შედგენა, წყლის დასალევი ნიჟარების ექსპლოატაციის, შადრევნის მოვლა-პატრონობის ხარჯები, მოაჯირების შეკეთების სამუშაოები, 500 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის და 350 ცალი საბაღე სკამის მონტაჟი, ვერის შესახვევი კორპუსი N4-თან არსებული სადრენაჟე ქსელის სანიაღვრე ქსელზე დაერთების სამუშაოები, საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები, დაზიანებული წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლების მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 300 გრძ/მ სანიაღვრე კიუვეტების გადასახურავი ლითონის ცხაურები, რაიონის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ორგანიზება, კოჯორში - იუნკერების ქ.N38-ში მდებარე შენობის ელ-ენერგიის გამრიცხველიანება და სხვა. ასევე, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყო 16.1 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არსებული 50 ერთეული პარკი, სკვერი და სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დასვენებისა და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი: რეაბილიტირებული იქნება 9 სკვერი, 4 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი: რეაბილიტირებული იქნა 11 ერთეული სკვერი და 4 ერთეული სპორტული მოედანი;

2. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია 10000 გრძ.მ ახალი სანიაღვრე, 20000 გრძ.მ წყალსადენის ქსელი და 20000 გრძ.მ კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შეკეთდება 801 გრძ.მ სანიაღვრე.

მიღწეული მაჩვენებელი: მოეწყო 556 გრძ.მ სანიაღვრე და შეკეთდა 1035 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი;

3. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობია 1 ახალი საყრდენი კედელი და აღსადგენია 2 საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შეკეთდება 94 კუბ.მ. და მოეწყობა 670 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი: მოეწყო 150.92 კუბ.მ 2 ერთეული ახალი და შეკეთდა 492.32 კუბ.მ 6 ერთეული არსებული საყრდენი კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი: რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში გასული წლების განმავლობაში, როგორც საგზაო ისე კეთილმოწყობითი სამუშაოების დროს შშმპ-სათვის მოეწყო 25 პანდუსი, რომლითაც ასევე სარგებლობენ ბავშვიანი ქალები.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მოეწყობა 10 ობიექტი.

მიღწეული მაჩვენებელი: შშმ პირებისათვის მოეწყო 10 ობიექტზე ელექტრო პანდუსი.

5. საბაზისო მაჩვენებელი: ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით, რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია 1500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი: განხორციელდა ხეების სხვლა ფორმირების 1500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა სამუშაოები.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2019 წლის გეგმა - 72,182.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 71,981.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა; უძრავი ქონების ღირებულების ზრდა; შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, შეძენილია 44

ვიდეოსამეთვალყურეო კამერა სამშენებლო ობიექტებზე დასამონტაჟებლად, გაწეულია რეკოსნტრუირებული ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე არეალის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ხარჯები და სხვა. გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ექსპერტიზის ხარჯები, სამშენებლო ობიექტებზე დენის და წყლით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირა - 2,194.0 ათასი ლარი) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია 416 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 162 ოჯახი, გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 122 ოჯახი, წინამძღვრიშვილის N1-დან - 74 ოჯახი, ჯავახიშვილის N14-დან - 7 ოჯახი, ყავლაშვილის N3-11-დან - 7 ოჯახი, რომის N4-დან - 15 ოჯახი, ასევე, გაყვანილია 29 ოჯახი მისამართებიდან (ბოტანიკური, გოგირდი, ერეკლე, სამღებრო) სადაც ჯერ არ დაწყებულა რეაბილიტაცია და სხვა), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯებით.

სპეციალური კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში - მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 49,984.2 ათასი ლარი, მათ შორის: პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დასრულდა ორბელიანის მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების და მშრალი ხიდის და მიმდებარე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაიწყო ფურცელაძის N16 სარეაბილიტაციო სამუშაოები, დ. აღმაშენებლის გამზირის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტირებული არეალების მოვლა-პატრონობის სამუშაოებიი;

პროექტირების მიმართულებით გაწეული ხარჯები შეადგენს 3,540.4 ათას ლარს, მომზადებულია დაახლოებით 26 პროექტი;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო და გრძელდება ორბელიანის

N31, 33 და 35-ზე; ყავლაშვილის N3-11-ზე; ჯავახიშვილის N14-ზე; წინამძღვრიშვილის N1-ზე; რომის N4-ზე და მიმდინარე პერიოდში გაწეული ხარჯები შეადგენს 2,957.4 ათას ლარს;

მუზეუმების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაიწყო და გრძელდება დარეჯანის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაწეული ხაჯები შეადგენს 1,046.5 ათას ლარს;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო 2000 საცხოვრებელი სახლი, მ.შ. 1700 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრიაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით;

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2019 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 30 საცოვრებელ სახლს, მ.შ. 24 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, მშრალი ხიდისა და მიმდებარე არეალის რეაბილიტაცია; ზაარბრიუკენი ხიდის რეაბილიტაცია, 2 ბაღის რეაბილიტაცია;

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 საცხოვრებელ სახლს, მ.შ. 13 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, დასრულდა 9 აპრილის და ორბელიანის ბაღის რეაბილიტაციის სამუშოები, მცირე სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 9 მარტის და დედაენის ბაღს;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასრულების პროცესშია, გაიზარდა ვადა მშრალი ხიდისა და მიმდებარე არეალის რეაბილიტაციისა და ზაარბრიუკენის ხიდის რეაბილიტაციაზე. ასევე დაგეგმილ სამუშაოებზე, კერძოდ, სახლებზე გაიზარდა შესრულების ვადები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში 2018 წელს საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს-2000-2500 ლარს, ხოლო კომერციული საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება-2500-3000 ლარს;

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება

შეადგენს 4000-4500 ლარს, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება-4500-5000 ლარს;

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მდგომარეობით ადაპტირებული ერთეულის რაოდენობა N/A. საჭიროა დამატებითი კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში 2019 წლის განმავლობაში მოეწყობა რამდენიმე ადაპტირებული ობიექტი. მათ შორის: 5 ქუჩა ტროტუარით და გადასასვლელებით, 1 მიწისქვეშა;

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

02 11 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური.


2019 წლის გეგმა 500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 192.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 38.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტირება და დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის სააგენტოდან წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, სტიქიის შედეგად დაზარალებული 1 პირისგან გამოსყიდული იქნა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება**


ათასი ლარი



ათასი ლარი



	დასუფთავების ღონისძიებები	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	გამწვანების ღონისძიებები
2017 წლის ფაქტი	61 115,7	4 588,7	11 996,1
2018 წლის ფაქტი	104 032,2	5 912,6	28 731,7
2019 წლის ფაქტი	53 200,0	6 777,5	30 785,3



03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 34,863.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 30,785.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: 2016 წლის შემოდგომაზე, 2017 და 2018 წელს დარგული მცენარეების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე განხორციელდა ხმელი და ხმობადი ხეების სანიტარიული ჭრები: მოჭრილია 30105 ხე თბილისის ცენტრალურ უბნებში, თბილისის ზღვის, კოჯრის, ოქროყანის, ბაგების, წყნეთის გზატკეცილის და თაბორის მთის ტერიტორიებზე; ახალი მცენარეების დარგვის მიზნით, ამოღებულია დაავადებული ხე-მცენარის 900 კუნძი;

მცენარეთა ფიტოსანიტარული გამოკვლევების, მავნე ორგანიზმების შესწავლის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, თბილისის მასშტაბით 55 მისამართზე განხორციელდა 41207 ძირი ხე-მცენარის, 3840 ბუჩქისა და 85 კვმ ყვავილნარის მონიტორინგი; გაკეთდა ნიადაგის ჭრილი

164 ცალი; შესწავლილია 4714 ჰა ტყით დაფარული ფართობი; შემუშავებულია შესაბამისი სამეცნიერო დასკვნები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე;

ფიტოსანიტარიული კვლევების რეკომენდაციების შესაბამისად მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებების ფარგლებში შეიწამლა 119706 ხე-მცენარე, 30 700 ბუჩქი; განხორციელდა 105000 კვმ. ტერიტორიაზე ჰიდროთესვის მეთოდით ბალახის თესვა, 12000 კვმ. ტერიტორიაზე მწვანე გაზონის მოწყობა, თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 16000 კბმ. ნოყიერი მიწა;

ტოპო გადაღების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე გატანილი და მიწოდებული ნიადაგის რაოდენობის (მ3–ში) დადგენის მომსახურების ფარგლებში სხვადასხვა ობიექტზე აზომილ იქნა 22500 კვმ. ფართობი;

თბილისის მაშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსდა საბაღე ფურნიტურა, მათ შორის: 150 ერთეული ურნა და 2 სათლი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: გურამიშვილის გამზირი პოლიციის შენობის გვერდით სკვერში; ბესიკის ქუჩაზე მდებარე სულხან-საბას სახელობის სკვერში; ვაჟა-ფშაველას გამზირზე მე-3 კვარტალში, კორპუსი 17-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ჟ. შარტავას ქუჩაზე არსებულ სკვერში, ბარათაშვილის სახელობის სკვერში, ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ (ორხევის დასახლება) არსებულ სკვერში, ავლაბრის სკვერში (მიმინოსთან), ისნის მეტროს მიმდებარე სკვერში N96; მოსკოვის გამზირზე ვარძიის სკვერში, ნაძალადევის მეტროს მიმდებარე სკვერში, ვაზისუბანში, #17-18 კორპუსს შორის არსებულ სკვერში; ვარკეთილიში არსებული მედიათეკის მიმდებარედ, გუმათჰესისა და ცისკარიშვილის ქუჩებს შორის არსებულ სკვერში, ვერის პარკში; 50 ერთეული T ფორმის სკამი განთავსდა ზაქარიაძის ქ N 12-სა და გურამიშვილის გამზირი პოლიციის შენობისმიმდებარედ სკვერში; ასევე 8 ერთეული გრიბოედოვის ძეგლთან და 4 ერთეული ზაქარიაძის ქუჩაზე, 3 ერთეული გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, #7-20 კორპუსებთან, რიყის პარკში; კოსტავას ქ. N77-თან; პეკინის ქუჩაზე მდებარე ბუკიას სახელობის ბაღის მიმდებარედ; რუსთაველის გამზირზე მდებარე ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე; 100 ერთეული სკამი წარწერით ,,თბილისი“ განთავსდა

კარგარეთელის ქუჩა #133-ის მიმდებარედ, 1 ერთეული რიყის პარკში და 12 ერთეული მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, ვერის ბაღში, ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ (ორხევის დასახლება) არსებულ სკვერში; რუსთაველის გამზირი #11 (ქაშუეთის ეკლესიის ეზო); ვერის ბაღში 6. ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ (ორხევის დასახლება) არსებულ სკვერში; რუსთაველის გამზირი #11 (ქაშუეთის ეკლესიის ეზო); ბესიკის ქუჩაზე მდებარე სულხან-საბას სახელობის სკვერში; გუდაურის ქ N2-ში გამწვანებულ სივრცეში, ამირეჯიბის ქ. სკვერში; საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე; 100 ერთეული მეტალის სკამი განთავსდა ბარათაშვილის სახელობის სკვერში; საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში; ნუცუბიძის IV პლატო, ავთო ვარაზის ქ.#6-ის მიმდებარედ არსებულ რაგბის აკადემიასთან; ვარკეთილი დასახლება 3, III ა მიკრო რაიონი, კორპუსი 325-ის მიმდებარედ არსებული პარკის ტერიტორიაზე; ვერის ბაღის ტერიტორიაზე; ვაჟა-ფშაველას გამზირი N7/9-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში; ჟ. შარტავა ქ.კორპუსი 35/37-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე;

73 ერთეული საინფორმაციო ბანერი განთავსდა დიდგორის სატყეო, ზღვის სატყეო, ლილოს სატყეო, წყნეთის სატყეო, კოჯორის სატყეო და კრწანისის სატყეო ზონებში, დენდროლოგიურ პარკში და ხუდადოვის ტყეში, ასევე, ვერის ბაღის ტერიტორიაზე, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, 7-20 კორპუსებს შორის არსებული პარკის ტერიტორიაზე, დასახლება ვარკეთილი 3, III ა მიკრო რაიონი, კორპუსი 325-ის მიმდებარედ არსებული პარკის ტერიტორიაზე, ა. ყაზბეგის გამზირზე მდებარე ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის ტერიტორიაზე, 9 აპრილის სახელობის პარკის ტერიტორიაზე, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე სკვერის ტერიტორიაზე, რიყის პარკში;

მოეწყო საბავშვო მოედნები 653 კვ.მ ფართობზე და დამონტაჟდა 16 ერთეული საბავშვო ატრაქციონი - ვერის ბაღში, ახვლედიანის ქუჩაზე (ორხევში) არსებულ სკვერში, ვარკეთილი 3, IIIა მიკრო 325-ე კორპუსის მიმდებარედ და 9 აპრილის ბაღში;

განხორციელდა ქ.თბილისში არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: სანზონა N9 და 26 კორპუსებს შორის არსებულ პარკში; გლდანის მე6 მ/რნი, 7-20 კორპუსებს შორის არსებული პარკში; ბუკიას ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე; პეკინის გამზირი N 46 პოლიციის შენობის წინ, შუა გამყოფი ზოლში; რიყის პარკში; კოსტავას 70-ის მიმდებარედ არსებულ თარგებში, გმირთა მოედანზე და პარლამენტის წინ არსებულ გამწვანებულ სივრცეებში; ბუშის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში, აბასთუმნის ქუჩა -#4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში;

თბილისში არსებული გზა გამყოფი კუნძულების მოწყობა: მარცხენა სანაპიროსა და აგლაძის ქუჩის კვეთა, ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთა; შანდორ პეტეფის ქუჩაზე არსებული კუნძულები; მეტრო ისანის მიმდებარედ და ფეიქრების ქუჩაზე. ვარკეთილის მეტროს წინ არსებული შუა გამყოფი კუნძულები; წყნეთის გზატკეცილსა და ჩოლოყაშვილის გამზირთან არსებული შუა გამყოფი კუნძულები; მუხიანი, გობრონიძის ქუჩაზე არსებული შუა გამყოფი კუნძული; სააკაძის დაღმართი, ვ. ბაგრატიონის შუა გამყოფი კუნძულები; დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაზე არსებული შუა გამყოფი კუნძული; ჯავახეთის ქუჩაზე არსებული გზა გამყოფი სამკუთხედი კუნძულზე; ქინძმარაულის ქუჩაზე არსებული გზა გამყოფი კუნძულებზე; დიდუბის მეტროსთან არსებული გზა გამყოფი კუნძული; ფეიქრების ქ. გლდანის ხიდებთან გზა გამყოფი კუნძულები, ვარკეთილის ხიდებთან და ალიევის აღმართის მიმდებარედ არსებული კუნძულები, კანდელაკის და ბუდაპეშტის ქუჩების კვეთაზე, პეკინისა და ყაზბეგის გამზირის კვეთაზე არსებული კუნძულები; მუხიანი, გობრონიძის ქუჩაზე არსებული წრიული კუნძული, ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებული კუნძულები; ბელიაშვილის და შეშელიძის ქუჩების კვეთაზე არსებული კუნძულები;

თბილისის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული თარგების შეღებილი მულჩით მულჩირება (ჯამში 15 735 კვ.მ) განხორციელდა: პეკინის გამზირზე შუა გამყოფ ზოლში; ბაგების-სასაფლაოს ფერდობზე, შარტავას ქ.#44; გაბრიელ სალოსის გამზირის დასაწყისში სამკუთხედ თარგში; მ. კოსტავას, ტექ.

უნივერსტიტეტის მე-2 კორპუსიდან სპორტის სასახლემდე - განაპირა თარგებში; ორბელიანის მოედანზე არსებულ გამწვანებულ სივრცეებში, ვახუშტის ხიდზე არსებულ გზაგამყოფ ზოლში, თავისუფლების მოედანი მეტროსთან არსებულ თარგში, ლეხ კაჩინსკი და მიცკევიჩის ქ-ზე არსებულ თარგში, გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, #7-20 კორპუსებს შორის სკვერში; ვაზისუბანში უსაფრთხოების კუნძულზე, ვაჟა ფშაველას ძეგლთან, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებულ გამწვანებულ თარგში, პეკინის შუა გამყოფი ზოლში, მრგვალ ბაღში, სვანეთის უბანში არსებულ თარგში, უზნაძის ქუჩა N2-ის მიმდებარე თარგებში და გმირთა მოედანზე მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე; მარჯვენა სანაპირო, საპატრიარქოს შენობის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში; რუსთაველის გამზირი N37-ის მიმდებარე გამწვანებულ თარგებში; კოსტავას ქ 3-ის მიმდებარე თარგებში; ნ. ბარათაშვილის ქ N12-ის მიმდებარე თარგებში; შარტავას ქ. N 45-ის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში; ნუცუბიძის ქ. N 3-ის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში; პეკინის ქ.39-ის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში; თამარ მეფის გამზირზე არსებულ განაპირა თარგებში; ტ. ტაბიძის ქ.N 49-ის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში; კანდელაკის ქუჩაზე არსებულ გზა გამყოფ კუნძულებში; ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ (ორხევის დასახლება) არსებულ სკვერში; დასახლება ვარკეთილი 3, III ა მიკრო რაიონი, კორპუსი 325-ის მიმდებარედ არსებული პარკის ტერიტორიაზე - 3 ერთეული; ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ არსებულ გზა გამყოფ კუნძულზე; გაბრიელ სალოსის გამზირი N 57 ა-ს მიმდებარედ არსებულ თარგში და სხვა;

სარწყავი სისტემის მოწყობა განხორციელდა: წყნეთის გზატკეცილსა და ჩოლოყაშვილის გამზირთან არსებული შუა გამყოფი ზოლში და მიმდებარე თარგებში, მარცხენა სანაპიროსა და აგლაძის ქუჩის კვეთაზე; ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე; დიდი დიღომი-პეტრიწის ქუჩაზე არსებულ თარგში; ხეთაგუროვის სახელობის სკვერში; ვაჟა-ფშაველას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე; გლდანის მე-6 მკ.რნ-ში არსებული პარკში; შარტავას ქუჩა მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე; 9 აპრილის სახელობის პარკში; დუმბაძის ქუჩა არსებულ თარგში; გმირთა მოედანზე არსებული ქოთნებისთვის, აეროპორტის

მიმდებარე ტერიტორიაზე; ჰეიდარ ალიევის სახელობის აღმართის მიმდებარე ტერიტორიაზე; ბაგების ტერიტორიაზე არსებული ქოთნებისთვის; დიღმის მასივი, შოთა შალიკაშვილის სახელობის სკვერში; მრგვალ ბაღში; წყნეთის გზატკეცილი არსებულ თარგში (ვაკე-საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარედ); უცნობ გმირთა ქუჩაზე არსებულ თარგში; მონუმენტ „საქართველოს მატიანე“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე; ლეხ-კაჩინსკის ქუჩა არსებულ გამწვანებულ სივრცეში; შარტავას ქუჩაზე არსებულ თარგებში (მერიის მიმდებარედ). დიდი დიღომი. ლ. ანდრონიკაშვილის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში; ვარკეთილი, ჰუალინგის კომპლექსის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში; უნივერსიტეტის ქუჩა, მაღლივი კორპუსის მიმდებარედ არსებულ თარგში; ჭავჭავაძის გამზირი, N37 შენობის მიმდებარედ არსებულ თარგში; მ. ხუდადოვის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე; ფონიჭალის გამყოფი ზოლში. გლდანის ხიდებთან არსებული თარგში; ჭავჭავაძის გამზირი N7-ის მიმდებარე თარგში. კუს ტბის მიმდებარედ (დამატებითი სამუშაოები); გრიბოედოვის მოედნის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ სივრცეში; ფარნავაზ მეფის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში; გმირთა მოედანზე (მემორიალთან) არსებულ გამწვანებულ სივრცეში; კანდელაკის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში; თამარაშვილის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში; მარშალ გელოვანის გამზირზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში; უნივერისტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ; ალექსიძის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში; გმირთა მოედანზე, ესტაკადის ბოძებთან არსებულ ქოთნებში; ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქუჩაზე არსებულ სკვერში; ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ გამწვანებულ სივრცეში;

შესყიდული იქნა ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; ზღვის უბნის (თემქის ხევი) პარკის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია; ვაკის პარკის რეაბილიტაციის წინასაპროექტო კვლევის, ფუნქციური ზონირებისა და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაცია. ასევე, ჩატარდა კვლევა „თემქის ხევი“-ს ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობასთან და ჟინვალის ქუჩის

მიმდებარედ არსებული ფართობის მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების პროექტის შედგენაზე;

განხორციელდა თბილისში განსათავსებელი დეკორატიული ქოთნების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) შესყიდვა;

განხორციელდა ვარკეთილი დასახლება 3, III ა მიკრო რაიონი, კორპ. 325-ის მიმდიბარედ არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები; ა. ყაზბეგის გამზირზე მდებარე ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები;

ნაწილობრივ განხორციელდა ვეტერანთა, კულტურისა და დასვენების პარკის, მონუმენტის „ადამიანი და მზე“ მიმდებარედ არსებული თარგების, კახეთის გზატკეცილის განაპირა თარგების და ბუშის ქუჩის მიმდებარედ არსებული თარგების, კახეთის გზატკეცილის და ევროპის ქუჩის შუა ზოლში არსებული გამწვანებული ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოები;

შესყიდული იქნა ორბელიანის მოედანზე თბილისობისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, დეკორაციის ,,საშემოდგომო თბილისური ნადიმი“-ს ორგანიზების მომსახურება;

კუს ტბის მიმდებარედ, არსებულ 69676 კვმ. ფართობზე მოწყობილია სარწყავი სისტემა, დაირგო 7 600 სხვა და სხვა სახეობის ნერგი (ელდარის ფიჭვი, ჰიმალაის კედარი, მინდვრის ნეკერჩხალი, ჩვეულებრივი იფანი და კავკასიური აკაკი);

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შეისყიდა ხე-მცენარეები, საერთო ჯამში 19 133 ნერგი: მ.შ. 8 461 ხე და 10 672 ბუჩქი. გარდა ამისა, პარკების და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაციის ფარგლებში დაირგო 2 648 ხე და 30 766 ბუჩქი.

განხორციელდა 133 000 ერთეული სხვადასხვა ჯიშის სეზონური ყვავილების დარგვა შემდეგ ლოკაციებზე: საკრებულოს ეზო, რუსთაველის გამზირი, პირველი რესპუბლიკის სახელობის ბაღი, კოტე აფხაზის ქ. 67-ე საჯარო სკოლის ეზო, ათონელის ქ. პრეზიდენტის სასახლე, რიყის პარკი და ევროპის მოედანი, თამარაშვილის ქუჩა, 9 აპრილის სახელობის ბაღი, ვერის ბაღი, სააკაძის მოედანი; ვაკის პარკი, ვეფხვი და მოყმის ძეგლის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველას ძეგლის

მიმდებარედ, რიყის პარკი და ევროპის მოედანი, ვერის ბაღი, რუსთაველის გამზირი, 9 აპრილის სახელობის ბაღი, გმირთა მოედანი, პირველი რესპუბლიკის სახელობის ბაღი კანცელარიის მიმდებარედ.

განხორციელდა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N59ა-ში მდებარე სახლის კედელზე არსებული „ვერტიკალური გამწვანებული“ კედლის მოწყობა-აღდგენის სამუშაოები. მწვანე კედელი მოეწყო 265 კვმ ფართობზე, დაირგო 20000 მდე მცირე ზომის მცენარე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაირგო სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარეები (მაღალტანიანი ხეები) - 5 990 ნერგი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 11 109 მაღალტანიანი ხე-მცენარე (პარკში და სკვერში დარგული ნერგების გარდა).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს შედგა ფერდობებზე ტყის ფართობის მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ტყის ფართობის გაშენების მიზნით, დაირგვება 23 437 ნერგი.

მიღწეული მაჩვენებელი - ტყის ფართობის გაშენების ფარგლებში დაირგო 7 600 ნერგი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მოეწყო 11 000 კვ. მ ფართობის თარგები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 21 536 კვ. მ ფართობის თარგები

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 90 000 კვ. მ ფართობის თარგები

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მოეწყო 2 დიდი პარკი და 4 სკვერი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1 საქალაქო პარკი; რეაბილიტაცია ჩაუტარდება 1 საქალაქო პარკს და 4 სკვერს.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 სკვერის და 2 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 53,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 12 340 951 კვ.მ ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები, 5 508 017 კვ.მ შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები, 3 601 896 კვ.მ სკვერების ტერიტორიის დასუფთავება, 2 001 200 კვ.მ ხევებისა და ფერდობების დასუფთავება, 12 930 კვ.მ მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 411 733 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 6,777.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,880.3 ათასი ლარის 98.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2019 წლის გეგმა - 3,600.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,589.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში; ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობაზე დადებითი ზეგავლენა (არსებული მცენარეების მოვლა, ახალი ხე-მცენარეების დარგვა); საერთაშორისო სტანდარტის ზოოპარკის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: საანგარიშო პერიოდში დასრულდა: ჯიხვების ვოლიერის მშენებლობა ახალ ტერიტორიაზე, დათვების სარეაბილიტაციო ვოლიერში მოეწყო გასასვლელი და შესრულდა გარე პერიმეტრის შემოღობვის სამუშაოები, თუთიყუშების ვოლიერში მოეწყო ზამთრის ახალი თავშესაფარი გათბობით, აფრიკული მოხატული ძაღლების ვოლიერში გაკეთდა დამატებითი თავშესაფრები გათბობით, მარტორქისა და ლემურების ვოლიერების რეაბილიტაცია, ხოხბების ვოლიერების გადახურვის სამუშაოები, აშენდა ჯუჯა მანგუსტების ზამთრის ვოლიერი, აშენდა სამეურნეო შენობის დამხმარე ნაგებობა, მიმდინარეობს მტაცებელი ფრინველების ვოლიერის - ავიარიუმის მშენებლობა, ახალი ზოოპარკის ტერიტორიის გაზიფიცირებისთვის განხორციელდა ტექნიკური ზედამხედველობის აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის სამუშაოები, განახლდა აფრიკის ვოლიერის ეზოსა და ღობის რეაბილიტაცია, თავლის ხის ღობის მიმდინარე რემონტი, მომზადდა ავიარიუმის ვოლიერის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, განხორციელდა მარტორქის, ჟირაფის, ბეჰემოტის ვოლიერების პროექტირება, ცხოველები (აღმოსავლეთ კავკასიური და დასავლეთ კავკასიური ჯიხვები, ევროპული დომბა) ჩამოყვანილ იქნა საფრანგეთიდან, ჩეხეთიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან.

გარდა ამისა, კამპანიის „თბილისის ზოოპარკი საფრთხეში მყოფი სახეობების გადასარჩენად“ ფარგლებში თბილისის ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე ჩატარდა ორი საინფორმაციო ტური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, პარტნიორების, პოტენციური დონორებისა და ზოოპარკის მეგობრებისათვის, ამავე, კამპანიისთვის დამზადდა ბრენდირებული საჩუქრები (კალენდრები, ბლოკნოტები, მაისურები, ჩანთები, ჭიქები); ზოოპარკის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ფორუმში „EAZA Conservation Forum 2019” (ქ.ვალენსია), ასევე, მივლინებულ იქნენ საერთაშორისო ზოოლოგიური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის ZIMS-ის პროგრამის

შესასწავლად (ქ. ერევანი), „გარეული ცხოველების იმობილიზაციის „კურსებზე ქ.ნელსპუიტში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ძუძუმწოვრების სახეობებისა და რაოდენობის დასადგენად და ჰაბიტატების შესასწავლად მესტიის რაიონში.

თბილისის ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრის ეგიდით ჩატარდა პროექტი საქართველოს რეალური ბიომრავალფეროვნება - „ახალგაზრდა მეცნიერები სკოლის მოსწავლეებისათვის“, პროექტის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოწვეული ახალგაზრდა მეცნიერები ატარებდნენ ლექციების კურსს (ცხრა ლექცია); თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „ზოოპარკი მოდის სკოლაში“, ლექციების კურსი (ცხრა ლექცია) მოიცავდა ინფორმაციის მიწოდებას საქართველოში გავრცელებული გველების სახეობების შესახებ; მოსწავლეთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანი და ცხოველთა სამყარო“; ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე ჩატარდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ექსკურსია. ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები - განახლდა სასწავლო პროგრამები, დაიგეგმა წრეებისთვის ექსკურსიები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი: ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკში გამრავლება, წითელი ნუსხის ჩლიქოსანი ცხოველის - ნიამორისა და კეთილშობილი ირმის რიცხოვნობის ზრდა - ნიამორებისა და კეთილშობილი ირმების ორი ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: ორივე სახეობის ცხოველის საერთო რაოდენობის 1/4 - ით ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი: არსებულ რაოდენობას დაემატა ორი ნიამორი და ერთი კეთილშობილი ირემი.

2.საბაზისო მაჩვენებელი: ჩამორთმეული ცხოველების (ძუძუმწოვრები, ფრინველები) ზოოპარკის პირობებში რეაბილიტაცია მათი ბუნებაში დაბრუნების მიზნით, შემოყვანილი ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შემოყვანილი ცხოველების საერთო რაოდენობის 1/2-ით შემცირება ბუნებაში დაბრუნების კვალობაზე.

მიღწეული მაჩვენებელი: ბუნებაში დაბრუნდა 30 ფრთა ფრინველი, რაც შემოყვანილი ფრინველების დაახლოებით 2/3-ია.

3.საბაზისო მაჩვენებელი: არსებული ზოოპარკის ტერიტორიაზე გაშენებული ნარგავები (წიწვოვანი და ფოთლოვანი მრავალწლოვანი მცენარეები), თბილისის ზღვის მიმდებარედ (ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე) არსებული და დარგული ხე-მცენარეები.

დაგეგმილი მაჩვენებელი: მწვანე საფარის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: დაირგო 250 ძირი მხვიარა ბუჩქი (ტეკომა) და 30 ძირი ლორიცენა, მოიჭრა 53 ძირი დაავადებული ფიჭვი.

4.საბაზისო მაჩვენებელი: 2018 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 280 ათასი ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 330 ათასი ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი: ვიზიტორთა რაოდენობა - 300600 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ახალ ტერიტორიაზე, ვოლიერების მშენებლობის კვალობაზე, ცხოველების გადაყვანა (ახალი ზოოპარკის ტერიტორია არ არის გახსნილი დამთვალიერებლებისთვის).

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2019 წლის გეგმა - 3,280.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,188.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული, მოვლილი და განახლებული მცენარეთა კოლექცია; წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა; დამთვალიერებელთა და შემოსავლების გაზრდილი ოდენობა; მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტურქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე,

განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საგაზაფხულოდ მოსამზადებელი გეგმიური აგრო-ტექნიკური სამუშაოები, გაიწმინდა ფიტოგეოგრაფიული განყოფილებები და საკოლექციო ნაკვეთები, მიმდინარეობდა ერთწლოვან და მრავალწლოვან მცენარეთა მომზადება საგაზაფხულო რგვებისათვის, მოხერხდა მათი ნაწილის გატანა დეკორატიული გაფორმების უბნებზე და საკოლექციო ნაკვეთებზე. საშემოდგომო დარგვებისთვის შესყიდული იქნა 33 დასახელების 250-მდე მცენარე. მცენარეების დარგვა განხორციელდა ბაღის სანერგე მეურნეობის ფონდიდან. საერთო ჯამში დაირგო 800-ზე მეტი ხე და ბუჩქი და 50 ათასზე მეტი ბალახოვანი მცენარე;

ზაფხულის აქტიურ ტურისტულ სეზონზე უზრუნველყოფილი იყო ტურისტული მარშრუტების გამართული ფუნქციონირება. ინტენსიურად მიმდინარეობდა ბოტანიკური ბაღის ტურისტული მარშრუტების დაგვა დასუფთავება, სველი წერტილების მოწესრიგება და ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. დასრულდა იასამნების საკოლექციო ნაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები და მიმდინარეობს ტერიტორიის გამწვანების ღონისძიებები;

დასრულდა ბაღის ლანდშაფტური განვითარების გენერალური გეგმა, მომზადდა ძირითადი ხედვები და კონცეფციები, შეიქმნა სახელმძღვანელო კონცეპტუალური გეგმა ბაღის ინფრასტრუქტურისა და საკოლექციო ნაკვეთების შემდგომი განვითარების მიმართულებით. ჩატარდა ბაღის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხელახალი კვლევა და მომზადდა ცალკეული ძეგლებისათვის განახლებული საპასპორტო მონაცემები. კვლავ ძირითად გამოწვევად რჩება სარწავი სისტემის განახლება, რომელზედაც განხორციელდა რამდენიმე ლოკალური შეკეთება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიმართულებით შესყიდული იქნა დამატებითი ელექტრომობილები შემდგომში ქალაქის ისტორიული ნაწილიდან ვიზიტორთა ბაღში შემოყვანის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ბაღის საჭიროების გათვალისწინებით შესყიდულ იქნა საჭირო კომპიუტერული ტექნიკა, დაცვის სამსახურისთვის რაციები და მოწყობილობები, ავტობუსი, მცირე

ზომის სატვირთო სატრანსპორტო საშუალება და საექსპედიციო მანქანა; ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო ვიდეო მონიტორინგის სისტემა, რომელიც სამართლებრივი პროცედურების დასრულებისთანავე შევა ექსპლუატაციაში. 2019 წლის ბოლოს დაიწყო ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;

გრძელდება სამეცნიერო პროექტების განსაზღვრული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს შესრულება, განხორციელდა რამდენიმე ექსპედიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადრემოყვავილე მცენარეების შეფასებისა და დაკვირვების საკითხებზე. ბოტანიკური ბაღის სპეციალისტების მიერ აღმოჩენილი იქნა ძელქვის ახალი გავრცელების არეალი თბილისის ეროვნულ პარკში, რაც აღმოსავლეთ საქართველოსათვის აქამდე უცნობი იყო;

20-25 მაისს ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ბიომრავალფეროვნების კვლევისა და კონსერვაციის შედეგები“, რომელშიც მონაწილეობდა 13 ქვეყნის, 40 ბოტანიკური ორგანიზაციის 110 წარმომადგენელი, კონფერენციის ფარგლებში შეიქმნა საქართველოს მცენარეთა კონსერვაციის ეროვნული ქსელი, გაიმართა დისკუსიები, ჩატარდა სემინარი მცენარეთა დაცვის საკითხებზე; თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა მისურის ბოტანიკურ ბაღთან (აშშ) ბაეკდუდაეგანის ეროვნული არბორეტუმთან (სამხრეთ კორეა), საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და სტამბულის ნეზაჰატ გიოგკიტის ბოტანიკურ ბაღთან; ბაღის სამეცნიერო ადმინისტრაციული პერსონალი, მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების, მცენარეთა დაცვის ლაბორატორიის, მცენარეთა კონსერვაციის განყოფილებისა და მებაღეობისა და ლანდშაფტის დიზაინის თანამშრომლები მივლინებულნი იყვნენ თურქეთში, ლიეტუვაში, აშშ-ში, იტალიასა და გერმანიაში კვალიფიკაციის ამაღლების, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისა და გამოცდილების გაზიარების საკითხებზე. ორგანიზაცია ასევე, მონაწილეობდა ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGCI) სამუშაო შეხვედრაში;

ტრადიციულად გაიმართა სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებები, მათ შორის აღსანიშნავია დედისა და ტყის დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები,

ხოლო ბაღის პოპულარიზაციისა და დამთვალიერებელთა მოზიდვის მიზნით ჩატარდა „მწვანე გამოფენა“, „ნაყინის ფესტივალი“, საგანმანათლებლო შემეცნებითი აქტივობები და გამოფენები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი: ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 1 000 ცალი, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 20 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 3 000 ცალი, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 150 სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი: ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია კოლექცია - 1 500 ცალი, განახლებულია მცენარეთა კოლექცია - 100 სახეობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი: სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები -1 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები -5 ცალი.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი: წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 1 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია 5 სახეობა;

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

4.საბაზისო მაჩვენებელი: საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება - 3.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება - 4.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

5.საბაზისო მაჩვენებელი: გამწვანების, ეკოლოგიის, გარემოზე ზეომოქმედებისა და მავნებელ დაავადებათა საკითხებზე გაცემული დასკვნები - 250 ერთეული დაკვნა;

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია - 270 ერთეული დაკვნა;

მიღწეული მაჩვენებელი: შესრულდა - 150 ერთეული დაკვნა;

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: შემცირდა საექსპერტო დასკვნებთან დაკავშრებული მომართვიანობა.

6.საბაზისო მაჩვენებელი: 2018 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 250 000 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 270 000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი: ვიზიტორთა რაოდენობა - 293 446 ვიზიტორი.

7.საბაზისო მაჩვენებელი: საკუთარი შემოსავლები - 1 040 000 ლარი;

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია - 1 275 000 ლარი;

მიღწეული მაჩვენებელი: მიღებულია - 1 608 395 ლარი;

8.საბაზისო მაჩვენებელი: ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას.

დაგეგმილი მაჩვენებელი: დაგეგმილია ახალი ტურისტული მარშუტების გახსნა და სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი: მოწესრიგდა გზის საფარი ვარდების საკოლექციო ნაკვეთიდან პარტერამდე, ჩატარდა სარწყავი სისტემის მიმდინარე რემონტი. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რამდენიმე შიდა სარწყავი სისტემის მაგისტრალურ ხაზს.

9.საბაზისო მაჩვენებელი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესავსებია ელექტრომობილებითა და ავტობუსით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შეძენილი იქნება 2 ელექტრომობილი და ავტობუსი.

მიღწეული მაჩვენებელი: შეძენილ იქნა 4 ელექტრომობილი, ავტობუსი, საექსპედიციო სატრანსპორტო საშუალება და მცირე სატვირთო მანქანა.

10.საბაზისო მაჩვენებელი: ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტები;


დაგეგმილი მაჩვენებელი: განხორციელდება 5 სარეაბილიტაციო პროექტი;

მიღწეული მაჩვენებელი: დასრულდა იასამნების ნაკვეთის ძირითადი ნაწილის რეკონსტრუქცია, ახალი სალარო პუქნტის გახსნა, მომზადდა ლანდშაფტური განვითარების გეგმა, დაიწყო ადმინისტრაციული და ლაბორატორული შენობის მშენებლობა.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ვერ განხორციელდა ორანჟერეის მიმდინარე რემონტი საპროექტო დოკუმენტაციის არასრულყოფილებისა და სამუშაობის სპეციფიკური, შემჭიდროვებული ვადების გამო.

❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა


ათასი ლარი



ათასი ლარი



	ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	ბიზნესის სტიმულირება	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა
2017 წლის ფაქტი	453,3	39,7	425,1	65,6	6,4	39,9
2018 წლის ფაქტი	669,2	180,6	200,9	280,8	447,9	71,2
2019 წლის ფაქტი	411,0	49,8	450,5	555,9	24,1	690,4



04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 569.1 ათასი ლარი დაფინანდა 555.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში გადარიცხულ იქნა: ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი, ბიზნეს აქსელერატორისათვის განკუთნილი შენობის ფასადის მოწყობის, საქმიანობის სარეკლამო მომსახურების, ვიდეორგოლის მომზადების, ბანერის დამზადების, ბრენდირებული საქონლის შეძენის, დოკუმენტაციის თარგმნის მომსახურების, კარტრიჯების, ფოტოაპარატის მეხსიერების, როუტერის, სასმელი წყლის, ფლაერის, სტიკერის, ბოშურების, შენობის სახანძრო სისტემის შეკეთების, დამწყები ბაზნესმენებისათვის ბიზნეს-გეგმების მომზადების, სოც. მედია

სტრატეგიისა და კონტენტის შექმნის მომსახურების, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები, გაწეულია 26 მაისის ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯები (სტენდის შესყიდვა, მონიტორის დაქირავება, ინვენტარის გადაზიდვა); ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტთან - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ დაკავშირებული ღონისძიების ჩატარების ხარჯები (დარბაზის იჯარა, ეკრანის დაქირავება, სტუმრების გამასპინძლება, ინვენტარის გადაზიდვა, ფოტოგრაფის მომსახურება) და სხვა ხარჯები; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „თბილისის საშობაო ბაზარი“, სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისში რეგისტრირებულმა 600-მდე მეწარმე სუბიექტმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი: 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ბიზნეს აქსელერატორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 30 ბიზნეს გეგმის შექმნა. საახალწლო გამოფენა-გაყიდვის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი: შეიქმნა 14 ბიზნეს-გეგმა; მოეწყო საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „საშობაო ბაზრობა“.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე. შეიქმნა დაგეგმილზე 16 ბიზნეს-გეგმით ნაკლები, 2019 წელს ევროკავშირის მიერ არ მოხდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეორე ტრანშის სრულად ჩარიცხვა.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 141.1 ათასი ლარი დაფინანდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეიქმნა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზა და დაიბეჭდა ტურისტული რუკები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩენებელი: თბილისს არ გააჩნია ბიზნეს ობიექტების მიხედვით შედგენილი ბიზნეს რეგისტრი.

დაგეგმილი მაჩენებელი: შეიქმნას თბილისის ბიზნეს რეგისტრი ობიექტების მიხედვით.

მიღწეული მაჩვენებელი: შეიქმნა ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზა.

2.საბაზისო მაჩვენებელი: სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის.

დაგეგმილი მაჩენებელი: არსებული ბაზის შენარჩუნება და განახლება.

მიღწეული მაჩვენებელი: დაიბეჭდა 15500 ცალი ტურისტული რუკა და მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 455.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 450.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე; ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; ევროპის ქალაქთა ქსელის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ხელმისაწვდომობა; საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.

2019 წლის გეგმა - 230.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 222.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროგრამის ადმინისტრირების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურების, სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის საქალაქო ტრანსპორტზე შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის პლასტიკური ბარათების შესყიდვის (81792 ცალი), სერვის-ცენტრში არსებული საბეჭდი მოწყობილობებისათვის სახარჯი და საწმენდი მასალების შეძენის, საბეჭდი მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მონტაჟის, 2 ერთეული კონდიციონერის შეძენის, სერვისცენტრის კომუნალური ხარჯების ანაზღაურების და სხვა ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს გაიცა 57614 პლასტიკური ბარათი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 81 734 პლასტიკური ბარათის გაცემა

მიღწეული მაჩვენებელი - გაიცა 81 792 პლასტიკური ბარათი

06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 16,285.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 16,061.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების ხელშეწყობის კომისიის ინფორმაციის თანახმად, ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ სამედიცინო მომსახურებაზე გაწეულია 13,906.7 ათასი ლარი. მათ შორის: 2,359.5 ათასი ლარით დაფინანსდა საშუალოდ 3541 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 6,214.5 ათასი ლარით საშუალოდ 7592 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა, ხოლო 5,332.7 ათასი ლარით საშუალოდ 6,336 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები. გარდა ამისა, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხულია 2,054.6 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაფინანსდა 16 000-მდე განცხადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 17 469 განცხადება

06 02 10 ომის ვეტერანების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 132.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ამ ომში მარჩენალდაკარგულების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის

დღესასწაულთან დაკავშირებით 190 ომის მონაწილეს გადაერიცხა 600-600 ლარი, ხოლო ომში დაკარგულის სტატუსის მქონე 60 ბენეფიციარს კი 300-300 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაფინანსდა 292 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 240 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 250 ბენეფიციარი.

06 02 11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 62,800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: M 3 კატეგორიის ავტობუსებით და მეტროთი გადაყვანილი ცალკეული კატეგორიის მგზავრების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება; M 2 ავტობუსებით გადაყვანილი ცალკეული კატეგორიის მგზავრების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (მეტრო, M2 და M3) გადაყვანილია უფასო ან შეღავათიანი ტარიფით 167 622 373 მგზავრი (სულ გადაყვანილია 274 347 795 მგზავრი), მათ შორის:

მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია სულ 159 556 752 მგზავრი, აქედან: მეტროთი 72 469 777 მგზავრი, ავტობუსით 87 086 975 მგზავრი. გაწეული მომსახურებისათვის მგზავრთა გადამყვანი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დაფინანსებულია 60,266.8 ათასი ლარით, აქედან: მეტროპოლიტენით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრთა გადაყვანა 26,863.3 ათასი ლარით, ავტობუსებით 33,403.5 ათასი ლარით.

M2 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, მგზავრობის ტარიფის 50%-ანი შეღავათით გადაყვანილია 8 065 621 მგზავრი. მგზავრთა გადამყვანები დაფინანსებულია 2,533.2 ათასი ლარით, მათ შორის: შპს „თბილ ლაინი“ – 1,106.6 ათასი ლარით, შპს კაპიტალ გრუპი“ – 314.5 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი“ – 300.1 ათასი ლარით, შპს „ფაბლიქ-ქარი“- 812.0 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით უფასო ან შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილია ყოველწლიურად საშუალოდ 138.0 მლნ მგზავრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით უფასო ან შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილია 159.6 მლნ მგზავრი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - M2 კატეგორიის ავტობუსებით, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით გადაყვანილია ყოველწლიურად საშუალოდ 9.6 მლნ მგზავრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 8.1 მლნ მგზავრი.

06 02 13 მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 7,4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 23.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მარტოხელა ხანდაზმულების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია

დღის ცენტრის კომუნალური ხარჯები (მათ შორის: 1311,53 ლარი - შპს „ვარკეთილაირში“, 280,53 ლარი - სს“თელასში“, 131,5 ლარი - შპს „თბილსერვის ჯგუფში“). ცენტრში ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 145-მა მარტოხელა ხანდაზმულმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება


მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 145-მა მარტოხელა ხანდაზმულმა.

06 02 14 უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსებულია 17,997.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 18,015.1 ათასი ლარის 99.9%-ი). თბილისში ფუნქციონირებს 62 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება თვეში საშუალოდ 38472 ბენეფიციარს.

(ათასი ლარი)



შენიშვნა: იანვრის ხარჯები გაწეულია თებერვალში, ხოლო ოქტომბრისა და ნოემბრის ხარჯები დეკემბერში



06 02 14 06 უფასო სასადილოებით მომსახურება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3,048.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,040.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 9 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6480 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 07 უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3,290.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 10 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6935 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 08 უფასო სასადილოებით მომსახურება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,032.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,031.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 2179 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 09 უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,435.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 3100 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 10 უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 750.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 3 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1600 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 11 უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 777.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1749 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს. ამასთან დაფარულია 2018 წლის შესრულებული მომსახურების დავალიანება 5.9 ათასი ლარი.

06 02 14 12 უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,182.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 7 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 4800 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 13 უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,888.8 ათასი ლარი დაფინანდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 11 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6088 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 14 უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,603.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 3380 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 14 15 უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,005.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 997.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში წლის დასაწყისიდან ფუნქციონირებდა 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურებოდა ყოველთვიურად საშუალოდ 2199 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს. ივლისიდან, მოხდა ბენეფიციარების გადანაწილება და უფასო სასდილოების რაოდენობა შემცირდა 4-მდე, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 2161 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

06 02 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დაფინანსებულია 69.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 78.5 ათასი ლარის 87.9%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 15 07 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 12.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 36 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 08 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 8.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 7.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 21 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 09 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 81.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 9 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 10 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 6.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 16 ოჯახს.

06 02 15 11 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 8.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 23 ოჯახს.

06 02 15 12 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 12.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 35 ოჯახს.

06 02 15 13 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 8.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 23 ოჯახს.

06 02 15 14 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 8.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 24 ოჯახს.

06 02 15 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 2.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 67.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 8 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 15 16 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა


2019 წლის გეგმა - 7.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 0.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 10%-ია.


დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 2 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

06 02 16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსებულია 6,269.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,282.4 ათასი ლარის 99.8%): საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია 10 რაიონში მცხოვრებ სიით 2064 ოჯახს.

(ათასი ლარი)





06 02 16 07 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 313.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 312.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 110 ოჯახს.

06 02 16 08 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,290.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის

საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 479 ოჯახს. მათ შორის, გურამიშვილის გამზირი N30-ში მდებარე N2 კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ ბინებში მცხოვრები 70 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 113.2 ათასი ლარი.

06 02 16 09 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 314.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 314.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 95 ოჯახს. მათ შორის, დიღმის მასივში აფეთქების შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ ბინებში მცხოვრები 21 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 63.7 ათასი ლარი.

06 02 16 10 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 504.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 500.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 171 ოჯახს.

06 02 16 11 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 514.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 162 ოჯახს. მათ შორის 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად დაზარებულ 4 ოჯახისათვის ბინის ქირით უზრუნველყოფის ხარჯებმა შეადგინა 23.1 ათასი ლარი.

06 02 16 12 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 559.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 163 ოჯახს. მათ შორის, 2019 წლის 16 იანვარს, დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩა N8-ში მდებარე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების დროს დაზარალებული 60 ოჯახისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით

უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 243.8 ათასი ლარი.

06 02 16 13 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 804.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 259 ოჯახს.

06 02 16 14 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 794.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 793.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 270 ოჯახს.

06 02 16 15 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 679.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 676.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 213 ოჯახს. მათ შორის: 2018 წლის 15 ნოემბერს ზემო ფონიჭალაში N23-ე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზარალებული 28 ოჯახისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ბინის ქირის კომპენსაციის გასაცემად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 58.7 ათასი ლარი.

06 02 16 16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 507.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 505.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 142 ოჯახს.

06 02 17 ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში დაფინანსებულია 49.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 50.8 ათასი ლარის 97.7%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 17 07 ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 11.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან (8 ვეტერანი), 26 მაისის დღესასწაულთან (100 ვეტერანი), აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით (40 ვეტერანი) და და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით (115 ვეტერანი) ომის ვეტერანებს გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტები.

06 02 17 08 ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 5.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 5.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 და 26 მაისთან დაკავშირებით, რაიონში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის 9 ვეტერანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების 71 ვეტერანისთვის შესყიდულია სასურსათო/სასაჩუქრე პაკეტი. ასევე, საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის 5 ვეტერანს გაეწია ფულადი დახმარება თითოეულს 290 ლარის ოდენობით.

06 02 17 09 ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით (21 ვეტერანი) ომის ვეტერანებს გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტები.

06 02 17 10 ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 0.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 48%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 14 ვეტერანს დაურიგდა სასაჩუქრე ნობათი.

06 02 17 11 ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 4.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საახალწლოდ 60 ვეტერანის, სააღდგომოდ და 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 63 ვეტერანის სასაჩუქრე ამანათების შესყიდვა.

06 02 17 12 ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 25 ვეტერანისთვის სააღდგომოდ და 18 ვეტერანისათვის 9 მაისის და 22 ვეტერანისათვის ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით სასაჩუქრე კალათების შესყიდვა.

06 02 17 13 ომის ვეტერანების დახმარება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100 %-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანაგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონში მცხოვრებ მე-2 მსოფლიო ომის 19 ვეტერანზე გაიცა სასაჩუქრე პაკეტები.

06 02 17 14 ომის ვეტერანების დახმარება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანაგარიშო პერიოდში აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით რაიონში მცხოვრებ დიდი სამამულო ომის 15 ვეტერანზე გაიცა სასაჩუქრე პაკეტები.

06 02 17 15 ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 7.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ფინანსური დახმარება გაეწია 3 ომის ვეტერანს. გარდა ამისა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად ფინანსური დახმარება გაეწია 39 ომის ვეტერანს.

06 02 17 16 ომის ვეტერანების დახმარება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა 15.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.


დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო აღდგომის დღესასწაულთან

დაკავშირებით (37 ვეტერანი) და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით (35 ვეტერანი) ომის ვეტერანებს გადაეცათ სხვადასხვა სახის კვების პროდუქტი. ასევე ფინანსური დახმარების სახით გაცემულია 12.7 ათასი ლარი.

06 02 18 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 21,477.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 21,581.3 ათასი ლარის 99.5%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

(ათასი ლარი)





06 02 18 07 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,371.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 22866 მოქალაქის ოჯახს, მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობის ღირებულება დაუფინანსდა 2158 მოქალაქეს, მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები 8255 მოქალაქეს, 343 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დაკრძალვის მომსახურეობა, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 980 ოჯახს, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის (800 ოჯახი) შესყიდულია საწვავი ხის მასალა (შეშა), სააღდგომოდ 5160 ბენეფიციარს და საახალწლოდ 5170 ბენეფიციარს გადაეცათ სააღდგომო და საახალწლო ნობათი. ასევე, ავჭალის დასახლებაში, მიხაკო წერეთლის ქ.№23ა-ში გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 5,0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი: დახმარება გაეწია 22866 ბენეფიციარს.

06 02 18 08 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 3,108.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,085.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 23564 მოქალაქის ოჯახს, მათ შორის: 2165 ბენეფიციარმა ჩაიტარა მკურნალობის (მკურნალობა, გამოკვლევა, ოპერაცია და სხვა) კურსი სხვადასხვა კლინიკებში, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია - 1740 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენა 6942 ბენეფიციარს დაუფინანსდა, სამშენებლო მასალებით დახმარება - 219 ოჯახს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 533 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის (829 ოჯახი) შესყიდულია 1264,5 კუბ.მ საწვავი ხის მასალა (შეშა). რაიონში მცხოვრები უფასო სასადილოს ბენეფიციართა ოჯახებისათვის (5440 ბენეფიციარი) შესყიდულია აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე პაკეტი, ხოლო საახალწლოდ 5389 ბენეფიციარისთვის ნობათი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხულია 381.0 ათასი ლარი, ჩამოწოლილი გრუნტის შედეგად მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ზღვის უბნის დასახლება მე-9 კვარტ. №23 კორპუსის 10 ოჯახის 32 მოქალაქეს დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფად, ხოლო 2 ოჯახზე ფულადი დახმარება, ძლიერი სეტყვისა და წვიმის შედეგად დაზარალებულ 25 ოჯახზე გაცემულია ფინანსური დახმარება. ასევე, გურამიშვილის გამზ. N30-ში მდებარე N2 კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო დაზარალებული ოჯახების (239 მოქალაქე) დროებითი საცხოვრებელი ფართით (სასტუმროს ხარჯები და კვება) უზრუნველყოფის მიზნით მიმართული დახმარება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 20000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი: დახმარება გაეწია 23862 ბენეფიციარს (მათ შორის: 298 მოქალაქე სტიქიის და უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული).

06 02 18 09 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,137.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 14481 მოქალაქის ოჯახს, მათ შორის: მედიკამენტები შეძენილია 5913 მოქალაქისთვის, სამედიცინო მომსახურება (მკურნალობა, გამოკვლევა, ოპერაცია) ჩაუტარდა 1135 მოქალაქეს, სამედიცინო მომსახურების პროცესში წარმოშობილი დავალიანების დაფარვა 22 მოქალაქეს, 182 ოჯახს - გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის ხარჯების დაფარვა, 1344 მოქალაქეს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, 3350 მოქალაქეს გადაეცა სააღდგომო ნობათი, ხოლო ახალი წლის აღსანიშნავად 2400 მოქალაქეს გადაეცა საახალწლო ნობათი, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 70 შეჭირვებულ მოქალაქეს გადაეცა 200 კუბ. მ საწვავი ხის მასალა - შეშა. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 227.5 ათასი ლარი დიღმის მასივში, საცხოვრებელ სახლში ბუნებრივი აირის გაჟონვით გამოწვეული აფეთქების შედეგად დაზიანებულ მოქალაქეებს მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად (რემონტი, ავეჯის შეძენა, მანქანების შეკეთება), დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად და ბინის ქირის კომპენსაციის გასაცემად (65 მოქალაქე).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 14988 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი: დახმარება გაეწია 14481 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 65 მოქალაქე).

06 02 18 10 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,646.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 15256 ბენეფიციარს. აქედან: სხვადასხვა სირთულის ოპერაციაზე, მშობიაროზაზე, სამედიცინო მომსახურეობაზე და გამოკვლევაზე 1007 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 5154 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარებაზე 2784 მოქალაქეს, სამშენებლო მასალის შეძენაზე 127 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 184 ოჯახს, სათბობი შეშის მიწოდებაზე 400 მოქალაქეს, უფასო სასადილოების ბენეფიციარებსა და ფინანსურად შეჭირვებულ 2800 მოქალაქეს სააღდგომო ამანათების შესყიდვაზე, შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით - საკვები პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი გაიცა 2 800 ბენეფიციარზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვნებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 14000 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 9951 განცხადება და დახმარება გაეწია 15256 ბენეფიციარს.

06 02 18 11 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,042.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 14929 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) 1064 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 6751 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 2711 მოქალაქეს, სამშენებლო მასალების შეძენაზე 138 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე 129 ოჯახს, საწვავი ხის მასალის შეძენაზე 670 მოქალაქეს, სააღდგომოდ სოციალურად დაუცველ 1703 ბენეფიციარს და საახალწლოდ 1763 ბენეფიციარს სასაჩუქრე კალათების შესყიდვაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე, ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 12000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვნებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - 19300 შემოსული განცხადებიდან დაკმაყოფილდა 11469 განცხადება და დახმარება გაეწია 14 929 ბენეფიციარს.

06 02 18 12 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,523.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 15089 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებებზე (ოპერაციები, მკურნალობა) 1507 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენაზე 8136 მოქალაქეს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე 2190 მოქალაქეს, 167 მოქალაქის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაზე, სააღდგომოდ

სოციალურად დაუცველ 1552 ბენეფიციარს სასაჩუქრე კალათების შესყიდვაზე, საახალწლოდ 1408 ბენეფიციარს სასაჩუქრე კალათების შეძენა და 94 ოჯახს შეშის შესყიდვაზე. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 22.0 ათასი ლარი, 2019 წლის 16 იანვარს, დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩა N8-ში მდებარე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების დროს დაზარალებული მოქალაქის - მინდია ფირანიშვილის ოჯახის წევრების დაკრძალვისათვის, კერძო სასაფლაოზე ორი მიწის ნაკვეთის შეძენის ხარჯების ასანაზღაურებლად, ხოლო აფეთქების შედეგად მიყენებული ზარალის (მოძრავი, უძრავი ქონება) ანაზღაურების მიზნით, დაზარალებულებისათვის (34 დაზარალებული) სასაქონლო და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე კომპესაციების გასაცემად - 266.4 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - სულ შემოსული 14 819 განცხადებიდან დაფინანსდა ბენეფიციარების მიერ სხვადასხვა სოციალურ საჭიროებებზე (დახმარებაზე) მოთხოვნილი 12182 განცხადება და დახმარება გაეწია 15089 ბენეფიციარს.

06 02 18 13 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,795.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 17994 მოქალაქეს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 1572 მოქალაქეს, მედიკამენტებით დახმარება გაეწია 4090 მოქალაქეს, უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დაკრძალვაზე (სარიტუალო მომსახურება) დახმარება გაეწია 278 ოჯახს,

სოციალურად დაუცველ 38 მოქალაქეს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, დაიფარა სოციალურად დაუცველი 9 ოჯახის კომუნალური ხარჯები, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 1830 მოქალაქეზე, 500 ბენეფიციარს მიეწოდა შეშა. სააღდგომოდ სასაჩუქრე პაკეტები გაიცა 5552 ბენეფიციარზე, საახალწლოდ სასაჩუქრე პაკეტები გაიცა 4100 ბენეფიციარზე. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 8.2 ათასი ლარი ხანძრის შედეგად დაზარალებული 1 ოჯახის და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მძიმე ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე 24 მოქალაქის სასტუმროში განთავსების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 14500 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - სულ დახმარება გაეწია 17994 ბენეფიციარს.

06 02 18 14 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 2,238.4 ათასი ლარი, 2,232.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 19815 ბენეფიციარს. მათ შორის: სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება გაეწია 1459 ბეფეციარს, 4250 ბენეფიციარმა მიიღო მედიკამენტებით მომსახურება, 333 ოჯახს გაეწია დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება, კომუნალური გადასახადები დაუფინანსდა 81 ოჯახს, სტიქიით და სხვადასხვა გარემოებებით დაზიანებული სახურავებისა და შიდა სარემონტო სამუშაოებზე მასალით დახმარება გაეწია 23 ოჯახს, 2403 ოჯახს მიეცა ფინანსური დახმარება, სოციალურად დაუცველ 500 ოჯახს მიეწოდა შეშა, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 5 266 ბენეფიციარს, ხოლო საახალწლოდ 5500 ბენეფიციარს

გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 16,3 ათასი ლარი, დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - სულ დაფინანსდა 19815 მოქალაქე.

06 02 18 15 სხვა სოციალური (დახმარებები) ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,777.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,772.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 13451 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობა 931 მოქალაქეს, მედიკამენტების შეძენა 5363 მოქალაქეს, დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება 140 ოჯახს, საწვავი შეშის შეძენა 399 მოქალაქეს, სააღდგომო და საშობაო დღესასწაულებთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველ 5200 ბენეფიციარს სასაჩუქრე კალათების შესყიდვაზე, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1328 მოქალაქეს. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 452.6 ათასი ლარი, 2018 წლის 15 ნოემბერს ზემო ფონიჭალაში N23-ე კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზარალებული 90 მოქალაქისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - სულ 9397 შემოსული განცხადებიდან დაკმაყოფილდა 8161 განცხადება და დახმარება გაეწია 13451 ბენეფიციარს.

06 02 18 16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 1,941.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,871.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 12546 მოქალაქის ოჯახს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 864 მოქალაქეს, მედიკამენტებით დახმარება 6736 მოქალაქეს, სოციალურად დაუცველ 116 ოჯახს გარდაცვლილი წევრის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება, ხანძრის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, ხოლო მასალების შესაძენად 11 ბენეფიციარს გაეწია დახმარება, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის 1349 ოჯახს გაეწია დამარება. უფასო სასადილოს ბენეფიციარებს (1763 ბენეფიციარი) დაურიგდათ სააღდგომო ნობათი, ხოლო საახალწლო ნობათი გადაეცა 1615 ბენეფიციარს. ასევე, კოჯორში იუნკერების ქუჩაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების (80 კაცი), ავარიული შენობიდან გადაყვანილი მოსახლეობის (8 ოჯახი) სასტუმროში განთავსების ხარჯების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 58.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 10000 განცხადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: შემოსული განცხადებების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი: დახმარება გაეწია 12546 ბენეფიციარს (მათ შორის 92 ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან).

06 02 20 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში დაფინანსებულია 739.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 854.4 ათასი ლარის 86.6%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 20 01 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 489.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 378.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 77.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ამხანაგობა ,,წყაროს“ წყალსადენის ცენტრალური ქსელის მოწყობისათვის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირების (ექსპერტიზის) სამუშაოები და სოციალურად დაუცველ 10 ოჯახს დაუფინანსდა წყლის ქსელზე დაერთების საფასური.

06 02 20 02 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 5.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 0.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 10%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ერთი მოსახლის წყლის ქსელზე დაერთების საფასური.

06 02 20 03 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 360.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ერთი მოსახლის წყლის ქსელზე დაერთების საფასური 0.5 ათასი ლარი და ამხანაგობა „ძველი ვეძისი“-ის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების (50 ოჯახი) და ექსპერტიზის ხარჯები - 359.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაფინანსებულია 1 ოჯახის საყოფაცხოვრებლო მომხმარებლად მიერთება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სოფელ ძველ ვეძისში მუდმივად ცხოვრობს 50-მდე ოჯახი. დადგემილია მათთვის წყალომომარაგების ქსელის მოწესრიგების სამუშაოების ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა, წყალომომარაგების ქსელის მოწესრიგების სამუშაოები ჩატარდა სოფელ ძველ ვეძისში, სადაც მუდმივად ცხოვრობს 50-მდე ოჯახი.

06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"

2019 წლის გეგმა - 1,274.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,222.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით (პალიატიური ზრუნვა) გათვალისწინებული ხარჯების

ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისისათვის“ – 82.6 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 1,139.5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში პალიატიური ჰოსპისით და თავშესაფარით ისარგებლა საშუალოდ თვეში 143 ბენეფიციარმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მომსახურებით (თავშესაფარი, ჰოსპისი) ისარგებლა საშუალოდ თვეში 139-მა ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 143-მა ბენეფიციარმა

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 770.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს) 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვისათვის ოჯახის უფლებამოსილი პირის სახელზე მაისში და დეკემბერში კუთვნილი ფულადი დახმარების დარიცხვა 400-400 ლარის ოდენობით. მაისში კუთვნილი 400 ლარი მიიღო 956 შშმ ბავშვმა, ხოლო დეკემბერში - 926 შშმ ბავშვმა. ამასთან, დაფარულია 43 შშმ ბენეფიციარის კუთვნილი 2018 წლის ფინანსური დახმარების დავალიანება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაფინანსდა საშუალოდ თვეში 874 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 963 ბენეფიციარის დაფინანსება (წელიწადში ორჯერ).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა საშუალოდ თვეში 941 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: შემცირება განაპირობა სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილებამ.

06 02 23 ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 75.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება თვეში 6 520 ლარი, გარდა აგვისტოსი - 4 070 ლარი. მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ყოველთვიურად ხორციელდებოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა (არაუმეტეს 25 ბავშვისა თვეში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 25 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა 24 ბავშვმა

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 546.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 535.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში `სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირთათვის განხორციელდა მაისის, აგვისტოს და დეკემბრის თვეების კუთვნილი ფულადი დახმარების დარიცხვა, თვეში 300 ლარის ოდენობით. მაისის თვის კუთვნილი დახმარება მიიღო 600 უსინათლო პირმა, აგვისტოს თვის-586-მა, ხოლო დეკემბრისა კი-576 უსინათლო პირმა. ასევე, 23 ბენეფიციარისთვის გაიცა 2018 წლის კუთვნილი დახმარებაც 300 ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ 601 ბენეფიციარს, წლის განმავლობაში სამჯერ ერიცხება კუთვნილი დახმარება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 640 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა სამჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 587 ბენეფიციარი.

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 475.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 643 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი. (მათ შორის: 289 ოჯახს - 500 ლარი 1 ან 2 ბავშვის, 215 ოჯახს - 800 ლარი მე-3 ბავშვის, 99 ოჯახს - 1 000 ლარი მე-4 ბავშვის, 40 ოჯახს - 1 500 ლარი მე-5 და მეტი ბავშვის შეძენისთვის).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დახმარება გაეწია 697 ბავშვის ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების გაწევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 643 ბავშვის ოჯახს

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: შემცირება განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილებამ.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 440.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 423.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უძლური ხანდაზმულებისათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები პირებისათვის (ბართელის უძლურების

შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 31.3 ათასი ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 107.1 ათასი ლარი, „ჩერნოვეცკის ფონდისათვის“ – 203.4 ათასი ლარი, ერთად მოყვასისათვის - 17.3 ათასი ლარი, წითელი ჯვარი - 47.1 ათასი ლარი, პროგრამაში ჩართული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 17.3 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 774 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 70% ქალი, 30% კაცი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება საშუალოდ თვეში 853 ბენეფიციარის მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 597 ქალი, 256 კაცი)

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 846 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 590 ქალი, 256 კაცი).

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 872.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 868.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია პროგრამის ადმინისტრირების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 39.4 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების (13 დღის ცენტრი) მომსახურებით, მომსახურების 25% დაფინანსება იანვრის თვეში, ხოლო თებერვლის თვიდან კი 20%-ის

თანადაფინანსება. კერძოდ, ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - 3632.85 ლარი; ა(ა)იპ კავშირი ია - 4013.75 ლარი, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 5650.45 ლარი, ა(ა)ი.პ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 5309.20 ლარი, ა(ა)იპ კავშირი ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ - 13967.85 ლარი, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - 5885.10 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 753.35 ლარი, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - 1103.70 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - 6497.40 ლარი, ა(ა)იპ რეაბილიტაციის ცენტრი აისი - 9504.95 ლარი, ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 5188.95 ლარი, ა(ა)იპ თაობა - 881.40 ლარი, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი - 642.20 ლარი, ჯამში დაფინანსდა - 63.0 ათასი ლარით. ასევე, დაფინანსდა საგარანტიო შესრულებები (63 განცხადება) სხვადასხვა საჭიროებებისათვის - 570.6 ათასი ლარით, ხოლო საპროექტო განაცხადის საფუძველზე (14 პროექტი) გაცემულია დაფინანსება 184.8 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაფინანსდა 67 განცხადება/პროექტი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება


მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 78 განცხადება/პროექტი

- **განათლება**


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები ს განვითარების ხელშეწყობა	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	მოსწავლე ახალგაზრდობი ს ეროვნული სასახლე	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა
2017 წლის ფაქტი	108 888,6	2 575,3	5 079,2	2 107,8	1 909,9	161,5
2018 წლის ფაქტი	121 343,8	2 592,2	11 484,3	3 107,8	2 214,3	208,6
2019 წლის ფაქტი	134 684,0	2 600,6	14 540,3	2 493,2	1 901,5	172,9



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 134,684.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 139,346.8 ათასი ლარის 96.7%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

2019 წლის გეგმა - 139,346.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 134,684.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა; ახალი ბაღების მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია 112,428.4 ათასი ლარი. მათ შორის: ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური ხარჯები, ინვენტარის და სხვა აუცილებელი ხარჯები. მომსახურება გაეწია ა(ა)იპ ქ.თბილისის 185 საბავშვო ბაგა-ბაღში 61 100-მდე აღსაზრდელს. ასევე,

დაფინანსებულია ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ფუნქციონირების ხარჯები და სხვა.

გარდა ამისა, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, მათ შორის:

2018 წელს დაიწყო და 2019 წელს გრძელდება შემდეგი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა: ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა ისნის რაიონში საინგილოს ჩიხში - 2019 წლის ანაზღაურებულია - 575.6 ათასი ლარი, ნავთლუღში საექიმოს ქუჩაზე - 2019 წელს ანაზღაურებულია - 1,047.6 ათასი ლარი, გლდანის მე-6 მ/რ-ში - 2019 წელს ანაზღაურებულია - 1,058.3 ათასი ლარი, გლდანის მე-8 მ/რ-ში 2019 წელს ანაზღაურებულია - 1,186.5 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში ორთაჭალის N90-ში - 2019 წელს ანაზღაურებულია - 710.9 ათასი ლარი;

2019 წელს დაიწყო და გრძელდება შემდეგი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა: მ.ჭიაურელის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა - 2019 წელს ანაზღაურებულია - 1,749.8 ათასი ლარი, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა ვარკეთილის მე-3 მასივში ზემო პლატოზე - 2019 წელს ანაზღაურებულია 587.2 ათასი ლარი, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა გლდანში მუხიანის პირველ მიკრორაიონში - 2019 წელს ანაზღაურებულია - 651.0 ათასი ლარი, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა სამგორში ქინძმარაულის ქუჩაზე - 2019 წელს ანაზღაურებულია 110.0 ათასი ლარი, ლილოს დასახლებაში ე.აფხაზავას ქუჩაზე 2019 წელს ანაზღაურებულია - 2,141.0 ათასი ლარი; მიმდინარეობს #19 საბავშვო ბაგა-ბაღის სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები, რისთვისაც 2019 წელს ანაზღაურებულია 1,555.6 ათასი ლარი;

დასრულდა კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, რისთვისაც - 2019 წელს ანაზღაურებულია - 1,336.3 ათასი ლარი;

ასევე, 2018 წელს დაიწყო და დასრულდა N10 და N21 საბავშვო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეკონსტრუქციის სამუშაოები, საიდანაც N10 საბავშვო ბაგა-ბაღის გამაგრება რეაბილიტაციისთვის საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია 1,027.8 ათასი ლარი და N21 საბავშვო ბაგა-ბაღის გამაგრება რეაბილიტაციისთვის ანაზღაურებულია 512.4 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა N2, N4, N150, N55, N144, N100, N126, N170, N200 საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშოები. მათ შორის მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - N100 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის 189.9 ათასი ლარი, N126 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/ რეაბილიტაციისთვის 466.4 ათასი ლარი, N170 და N200 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება რეაბილიტაციისთვის 245.7 ათასი ლარი, N150 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება რეაბილიტაციისთვის 313.0 ათასი ლარი, N2 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის 593.1 ათასი ლარი, N4 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის 452.0 ათასი ლარი, N55 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის 349.6 ათასი ლარი და N144 საბავშო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეაბილიტაციისთვის 312.9 ათასი ლარი;

დასრულდა 35-მდე საბავშვო ბაგა-ბაღების ეზოების კეთილმოწყობა, რისთვისაც 2019 წელს ანაზღაურებულია 1,320.8 ათასი ლარი; ასევე, გაწეულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და ტექნიკური სამუშაოების ზედამხედველობის ხარჯები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით ზაფხულში დედაქალაქის მასშტაბით არსებული საბავშვო ბაგა-ბაღებიდან შეირჩა 40 ბაღი, სადაც ივლისის თვეში განხორციელდა „საზაფხულო ბაღების“ პროექტი და მომსახურებით ისარგებლა 13 000 -მდე აღსაზრდელმა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ზოგიერთი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ეზოს კეთილმოწყობა საბავშო ბაგა-ბაღების ნაწილში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება 13-მდე საბავშვო ბაგა- ბაღის შენობას, კეთილმოეწყობა 35-მდე საბავშო ბაგა-ბაღის ეზო.

მიღწეული მაჩვენებელი - კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 20-მდე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაზე, დასრულდა 35-მდე საბავშო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - საბავშვო ბაგა-ბაღების არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს აღსაზრდელთა გაზრდილ მოთხოვნებს, შესაბამისად საჭიროა ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2018 წელს დაწყებული საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის დასრულება; ასევე, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდება 23-მდე ავარიულ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 1 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დემონტაჟი/მშენებლობა და გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11-მდე ავარიულ საბავშვო ბაგა- ბაღის შენობას.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაჭიანურდა აღნიშნული ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრების პროექტირებების ექსპერტიზა და ახალი საბავშო ბაგა-ბაღების მშენებლობის პროცედურები

3.საბაზისო მაჩვენებელი - საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების რაოდენობა - 61 500- მდე

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 63 000- მდე აღსაზრდელის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბავშო ბაგა-ბაღები მოემსახურა 61 100-მდე აღსაზრდელს (ჯგუფებში აღსაზრდელთა დაკომპლექტება მოხდა სტანდარტებთან მიახლოების მიზნით).

07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა დაფინანსებულია 14,540.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 16,510.4 ათასი ლარის 88.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 142.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 133.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სასკოლო კლუბების განვითარება, მოსწავლეების და სკოლების ჩართულობის ხარისხი არაფორმალურ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში; თბილისელი მოსწავლეების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ ოლიმპიადებში და კონკურსებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა „აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი“-ს პროექტი - „ლუდომანიის პრევენცია სკოლებში“, რომლის მიზანი იყო თბილისის 10 სკოლაში ლექცია სემინარების ჩატარება მოსწავლეებში ლუდომანიის პრევენციისთვის; ა(ა)იპ „მათემატიკის ფესტივალი“-ს პროექტი -„მათემატიკის მე-4 ფესტივალი”, რომლის მიზანი იყო სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება და მათემატიკის პოპულარიზაცია; „მზის შვილები“-ს პროექტი - „ჩვენი საჩუქარი“, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა ღონისძიებებითა და აქტივობებით ხელი შეეწყოს საზოგადოებაში დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, შშმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას; ა(ა)იპ ქართული სახელოვნებო სააგენტოს პროექტი „მოსწავლე ახალგაზრდებში თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა”, რომლის მიზანი იყო შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება და მოსწავლე-ახალგაზრდებში თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია; ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ჩემი სახლის“ პროექტი „ბავშვთა პიროვნული, ინტელექტუალურ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“, რომლის მიზანი იყო გამოყენებითი ხელოვნება არტ-თერაპიის საშუალებით, სკოლის ასაკის მოსწავლეებში განახორციელოს ფსიქო-რეაბილიტაცია, მათი შესაძლებლობების და უნარების განვითარება; პროექტი „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ ზაფხულის ვიკი-ბანაკი 2019, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა ახალი თაობის ცნობიერების ამაღლება თბილისის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მოსწავლეების მიერ ვიკიპედიის შევსება თბილისის შესახებ ახალი მასალებით; ა(ა)იპ თანაბარი შესაძლებლობების პროექტი - “ბულინგი შეზღუდული შესაძლებლობების ნიადაგზე“, რომლის

მიზანია ხელი შეუწყოს შშმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას, შეზღუდული შესაძლებლობების ნიადაგზე არსებული ბულინგის აღმოფხვრის გზით; სსიპ „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლის" პროექტი „საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა ახალგაზრდა ფიზიკოსთა 33-ე საერთაშორისო ტურნირზე (რუმინეთი, ტიმიშოარა, 9-16 ივლისი, 2020)", რომლის მიზანი იყო თბილისელი მოსწავლეების „ახალგაზრდა ფიზიკოსთა 33-ე საერთაშორისო ტურნირში" მონაწილეობის ხელშეწყობა; ა(ა)იპ ,,თავისუფალი ცნობიერების" პროექტი ,,მოზარდ მოაზროვნეთა კლუბი", რომლის მიზანი იყო სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოსწავლეების (დევნილი; სოციალურად დაუცველი მოზარდები და სხვ.) საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა; ა(ა)იპ ,,საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" პროექტი ,,ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საგანმანათლებლო ინკლუზიის ხელშეწყობა", რომლის მიზანი იყო ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესისა და სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა თბილისის საჯარო სკოლებში, თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური მიდგომებით; ა(ა)იპ „ანიმალაბის" პროექტი „TIAF 2019 - თბილისის მე-2 საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი", რომლის მიზანია თანამედროვე ანიმაციური და გრაფიკული ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაცია მოსწავლეებში, ბავშვებსა და მოზარდებში; ახალგაზრდების დაინტერესება ანიმაციით, მომავალი პროფესიული არჩევანის ამ სფეროსთან დაკავშირების პერსპექტივით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს პროგრამაში მონაწილეობდა 50 სკოლა, სასკოლო ფორუმში და ფესტივალებში ჩართული იყო 3000 მოსწავლე

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამაში მონაწილე 100 სკოლა და მოსწავლეთა ჩართულობის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული 150 სკოლა, არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში 4000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მხარდაჭერილი და განხორციელებული ინიციატივები სკოლის მოსწავლეთათვის: 5 ინიციატივა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მხარდაჭერილია 12 ინიციატივა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელებული სასკოლო თემატური ოლიმპიადების და კონკურსების რაოდენობა: 3 ოლიმპიადა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობა და 2 ფესტივალი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე თბილისელ მოსწავლეთა რაოდენობა - 6 მოსწავლე

დაგეგმილი მაჩვენებელი - საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე -20 მოსწავლე

მიღწეული მაჩვენებელი - საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე -5 მოსწავლე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სკოლების მომართვიანობა შემცირდა ამ მიმართულებით, ვინაიდან ტექნოპარკმა და განათლების სამინისტრომ დააფინანსა საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა()იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2019 წლის გეგმა - 11,978.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 10,328.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კავალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში გეო-სისტემის განვითარება; განახლებული სერვისცენტრები; ელექტრონული მმართველობის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს‘‘ ფუნქციონირების

ხარჯები. განხორციელდა 2 პროექტი, შეიქმნა და გაიშვა build.tbilisi.gov.ge და chargers.tbilisi.gov.ge, Taxi.Tbilisis.gov.ge-ს დაემატა SMS სერვისი და ტაქსები A და B კატეგორიები. ასევე, მომზადდა თბილისის ზონალური და საათობრივი პარკინგის პროექტი, რომელიც საპილოტე პროექტია და ამოქმედდა 1 აგვისტოდან. დაიწყო A კატეგორიის ტაქსების ლიცენზიების გაცემა, 1 სექტემბრიდან თბილისის ზონალური და საათობრივი პარკინგის პროექტი გადავიდა მეორე ეტაპზე. ასევე, გაშვებულ იქნა შემდეგი პროგრამები: Budget.Tbilisi.gov.ge, Help.Tbilisi.gov.ge და Parking.Tbilisi.gov.ge.

დაინერგა სისტემური მართვის მეთოდოლოგია Agile da Scram, Jira Software-ის გამოყენებით, აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით დაიგეგმა და განხორციელდა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის, მოქალაქის ელექტრონული პორტალის urban.tbilisi.gov.ge-ს და apps.municipal.gov.ge-ს განახლება, ფუნქციონალების დამატება და არსებული ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა.

განახლებულ და შესყიდულ იქნა ანტივირუსული და პროგრამული ლიცენზიები, პროგრამული უზრუნველყოფა DELPHIX, დიზაინ სისტემის კრებული Figma-სთვის პროგრამული უზრუნველყოფა, პაროლების ავტომატური გენერირების და აღნიშნულის დაშიფრულად ბაზაში შენახვის პროგრამა, აპლიკაციების, სერვისებისა და სერვერების მონიტორინგის პროგრამა. შესყიდულ იქნა 25 კომპლექტი სტანდარტული კომპიუტერი და 11 ცალი პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი).

ქალაქის მასშტაბით მომსახურების ცენტრების მართვის სამსახურის 11 სერვის ცენტრში მომსახურება მიიღო 539 308 მოქალაქემ, ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე, მიღებულ იქნა 341 278 განაცხადი. დისტანციური მომსახურების სამსახურის მიერ განხორციელდა 574 678 სატელეფონო ზარის მომსახურება;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტრეინინგ ცენტრმა განახორციელა მოკვლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებსა და ორგანიზაციებში ტრენინგ კურსების საჭიროებებზე, შესაბამისად, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, აუდიტის სამსახურისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს 19-მა თანამშრომელმა გაიარა საჯარო სამსახურის აუდიტის ტრენინგ კურსი სახელმწიფო აუდიტის სასწავლო ცენტრში. ასევე, ტრენინგები ჩატარდა 48 სხვადასხვა მოდულში და სულ გადაამზადდა 2796 თანამშრომელი, ტრენინგები განკუთვნილი იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობების, საკრებულოსა და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისთვის.

ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ გამოკვლეული და გასწორებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპიუტერულ ქსელში წარმოქმნილი პრობლემები და მოხდა ყველა ვებ გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა და სიახლეების დამატება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლისათვის ტრენინგები ჩატარდა 28 მოდულში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 25-მდე მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2000-მდე გადამზადებული თანამშრომელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 48-მდე მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2796 გადამზადებული თანამშრომელი, მ.შ. კაცი - 1 118 , ქალი - 1 678.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილ მოდულებზე მოთხოვნის ცვლილება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 11 სერვის ცენტრიდან გასარემონტებელია 8 სერვის ცენტრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გარემონტებული 8 სერვის ცენტრი.

მიღწეული მაჩვენებელი - ნაწილობრივ რეაბილიტირებული სერვის ცენტრები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პროექტის შესრულების ვადის გადაცილება.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის განმავლობაში შექმნილია და გაშვებულია შემდეგი პროგრამები: idea.tbilisi.gov.ge, urban.tbilisi.gov.ge, Apps.municipal.gov.ge, Maps. Tbilisi.gov.ge, youth.municipal.gov.ge, Taxi.Tbilisis.gov.ge, parking.tbilisi.gov.ge.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი პროექტებიდან გასაშვები პროგრამები: build.tbilisi.gov.ge, Budget.Tbilisi.gov.ge, Help.Tbilisi.gov.ge, parking.tbilisi.gov.ge.

მიღწეული მაჩვენებელი - გაშვებული პროგრამები: Build.Tbilisi.gov.ge, Budget.Tbilisi.gov.ge, Help.Tbilisi.gov.ge, Parking.Tbilisi.gov.ge.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2014 წელში გადაღებული თბილისის რუკა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2019 წელს გადაღებული თბილისის ორთო ფოტო 516 კვ.კმ მაშტაბზე და თბილისის 3D რუკა 270 კვ.კმ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ იქნა მიღწეული.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არაჯეროვანი შესრულების გამო ხელშეკრულება შეწყდა.

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

2019 წლის გეგმა - 4,390.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,078.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება; სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები - 1,661.8 ათასი ლარი. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები: მათ შორის: რეკლამის ხარჯები - 235.9 ათასი ლარი (სოციალურ ქსელის - facebook საშუალებით მოხდა მოსახლეობის ინფორმირება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის შესახებ), სხვა საინფორმაციო ხასიათის მოსახურებაზე გაწეული ხარჯები - 2,015.0 ათასი ლარი, კერძოდ დამზადდა ვიდეო და აუდიო რგოლები, განხორციელდა რამდენიმე ტელევიზიის სატელევიზიო ეთერში საინფორმაციო ვიდეო/აუდიო რგოლების განთავსება. ასევე, შესყიდულ იქნა ხმის ტექნიკოსის მომსახურება სააგენტოს მიერ დამზადებული ვიდეო რგოლების გახმოვანების მიზნით (თბილისში ელექტრო მობილების დამტენების დამონტაჟებასთან დაკავშირებით დამზადებული ვიდეო

რგოლები, ი.ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო ვიდეო რგოლი, გააზიარე ცოდნა, ზონალურ-საათობრივი პარკირების საპილოტე პროგრამის შესახებ, ტაქსების რეფორმასთან დაკავშირებით, საახალწლო და თბილისობის გარევაჭრობისა და პროგრამების შესახებ ვიდეო რგოლები, საახალწლო მილოცვა და ნაგავ შემკრები კონტეინერების ღამის საათებში დაცლის შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლი). ასევე, განხორციელდა სააგენტოში დამზადებული სხვადასხვა ვიდეო რგოლების განთავსება თბილისის კინო თეატრებში ფილმის დაწყებამდე, სარეკლამო დროისთვის განკუთვნილი პერიოდის განმავლობაში; თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების პირდაპირი ეთერით გადაცემა; რეიტინგული ტელე ეთერების (წლის განმავლობაში სრულმა მაჩვენებელმა შეადგინა 20 083,41 wGRP) ასევე, რადიო მაუწყებლებისა და კინო თეატრებში (სარეკლამო დროის განმავლობაში) განთავსებებმა უზრუნველყო მოსახლეობის მაქსიმალურად ინფორმირება. ძირითადი აქტივების შეძენაზე (ბანერის დასამაგრებელი კონსტრუქცია და მოცულობითი წარწერის კონსტრუქცია „თბილისისთვის“, საინფორმაციო ბანერ-კონსტრუქციები, საოფისე ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, ფოტოაპარატი და ფოტოაპარატის სხვადასხვა სახის ნაწილები) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 165.9 ათასი ლარი. ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 92,3 ათასი ლარი, 26 მაისს - დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საკომუნიკაციო კამპანიის ფარგლებში, თბილისის ავტობუსის მოსაცდელების შეფუთვისა და მოსახლეობისთვის მისალოცი გრაფიკული რგოლების თბილისის მონიტორებზე განთავსებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლისათვის დამზადებულია 10 აუდიო და ვიდეო რგოლი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 14 დამზადებული აუდიო და ვიდეო რგოლი.

მიღწეული მაჩვენებელი - 11 დამზადებული აუდიო და ვიდეო რგოლი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არსებული რესურსის გადანაწილება ინფორმაციის განთავსებისთვის.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლისათვის ტელევიზიების და რადიოების 9 ერთეული, სადაც განთავსდა აუდიო და ვიდეო რგოლი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ტელევიზიების და რადიოების 11 ერთეული, სადაც განთავსდება აუდიო და ვიდეო რგოლები.

მიღწეული მაჩვენებელი - ტელევიზიების და რადიოების 16 ერთეული, სადაც განთავსდა აუდიო და ვიდეო რგოლები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ინფორმაციის გავრცელების მიზნით მეტი საინფორმაციო არხის გამოყენება.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის განმავლობაში ინფორმაცია განთავსდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების FACEBOOK - 11 გვერდზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების FACEBOOK - 19 გვერდზე.

მიღწეული მაჩვენებელი - FACEBOOK - 33 გვერდი და 1 ისტაგრამი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ინფორმაციის გავრცელების მიზნით მეტი facebook გვერდის გამოყენება.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს პირდაპირ ეთერით გადაცემულია 2 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პირდაპირ ეთერით გადასაცემი 2 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - პირდაპირ ეთერით გადაცემულია 16 ღონისძიება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განხორციელებული პროექტების საზოგადოებისთვის გაცნობის აუცილებლობა.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,600.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,700.0 ათასი ლარის 96.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 01 თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

2019 წლის გეგმა - 828.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 785.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.9%-ია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები: თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული საბოლოო შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 1 ივნისამდე თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (34 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 1 ბიბლიოთეკა - სულ 35 ფილიალი) ფუნქციონირების ხარჯები. ამავე, პერიოდში ჩატარდა 18 სხვადასხვა შემეცნებით და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება და ბიბლიოთეკის სერვისით სარგებლობდა 21690 პირი. აღსანიშნავია, რომ 1 ივნისიდან მიმდინარეობს და გრძელდება მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის დასრულების პროცესი.

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2019 წლის გეგმა - 1,871.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,814.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა; ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის N19.404.530 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სსიპ „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ლიკვიდაციის პროცესი და ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ ფარგლებში მოექცა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა (34 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 1 ბიბლიოთეკა - სულ 35 ფილიალი) და თბილისის მედიათეკების გაერთიანება (ვაკის, ვარკეთილის და ნაძალადევის ფილიალი). საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 100-მდე სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება და ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლა 23000-მდე პირმა. საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, გაერთიანების ზოგიერთ ბიბლიოთეკის ფილიალში მოწესრიგდა მოძველებული ინფრასტრუქტურა, შეკეთდა სახურავი, გათბობა-გაგრილების სისტემა; მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების მიწოდებისა და მკითხელთა დაინტერესების მიზნით, სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური სტატუსის ჯგუფებისათვის განხორციელდა 7 გრძელვადიანი პროექტი, 3 გრძელვადიანი პროექტი სოციალურად დაუცველთათვის და 1 პროექტი დანაშაულის პრევენციის მიმართულებით.

07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 180.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 172.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის მასშტაბით პროგრამაში მონაწილე პროფესიული კოლეჯების რაოდენობის და გეოგრაფიული არეალის ზრდა; მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროექტი „მოკლე გზა დასაქმებისაკენ“, რომლის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სამუშაოს მაძიებელთათვის მოკლევადიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, პროფესიული უნარების გაუმჯობესებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის; სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“-ს პროექტი „პროფესიული განათლება-დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“, რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელთათვის, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, შრომის ბაზარზე კონკურენტუნრიანი კადრების არსებობას, მოქნილი და მოკლევადიანი პროგრამების სისტემის ჩამოყალიბებას, სოციალური პარტნიორობის განვითარებას; ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯში „იკაროსი“-ს პროექტი „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის მიზანია მოამზადოს კადრი ტურიზმისა და სერვისის ყველა იმ სფეროსათვის, რომელზეც მაღალი მოთხოვნაა; სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“-ს პროექტი „პროფესიული განათლება-დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“, პროექტი მოიცავს სამუშაოს მაძიებელ პირთათვის პროფესიული უნარების განვითარების გზით, შრომის ბაზრის ადეკვატური შრომითი რესურსების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, სოციალურ ინტეგრაციას და დასაქმების ხელშეწყობას; სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“-ს პროექტი - „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის მიზანია სამშენებლო და საინჟინრო მიმართულებით სამუშაოს მაძიებელთათვის მოკლევადიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზება, პროფესიული უნარების გაუმჯობესებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრის არსებობას შრომის ღია ბაზარზე.

2019 წელი	დარეგისტრირდა	ჩაირიცხა	დაამთავრა	დასაქმდა

ა.(ა)ი.პ. პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“	771	314	276	124
ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“	288	135	135	99
ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“	74	40	40	
ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“	219	146	121	73
ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“	225	116	85	54
სულ:	**1 577**	**748**	**657**	**350**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს გადამზადება გაიარა 700 კურსდამთავრებულმა, პროგრამაში ჩართული 3 პროფესიული ორგანიზაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გადამზადებას გაივლის 750 კურსდამთავრებული, პროგრამაში ჩართული 5 პროფესიული ორგანიზაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - 748 მოქალაქე ჩაირიცხა და 657-მა დაამთავრა სრული კურსი, პროგრამაში ჩართულია 5 პროფესიული ორგანიზაცია.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 1,901.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,136.0 ათასი ლარის 89%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 221.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 107.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 48.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისში; ქალაქში თემატურ ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა; თემატური

საზაფხულო და ზამთრის სკოლების მხარდაჭერა; სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის პროექტი - „სტუდენტური ორგანიზაციების ფორუმი“, რომლის მიზანია სტუდენტური ინიციატივების წახალისება და საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერების მხარდაჭერა; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროექტი - “დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია”, რომლის მიზანი იყო თბილისის მასშტაბით, გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება სტუდენტებსა და ახალგაზრდებში, ასევე მსჯელობა არსებული ეკოლოგიური გამოწვევების შესახებ; ა(ა)იპ „სტუდენტები მომავლისთვის“ პროექტი „საქართველოს ევროპული გზა”, რომლის მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება ევროკავშირის შესახებ და მათი ჩართულობის ხელშეწყობა ევროინტეგრაციის პროცესში; ა(ა)იპ „ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის“ პროექტი „საქართველოს ევროპული გზა”, რომლის მიზანი იყო ქართველი დიპლომატების, საჯარო მოხელეებისა და სტუდენტების ინფორმირება კულტურული დიპლომატიის მნიშვნელობისა და როლის შესახებ; ა(ა)იპ „სტუდენტები მომავლისთვის“ პროექტი „საქართველოს ევროპული გზა”, რომლის მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება ევროკავშირის შესახებ და მათი ჩართულობის ხელშეწყობა ევროინტეგრაციის პროცესში; ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ პროექტი „საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ინტელექტუალური საკუთრების სამართალში; ა(ა)იპ „ფონდი მოწყალე სამარიტელის“ პროექტი „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდა ავტორების წარმოჩენა და მომავალ თაობაში ტერენტი გრანელის შემოქმედების პოპულარიზაცია;

ა(ა)იპ ევროპის სტუდენტთა ფორუმი - თბილისი“ (AEGEE - Tbilisi)-ს პროექტი „ღვინის წვეთი მთიდან ზღვამდე“, რომლის მიზანი იყო ევროპის კულტურათა დაახლოება, მონაწილეთა ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა და

ქართული კულტურისა და ტრადიციის გაცნობა; სსიპ „ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს პროექტი - „ნიურნბერგის იმიტირებული პროცესი“, პროექტის მიზანი იყო სტუდენტების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება საერთაშორისო სისხლის სამართლის დარგში, პრაქტიკული გამოცდილების მიღება, კვალიფიციური იურისტების მომზადება და სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში; სსიპ “საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს პროექტი - „ოქსანა სმილკოვას მასტერკლასი ეტიუდების საიუბილეო 10-ე ფესტივალის ფარგლებში“, პროექტის მიზანი იყო “საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ დრამისა და კინოს მსახიობის პროგრამის სტუდენტების, ილიასა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ მასწავლებლების, თეატრალური ხელოვნების სპეციალისტებისთვის საჯარო ლექციისა და მასტერ-კლასის ორგანიზება; სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“-ს პროექტი „უცხოელი პროფესორების ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში“, პროექტის მიზანი იყო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული დონისა და ცოდნის ამაღლება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ პროექტები - „ინსტალაციის შექმნა ქალაქის ურბანული სივრცისათვის“ და „Garden Design”, პროექტების მიზანი იყო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და მიღებული ინფორმაციის ადაპტირება ურბანულ გარემოში; სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს პროექტი - „უცხოელი ექსპერტის მასტერკლასები განათლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და მისი ადმინისტრირების საკითხებზე“, პროექტის მიზანი იყო უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება; ა(ა)იპ „ინტელექტუალური მიგრაციის ინსტიტუტი“-ს პროექტი - „ინტერკულტურული, ინტერლინგვალური და ინტერმედიალური შემოქმედების როლი ქალაქის კულტურის პოლიტიკის

ფორმირებაში“, პროექტის მიზანი იყო სტუდენტებისა და სახელოვნებო დარგების სპეციალისტებისთვის მასტერკლასის ორგანიზება ინტერკულტურული, ინტერლინგვალური და ინტერმედიალური როლის შესახებ ქალაქის კულტურის ფორმირებაში, გივი მარგველაშვილის შემოქმედების მაგალითზე; ა(ა)იპ “კონცერტ არტ” -ის პროექტი - „Perform Me“, პროექტის მიზანი იყო უცხო ქვეყნის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებთან კონტაქტების დამყარება, ქართველი სტუდენტების გასვლითი კონცერტების ორგანიზება და მოწვეული სტუმრების ლექციების, მასტერკლასებისა და ინდივიდუალური გაკვეთილების ორგანიზება; ა(ა)იპ „ქალები კინოსა და ტელევიზიაში - კავკასიის“ პროექტი "ვორქშოპი - კინოწარმოების კო-პროდუქცია, გაყიდვები და დისტრიბუცია", პროექტის მიზანი იყო კინოინდუსტრიაში სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სხვა პროექტები;

დედაქალაქში უცხოელი ექსპერტების მოწვევის მიზნით, დაფინანსდა რვა ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა 12 უცხოელი სპეციალისტის ვიზიტი თბილისში. ინიციატივის ფარგლებში წლის ბოლომდე მიმდინარეობდა პროექტები, რომლის მიზანია სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, საერთაშორისო კონტაქტების განვითარება და ქალაქში, სხვადასხვა სფეროში, ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილე 1000 სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს კონფერენციებში, მასტერკლასებში, ვორქშოფებში, წარმოდგენილი იყო 3 თემა: მეწარმეობა, ინჟინერია და ტექნოლოგიები

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - კონფერენციებში, მასტერკლასებში, ვორქშოფებში, წარმოდგენილი იქნა 5 ძირითადი თემატიკა: ტექნოლოგიები, მეწარმეობა, გარემოს დაცვა, ევროკავშირთან ინტეგრაცია, უმაღლესი განათლების ხარისხი და კულტურა.

3. საბაზისო მაჩვენებელი - სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, აუცილებელია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოსაწვევი 15 უცხოელი სპეციალისტი და ლექციებში მონაწილე 1000 სტუდენტი

მიღწეული მაჩვენებელი - მოწვეული 12 უცხოელი სპეციალისტი და ლექციებში ჩართული 1000 სტუდენტი

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2019 წლის გეგმა - 615.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 509.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 82.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო სამართლებრივი დახმარების მიწოდება; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი"-ს ფუნქციონირების ხარჯები.

საანგარიშო პერიოდში პროექტის - „იურიდიული კლინიკა" ოფისებში დასაქმებული იყო 10 ტრენერ–ადვოკატი და 5 ადვოკატის თანაშემწე; ამჟამად ორგანიზაცია თანამშრომლობს ცხრა უნივერსიტეტთან. უმაღლესი სასწავლებლებიდან ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატის" პრაქტიკა გაიარა 257-მა სტუდენტმა, მათ შორის: 132 მოხალისე, 125 პრაქტიკანტი.

პროექტ „იურიდიული კლინიკას" საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 17 471-მა ფიზიკურმა პირმა, მათ

შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა 2 535 პირმა, 4 073 პენსიონერმა ასაკის გამო, 155 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და 384 იძულებით ადგილნაცვალმა პირმა, ასევე საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი დახმარების მიზნით ორგანიზაციას მომართა ორმაგი სტატუსის მქონე შემდეგმა პირებმა: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და ასევე შშმ 152 პირმა, პენსიონერი ასაკისა გამო და ასევე შშმ 78 პირმა და იძულებით გადაადგილებულმა და ასევე შშმ 23-მა პირმა.

მიმმართველთა მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა შორის აღსანიშნავია სოციალური, სამშენებლო ნებართვასთან, უძრავ ქონებასთან (მშენებლობა, ამხანაგობები, ე.წ. „ატსტუპნიკები“, აღიარება, ლეგალიზება, პრივატიზება) დაკავშირებული, აგრეთვე, სასარჩელო და სახელშეკრულებო საკითხები. გაწეულია შემდეგი სამართლებრივი დახმარება: ზეპირი კონსულტაცია 13 151; წერილობითი კონსულტაცია 1 669; სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა 2 651; დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 2,867 საქმე), წარმატებით დასრულდა 951 და მიმდინარეა 1 438 საქმე. აღნიშნულ საქმეებზე განხორციელდა 137 წარმომადგენლობა.

გარდა ამისა, ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი აქტივობები: სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში აქცია მოწოდებით „ცხოველებსაც აქვთ უფლებები“ და საგანმანათლებლო შემეცნებითი სატელევიზიო პროექტი „ჩემი ადვოკატის საათი“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს სამართლებლივი დახმარება გაეწია 16565 მოქალაქეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამართლებლივი დახმარება გაეწევა - 18 500 მოქალაქეს

მიღწეული მაჩვენებელი - სამართლებრივი დახმარება გაეწია 17 471 მოქალაქეს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა: 513

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობას მიიღებს 564 სტუდენტი

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 600 სამართლის ფაკულტეტის სტუდეტებმა და კურსდამთავრებულებმა.

07 05 03 სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 1,300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,284.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის გაიზრდება უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის დონე; თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით 2000-მდე განცხადება, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 1700 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, ხოლო წარმატებული სწავლისათვის თბილისში რეგისტრირებულ 250 წარჩინებულ მაგისტრანტს გადაეცა თბილისის მერიის სტიპენდია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაფინანსებული 1600 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 250 წარმატებული მაგისტრანტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 1700 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 250 წარმატებული მაგისტრანტი.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 2,493.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,715.7 ათასი ლარის 91.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 06 01 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2019 წლის გეგმა - 2,715.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,493.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება; მოზარდების დაინტერესება და დამატებითი ცოდნის საფუძვლიანი მიღება.


საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ ფუნქციონირების ხარჯები. ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს თბილისის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 557 ღონისძიება/პროექტი, მათ შორის: 219 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, 150 ტრენინგი/ ლექცია/ პრეზენტაცია, 80 გასვლითი ღონისძიება, 32 კონკურსი/შეჯიბრი/ასპარეზობა, 7 კონფერენცია/კვირეული, 25 ფესტივალი/შეკრება, 45 გამოფენა, 4 კონცერტი. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 31 060-მდე ახალგაზრდამ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სასახლეში შეიქმნა თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი („თაო“), რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის მასშტაბით ჩატარებულ 8 და 1 საერთაშორისო ღონისძიებაში.

მიმდინარე პერიოდში შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და გახმოვანების აპარატურა, ხმის გამაძლიერებელი, ხმის მართვის პულტი, მიკროფონები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და ტექნიკა, მათ შორის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებისთვის - სამხატვრო მაგიდები და ტუმბოები, 3 მეტალის კარადა და 5 კონდეციონერი, სცენის მოწყობისთვის შეძენილი იქნა სცენის 10 ცალი პოდიუმი; არქიტექტურისა და ინჟინერიის მიმართულებისთვის - დაზგები: ლენტური ხერხი, დაზგური ხერხი,


საბურღი დაზგა, საჭრელი დაზგა, საბავშვო ჩარხების კომლეტი, მიკროპრესი; სარეგისტრაციო განყოფილებისთვის - ტურნიკეთის ბარათები; სასახლის დარბაზების და სამუზეუმო სივრცეებისთვის მაგიდები, სკამები, სავარძლები; რესტავრაცია ჩაუტარდა სამუზეუმო სივრცეში განთავსებულ ნივთებს და სხვა.


❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

ათასი ლარი



ათასი ლარი





08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 2,407.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,608.9 ათასი ლარის 92.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2019 წლის გეგმა - 858.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 663.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 77.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 210 მიმდინარე და 6 საპრემიერო სპექტაკლი, მონაწილეობა იქნა მიღებულ 13 გასტროლში (ქვეყნის შიგნით - 8, ქვეყნის გარეთ - 5), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 23913, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (16618) 7295-ით მეტია. ასევე, დაიწყო ინკლუზიური დარბაზის მშენებლობის სამუშაოები.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2019 წლის გეგმა - 369.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 363.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის პანტომიმის, პლასტიკური და მოძრაობის

საერთაშორისო ფესტივალის ჩატარების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 62 მიმდინარე, 3 საპრემიერო და 9 საქველმოქმედო სპექტაკლი, მონაწილეობა იქნა მიღებული 5 გასტროლში (ქვეყნის შიგნით - 3, ქვეყნის გარეთ - 2), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 5189, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2715) 2474-ით მეტია.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2019 წლის გეგმა - 962.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები, დამტკიცდა თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა, დადგინდა პროგრამა „ნიუ“-ს სპექტაკლები და ქართული შოუქეისის სპექტაკლები. საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ქვეყნების - დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, საბერძნეთის, ბელორუსიის, შვეიცარიის, ესპანეთის, უკრაინის, ისრაელის და ლიეტუას თეატრალური დასები (სულ 10 ქვეყნის 15 დასის 17 სპექტაკლი, მათ შორის პროგრამა NEW – 3). ქართული პროგრამის ფარგლებში კი, რომელიც ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა წარმოდგენილი იქნა 26 სპექტაკლი (მათ შორის: 5 პრემიერა 11 რეკომენდირებული სპექტაკლი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის და რეგიონების თეატრებმა. სტუმრების რაოდენობა - 300 ადამიანი, ვორქშოპი - 1 (კომპანია „Fuse“ – მა წარმოადგინა ლექცია საერთაშორისო

აღიარების მქონე ლაივ-მედია ოპერის, "Dökk"-ის შესახებ), შეხვედრა - 1 (The Tin Drum, ბერლინერენსამბლე (გერმანია) სპექტაკლის შემდეგ, რეჟისორ ოლივერ რიზესთან და მსახიობ ნიკო ჰოლონიკსთან გაიმართა მაყურებელთან შეხვედრა). აღსანიშნავია, რომ ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა ჩატარდა 23 სექტემბერი - 24 ოქტომბერი, ხოლო ფესტივალის ქართული პროგრამა 2 - 6 ოქტომბერი. თეატრალურმა ფესტივალმა 2019 წელს პირველად უმასპინძლა არტ მარკეტს" - თბილისის ბაზარი".

08 01 05 თეატრი „გლობუსი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თეატრი „გლობუსი“

2019 წლის გეგმა - 215.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 214.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 55-მდე მიმდინარე და 3 საპრემიერო სპექტაკლი, მონაწილეობა იქნა მიღებული 1 გასტროლში (ქვეყნის შიგნით) მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1364, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (1768) 404-ით ნაკლებია.

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2019 წლის გეგმა - 203.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შემოქმედებითი და

გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები. წარმოდგენილ იქნა 107 მიმდინარე და 3 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 10820, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (11020) 200-ით ნაკლებია.

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ა(ა)იპ სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი;

2019 წლის გეგმა - 1,893.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,824.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით, N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე, ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე („ბიჭუნათა კაპელა“) მოსწავლეთა უფასო სწავლება (თვეში საშუალოდ 743 ბავშვი); გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა, 660 მოსწავლე) დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად; ამასთან,

გაწეულია მიმდინარე პერიოდში ხელოვნების სკოლების, სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების, დასუფთავების და ინტერნეტის ხარჯები, საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელების და ხელოვნების სკოლებისთვის (6 სკოლა) საიუბილეო კონცერტების ჩასატარებლად დარბაზის იჯარის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არამოთხოვნად სპეციალობებზე და სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1398 მოსწავლე (მ.შ. 722 გოგო, 676 ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - სულ თვეში საშუალოდ 1403 მოსწავლე (მ.შ. – 726 გოგო, 677 - ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 743 (მ.შ. 266 - გოგო, 477 - ბიჭი); სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 462 გოგო, 198 ბიჭი).

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 1,332.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,369.5 ათასი ლარის 97.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2019 წლის გეგმა - 144.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 117.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 81.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება; ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა; გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების ხარჯები, შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის სამონტაჟო სამუშაობის პროექტის მომზადების, მცირე სარემონტო სამუშაობის და ინვენტარის ტრანსპორტირების ხარჯები. ასევე, გალერეაში ჩატარდა 11 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება (მონაწილე 480 მოსწავლე). გალერეაში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 1820, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (4670) 2850-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ 1 ივლისიდან გალერია გადავიდა ახალ შენობაში, რომელშიც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რის გამოც სასწავლო პროცესი და ღონისძიებების განხორციელება შეჩერებულია.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2019 წლის გეგმა - 1,224.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,214.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები, მუზეუმში შემავალი სტრუქტურული ერთეულის სარემონტო სამუშაოების, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებული ექსპოზიციის ხარჯები. გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ჩატარდა 273 საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც მონაწილეობდა 4423 მონაწილე; მუზეუმის საქმიანობის შესახებ მომზადდა 64 მედია სიუჟეტი, მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემები; მუზეუმების გაერთიანებამ პირველ საერთაშორისო კონფერენციას

„საქართველო და XX საუკუნე“ უმასპინძლა, კონფერენციას დაესწრო 30 მონაწილე და 50 მსმენელი, ჩატარდა 15 საჯარო დისკუსია; მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის (18-25 მაისი) ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები. საანგარიშო პერიოდში მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემები, რომელთა პრეზენტაციაც დაგეგმილია 2020 წლის პირველ კვარტალში. გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფონდი გაიზარდა 465 ერთეულით, 53 ტიპოლოგიური ნივთი შეძენილია საფონდო - შემსყიდველი კომისიის გადაწყვეტილებით, 340 შეძენილია შსს არქივიდან, მათ შორის 34 მიღებულია შემოწირულების გზით. დამხმარე ფონდი გაიზარდა - 2 ერთეულით. საანგარიშო პერიოდში ვიზიტორების (მ.შ. საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში) რაოდენობამ შეადგინა 13180, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (12763) 417-ით მეტია. გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდში დასრულდა გალაქტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 3,032.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,304.5 ათასი ლარის 91.8%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2019 წლის გეგმა - 525.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, “ბიგ-ბენდმა” მონაწილეობა მიიღო ქალაქის

მაშტაბით ჩატარებულ 30-მდე სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის თბილისის ჯაზფესტივალში.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2019 წლის გეგმა - 188.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 177.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები და საზოგადეობის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, „ხოჯევანქი" და ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები, ტექნიკის შეძენა და სხვა). გარდა ამისა, გაწეულია ახალ პანთეონში (მახათას მთაზე) ტიპიური საფლავის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების და ტიპიური საფლავების კეთილმოწყობის ხარჯები.

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

2019 წლის გეგმა - 2,590.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,330.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 90%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სხვადასხვა ღონისძიებები:

შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება - ალოიზ მიზანდარის სახელობის №1, არჩილ ჩიმაკაძის სახელობის №3, რევაზ ლაღიძის სახელობის №4, კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7, ვიქტორ დოლიძის სახელობის №15, ქ. თბილისის მერიის №21, გიორგი ცაბაძის სახელობის №25, ალექსი მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლები, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა, ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია; შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლის შენობაში და ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის შენობაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეას შენობაში ლიფტის დასამონტაჟებლად;

ასევე, დაფინანსდა მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 და არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლები - საკონცერტო როიალის განახლება-რესტავრაციის მიზნით; კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლა - ელექტრო გაყვანილობის სიმძლავრის გაზრდის მიზნით; ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია შენობაში გაზის სიმძლავრის გაზრდის, გაზის მილსადენებისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოებისთვის; თბილისის მერიის №23 ხელოვნების სკოლა - ინვენტარის და ინსტრუმენტების გადატანის მიზნით; ალექსი მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლის შენობაზე მოძრავი ცხაურების დასამონტაჟებლად (სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით), დაზიანებული ელექტროკაბელების აღდგენისათვის; ჰამლეტ გონაშვილის №29 ხელოვნების სკოლის შენობის საევაკუაციო კიბის და მოაჯირების (სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით) მოწყობის მიზნით; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონში (ახალი პანთეონი) ახალი ღობის მოწყობის სამუშაოები; ამასთან,

დაფარულია 2018 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი სამუშაოების დავალიანება 13.6 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი 43 კულტურის ობიექტი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 18 კულტურის ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება და თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა.

08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; მერიის ადმინისტრაცია

2019 წლის გეგმა - 3,659.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,524.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა საერთაშორისო კულტურულ სივრცეში; ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედების წარმოჩენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სხვადასხვა კულტურულ აქტივობაში; ტრადიციული დარგების ხელშეწყობა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები თბილისის დაძმობილებულ ქალაქებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის 4 ღონისძიება, თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშემწყობი 26 ღონისძიება; საფესტივალო, საიუბილეო და საკონკურსო 144 ღონისძიება. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან

დაფინანსდა ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიბილეო საღამო - 21.5 ათასი ლარის ოდენობით, პროექტი - „თბილისობა 2019“ მინსკში - 42.9 ათასი ლარის ოდენობით და პროექტი „115 წელი ხელნაწერებიდან გამოცემამდე“ – 4.0 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელებული 180-მდე პროექტი და 3 600-მდე მონაწილე საშუალოდ წლის განმავლობაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 171 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 4 500 მონაწილე.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 13,137.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 15,193.9 ათასი ლარის 86.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

2019 წლის გეგმა - 3,321.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,245.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები; მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 37 სპორტული ფედერაცია: ბადმინტონის, ყინულის ჰოკეის, ბეისბოლის, ძიუდოს, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ფრენბურთის, ფარიკაობის, ჯიუ-ჯიცუს, ტაეკვონდოს, აფროსნობის, მფრინავი დისკის, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, კარატეს, კრივის, მშვილდოსნობის, ფეხბურთის, ჰოკეის, სპორტული ცოცვის, ნარდის, მკლავჭიდის,

ჩერლიდინგის, საწყლოსნო სახეობების, ამერიკული ფეხბურთის, ქართული ჭიდაობის, ნიჩბოსნობის, ათლეტიზმის, ხუთჭიდისა და ტრიატლონის, ჭიდაობის, საავტომობილო, კალათბურთის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციები;

საქართველოს 34 სპორტული ფედერაცია: ჭიდაობის, ძიუდოს, კენდოს, უშუს, საავტომობილო, ჩოგბურთის, კრივის, სპორტცეკვების, პულის, გირის სპორტის, მას-რესლინგის ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესი), საქართველოს ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასთვის", უნივერსალური ორთაბრძოლების, ბუშტების ფეხბურთის, კალათბურთის, ბოდიბილდინგისა და ფიტნესის, ათლეტიზმის, საწყლოსნო, ყინულის ჰოკეის, მკლავჭიდის, სროლის, მოტოსპორტის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, სამბოს, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონის, ბეისბოლისა და სოფტბოლის, ძალოსნობის, ჰოკეის, ამერიკული ფეხბურთის, მინი გოლფის, რაგბის, ფარიკაობის, ფრენბურთის, ველოსპორტის ეროვნული ფედერაციები;

ასევე, დაფინანსდა: ა(ა)იპ "მშვიდობის თასი-საქართველო", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "არაგველები", ა(ა)იპ "თბილისი-ბასკეტი“, ა(ა)იპ პროფესიული საკალათბურთო კლუბი "მაქაბი", ა(ა)იპ "ახალგაზრდული მედია-კავშირი", ა(ა)იპ "იბერია-2016", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი", ა(ა)იპ "სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "ბავშვთა საფეხბურთო სკოლა აფხაზეთი", ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "თავისუფალი ფეხბურთი", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "დიდუბე 2014", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი აკვატიქსი", ა(ა)იპ "რაგბის კლუბი ავჭალა", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "ცხუმ-აფხაზეთი", საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია, ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "წიქარა", ა(ა)იპ "კალათბურთის სამოყვარულო ლიგა" და ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაცია";

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები,

სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, თბილისის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 258 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 47 300 - ზე მეტმა ბენეფიციარმა (მ.შ 17 300 ქალმა და 30 000 კაცმა), კერძოდ:

დაფინანსდა თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: მაგიდის ჩოგბურთში, ბატუტზე ხტომებში, სპორტულ აკრობატიკაში, სპორტულ ტანვარჯიშში, სროლაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ჭადრაკში, მშვილდოსნობაში, ჯიუ-ჯიცუში, ტაეკვონდოში, უშუში, კრივში, ქართულ ჭიდაობაში, სინქრონულ ცურვაში, ცურვაში, აფროსნობაში, საავტომობილო სპორტში, კალათბურთში, 3X3 კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფრისბიში, ათლეტიზმში, ფეხბურთში, მასრესლინგში, ხუთჭიდში, ფარიკაობაში, კარატეში, სპორტულ ცოცვაში, მკლავჭიდში, ჩერლიდინგში, ნარდში, რაგბში და ფრენბურთში;

თბილისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: კენდოში, ფარიკაობაში, კარატეში, ფეხბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში, ძიუდოში, სპორტულ აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომებში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, ამპუტანტთა ფეხბურთში, მოტოსპორტში, ტრიატლონში, კალათბურთში, 3X3 კალათბურთში, შერეულ ორთაბრძოლებში, პულში, სპორტულ ცეკვებში, კრივში, ჩოგბურთში, საავტომობილო სპორტში, უშუში, ქვიშის ფრენბურთში, მშვილდოსნობაში, ათლეტიზმში, ნიჩბოსნობაში, სროლაში, მკლავჭიდში და ჩერლიდინგში;

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: ბეისბოლში, სპორტულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ბოდიბილდინგსა და ფიტნესში;

დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: მშვილდოსნობაში, ყინულის ჰოკეიში, ჭიდაობაში, ბატუტზე ხტომაში, ქვიშის ჭიდაობაში, უშუში, ფრისბიში, ცურვაში, ძიუდოში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, კალათბურთში, ფეხბურთში,

სამბოში და ბეისბოლში. გაიმართა სახელობითი ტურნირები: ჭადრაკში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, ფეხბურთში, სპორტულ ცოცვაში, ნიჩბოსნობაში, სროლაში, ბ/რ ჭიდაობაში, ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, სამჭიდსა და ოთხჭიდში;

განხორციელდა თბილისის მშვილდოსნობის კლუბებისთვის, ძალოსანთა ნაკრები გუნდისთვის, ფეხბურთის გუნდისთვის და ამერიკული ფეხბურთის გუნდებისთვის დარბაზისა და ღია მოედნის იჯარის დაფარვა, ასევე, თბილისის ძალოსანთა ნაკრები გუნდის სავარჯიშო დარბაზის 4 თვის კომუნალური ხარჯების დაფარვა, დაფინანსდა საქართველოს ტელე-რადიო სპორტული ჟურნალისტის ჯამლეტ ხუხაშვილის სპორტული კომენტატორობის 55 წლის იუბილესთვის დარბაზის იჯარა, პროექტის „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“-ს ფარგლებში ინტეგრირებული ტურნირი ბოულინგში შშმ ჯარიკაცებისა და ვეტერანების მონაწილეობით, პროექტში "მერიასთან ერთად" ჩართული ნორჩი ფეხბურთელების "თბილისის ლიგა", "ელიტ ლიგისა" და "აფხაზეთის ფედერაციის თასის" საფეხბურთო ჩემპიონატებში მონაწილეობის საწევრო გადასახადი, პროექტში "მერიასთან ერთად" ჩართული მწვრთნელებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად B კატეგორიის ლიცენზია, ფრენბურთში თბილისის მამაკაცთა და ქალთა ნაკრები გუნდების საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის საჭირო სალიცენზიო გადასახადი, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის "ელიტ ლიგა 2005" და სფფ-ის ჩემპიონატის "რეგიონული ლიგა" მონაწილე საფეხბურთო კლუბ "დიდუბე 2014-ის" სოციალურად დაუცველი, დევნილი და შეჭირვებული ბავშვების მოედნით და ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მწვრთნელთა ფსიქოლოგიური გადამზადების ინოვაციური პროგრამა, თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა, სამოყვარულო ფეხბურთში "თბილისის ლიგა 2019", ლოპოტას გადასახვევთან "Wings For Life - World Run 2019" - მსოფლიო რბენა, 7X7 ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატი თბილისის "MASTER LEAGUE", ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მოსამზადებლად ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მონაწილეობისათვის მწვრთნელის ანაზღაურება, თბილისის ზღვაზე მდებარე ს.კ. ზესტაფონის საწვრთნელ სპორტულ ცენტრში ფეხბურთის რეალ მადრიდის საზაფხულო ბანაკი, "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში პარაპლანით ფრენის

ღონისძიება შშმ პირთა მონაწილეობით, საავტომობილო სპორტში "თბილისის თასი 2019 აღმართის დაძლევაში" I ეტაპი (Tbilisi Hill Climb Cup 2019, Stage1), თბილისის სხვადასხვა ლოკაციაზე მასობრივ-სპორტული ღონისძიებები ჭადრაკში, ტანვარჯიშში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრისბიში, სპორტულ ცოცვაში, ბუშტების ფეხბურთში, მკლავჭიდში და კალათბურთში, პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში ჯომარდობის, პეინტბოლის, მშვილდოსნობის, მეკლდეურობისა და ზიპლაინის ჩემპიონატებში და ეტლებით სპორტული ცეკვების მინიფესტივალში თბილისელი შშმ პირების მონაწილეობა, გერმანიაში ქ. ჰოფენჰაიმში ევროპის ახალგაზრდულ საწვრთნელ ბანაკში "Junior Gamp 2019" თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელთა ბავშვთა გუნდი "Junior"-ის მონაწილეობა, წიგნი "ზაზა ფაჩულია-ლეგენდა"-ს გამოცემა, "თბილისის ცურვის ფესტივალი - TBILISI SWIM FESTIVAL", "ვლადიმერ (სიომა) ბარქიას სახელობის ჩემპიონატის 2003-2004 და სფფ-ის ჩემპიონატის "რეგიონული ლიგა" მონაწილე საფეხბურთო კლუბ "დიდუბე 2014-ის" სოციალურად დაუცველი, დევნილი და შეჭირვებული ბავშვების მოედნით და ტრანსპორტით უზრუნველყოფა, თბილისის ბავშვთა საფეხბურთო გათამაშებების (ელიტ-ლიგა, თბილისის ლიგის) 2019 წლის სეზონის გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

„თბილისობა - 2019“-ის ფარგლებში სპორტული აქტივობები გაიმართა გოლფში, ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, მკლავჭიდში, სპორტულ ცოცვაში, მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში, საჩვენებელი გამოსვლები გაიმართა ტანვარჯიშში, უშუში და ტრადიციულ საბრძოლო ხელოვნებაში. ასევე, მეტეხის ხიდზე მოეწყო ავტო-გამოფენა.

თბილისელი სპორტსმენების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით უზრუნველყოფისთვის დაფინანსდა: ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "აფხაზეთი", ა(ა)იპ "თბილისის დრიფტის და დრაგის ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაცია", ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "აფხაზეთი", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "დიდუბე 2014", ა(ა)იპ "იბერია 2016", ა(ა)იპ "საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ

"საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ველოსპორტის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაცია", ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი "ცხუმ აფხაზეთი", ა(ა)იპ "საქართველოს გირის სპორტის, მას-რესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესი) ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ბადმინტონის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "რაგბის კლუბი ავჭალა", ა(ა)იპ "საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "საქართველოს ჰოკეის ფედერაცია" და ა(ა)იპ რაგბის კლუბი "წიქარა".

მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოვდა 59 თბილისელი სპორტსმენი.

ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“; კომუნალური ხარჯების დასაფარად დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსურ სპორტულ ცენტრი“ და ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“;

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2019 წლის განმავლობაში გაგრძელებისთვის დაფინანსდა: ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარება“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტულ ცენტრი იმედი“, ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსურ სპორტული ცენტრი“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიურ მზადების სპორტული ცენტრი“;

თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დასაფარად, მუხიანის რაგბის კომპლექსის სპორტსმენთათვის სპორტული კატეგორიების მიხედვით განკუთვნილი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით და სარაგბო გუნდის სპორტული სამოსით აღჭურვის უზრუნველსაყოფად დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“. ასევე, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დასაფარად დაფინანსდა ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“ და ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი“.

სპორტული ღონისძიების „მერიის თასი 2019“ და „თბილისის მერიის თასი 2019“-ის ჩასატარებლად დაფინანსდა ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“.

ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 18,2 ათასი ლარი, ა(ა)იპ - საქართველოს კინოლოგიური ფედერაციისათვის, 2019 წლის 13-14 აპრილს, ქალაქ თბილისში, ჯიშიანი ძაღლების საერთაშორისო გამოფენის ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით და ა(ა)იპ „პან-სომხური თამაშების თბილისის კომიტეტისათვის“, ქალაქ ერევანში VII პან-სომხურ ზაფხულის თამაშებში მონაწილე თბილისის გუნდის მომზადებისთვის და მონაწილეობისთვის ეკიპირებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენის მიზნით.

შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლისათვის ჩატარდა 271 სპორტული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 250 სპორტული ღონისძიების ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 258 სპორტული ღონისძიება, კერძოდ: თბილისის ღია პირველობები, ტურნირები და ჩემპიონატები - 69; თბილისის ნაკრებმა გუნდებმა და სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს: თბილისის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში და თასის გათამაშებებში საქართველოში და საზღვარგარეთ - 57, საქართველოს ჩემპიონატებში და პირველობებში - 26; სახელობით ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის გუნდებმა - 18; მოეწყო - 23 სასწავლო-საწვრთნო შეკრება; დაფინანსდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება - 65.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლისათვის დაჯილდოვდა 41 სპორტსმენი, მ.შ. 9 ქალი, 32 კაცი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება საშუალოდ 41 სპორტსმენის დაჯილდოვება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაჯილდოვდა 59 სპორტსმენი, მ.შ. 3 ქალი, 56 კაცი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის განმავლობაში სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 11 000 ქალი;

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიიღო 17 300 ქალმა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ქალთა ჩართულობით პროექტების განხორციელებაზე მაღალი მომართვიანობა.

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 2,285.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,272.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 349 მწვრთნელ - მასწავლებელს (მ.შ. კაცი - 278, ქალი - 71), რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს, ესენია: ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, ჭადრაკი, მეკლდეურობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, ბატუტზე ხტომები, ბ/რ და თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ძალოსნობა,

ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, აფროსნობა, ძიუდო, კრივი, ხელბურთი, სროლა, ველოსპორტი, რაგბი, ბეისბოლი და სოფტბოლი, ჩოგბურთი, სამბო, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, კარატე, თანამედროვე ხუთჭიდი, ფუტზალი, ბალახის ჰოკეი, მფრინავი დისკი, უშუ, ბადმინტონი, პარალიმპიური სპორტის სახეობები (პარაწოლჭიმი და პარამშვილდოსნობა), მკლავჭიდი, ხრიდოლი, კიოკუშინკაი კარატე, ფეხბურთი, პანკრატიონი, ტაეკვონდო, ამერიკული ფეხბურთი, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი და ამპუტანტთა ფეხბურთი.

შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლისათვის მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 347 მწვრთნელ – მასწავლებელი (მ.შ. 276 კაცი, 71 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 279 კაცი, 71 ქალი).

მიღწეული მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 349 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 278 კაცი, 71 ქალი).

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 56.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 12.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 22.2%-ია

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია 2016-2017 წლებში ქალაქ თბილისში დამონტაჟებული გარე-გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორების აღდგენა-შეკეთების ხარჯები.

შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2016-2017 წლებში თბილისის ტერიტორიაზე დამონტაჟდა 42 ფიტნეს-ტრენაჟორი და 2018 წლის მდგომარეობით 1 ექსტრემალური პანდუსი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით მოეწყობა 2 ახალი ექსტრემალური პანდუსი და 40 ფიტნეს-ტრენაჟორს ჩაუტარდება აღდგენა-შეკეთების სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - 25 ფიტნეს-ტრენაჟორს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2019 წელს გამოცხადდა ტენდერი 1 ლოკაციაზე ექსტრემალური პანდუსის საპროექტო დოკუმენტაციაზე, დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა 2020 წელს. 2019 წელს დაზიანდა 25 ფიტნეს ტრენაჟორი, შესაბამისად ჩატარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; სპორტული ცენტრები.

2019 წლის გეგმა - 8,018.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,124.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 76.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა; ორი ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობა; არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის (ასევე, ავანსი კომპანიისთვის,

რომელიც ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს), დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის (ასევე, ავანსი კომპანიისთვის, რომელიც ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს), ლილოს დასახლებაში არსებული სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე აუზის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის, ლადო ასათიანის ქ.N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების სამშენებლო-საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში ჭიდაობის დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოების, წყალმომარაგება-წყალანირების სამუშაოების, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების ავანსი და ელექტრო ენერგიის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების ავანსი, წყნეთში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების, იატაკის მოწყობის სამუშაოების, ელექტრო ქსელზე მიერთების და სპორტული ინვენტარით აღჭურვის ხარჯები;

შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, დაფინანსებულია ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ჩოგბურთის განვითარება და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედი“;

შენობის აზომვითი ნახაზის, დეფექტური აქტის, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირებისთვის დაფინანსდა ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედი“;

ინვენტარის შესაძენად დაფინანსდა ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“;

შენობის სავენტილაციო სისტემის აგრეგატების მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ხმაურის ჩამხშობის მოწყობისათვის, მწერებისგან დამცავი ბადეების

შესაძენად და საევაკუაციო გეგმის მოსამზადებლად დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“.

შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, 2018 წელს მომზადდა 1 მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2 მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა 6 სპორტული ობიექტის (მათ შორის 2 სპორტული ცენტრი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/ მშენებლობის მიზნით, 2018 წელს დაიწყო 2 სპორტული ობიექტის მშენებლობა (მათ შორის 1 დასრულდა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3 სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია; 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის დაწყება და 1 სპორტული ობიექტის დასრულება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაიწყო 5 სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია, მათ შორის დასრულდა 1 ობიექტი; დასრულდა 2 სპორტული ობიექტის მშენებლობა, გრძელდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის სამუშოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, 3 სპორტული ობიექტის სპორტული ინვენტარით აღჭურვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სპორტული ობიექტების სპორტული ინვენტარით აღჭურვა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2 სპორტული ობიექტი აღჭურვილია სპორტული ინვენტარით.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 363.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 352.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 34 სპორტის სახეობაში დაფინანსდა 18 წლამდე ასაკის 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (მათ შორის: ბიჭი - 148, გოგო - 93). სპორტული სახეობებია: ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ტყვიის სროლა, კრივი, ცურვა, სინქრონული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, მეკლდეურობა, ჩოგბურთი, სამბო, უშუ, კარატე, სეიბუკაი კიოკუშინ კარატე, ტაეკვონდო, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი, ველოსპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ბადმინტონი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული 240 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი,მათ შორის: 154 ვაჟი, 86 გოგონა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა და თანაბარი ხელმისაწვდომობა.

მიღწეული მაჩვენებელი - 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.148 ვაჟი, 93 გოგონა.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2019 წლის გეგმა - 1,148.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,130.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი; პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"ს ფუნქციონირების ხარჯები: ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაცო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია 231 პარასპორტსმენი და 16 მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა, ესენია: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, ფეხბურთი და პარატაეკვანდო. ასევე, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება, პარასპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ჩემპიონატებსა და ტურნირებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს პარაცენტრში 14 სახეობაში მიმდინარეობს საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართულია 208 პარასპორტსმენი, მ.შ. კაცი - 182, ქალი - 26.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 16 პარასპორტული სახეობა და 231 პარასპორტსმენი.

მიღწეული მაჩვენებელი - 15 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია 231 პარასპორტსმენი, მ.შ. 202 კაცი, 29 ქალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაიგეგმა ეტლით მოსარგებლეთა რაგბის განვითარება.

„საერთაშორისო რაგბის ფედერაციის“ მიერ შეცვლილი წესების მიხედვით, პარასპორტის ამ სახეობაში, მხოლოდ სპეციალური დიაგნოზის (ტეტრაპლეგია და კვადროპლედია) მქონე პარასპორტსმენების ჩართულობაა გათვალისწინებული. საქართველოში ამ დიაგნოზის მქონე პირების სიმცირის გამო, გუნდი ვერ შედგა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო - 36 პარასპორტსმენმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილე 34 პარასპორტსმენი, მ.შ. 30 კაცი, 4 ქალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცენტრის სამოქმედო გეგმა მთლიანად დაფუძნებულია პარასპორტის საერთაშორისო ასოციაციების და შეჯიბრებების ორგანიზატორების მიერ მოწოდებულ კალენდარზე. ასევე, მნიშვნელოვანია პარასპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამდენადაც შესაძლებელია პარასპორტმენმა ვერ მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებებში.

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 1,859.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,142.9 ათასი ლარის 86.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2019 წლის გეგმა - 1,341.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,121.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 83.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საზაფხულო ბანაკების და ლაშქრობების სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის; მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის და ხარისხის გაუმჯობესება; ახალგაზრდული ინიციატივებიs მხარდაჭერa.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: „კინო სივრცის" პროექტი - „უარყოფითი რიცხვები", რომლის მიზანი იყო კინოხელოვნებითა და კინოჩვენებებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის პოპულარიზაცია; ა(ა)იპ „აფხაზეთი-ჩემი სახლის" პროექტი - „დებიუტი"; ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების" პროექტი - "ინგლისური ენის სასაუბრო უნარების გასაუმჯობესებელი კურსი ახალგაზრდებისთვის"; სსიპ ,,სახელმწიფო ენის დეპარტამენტის" პროექტი - „14 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება", რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება სახელმწიფო ენის მნიშვნელობის შესახებ და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა ქართული ენის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში; ა(ა)იპ „ქართული სახელოვნებო სააგენტოს" პროექტი „მოსწავლე ახალგაზრდებში თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა"; ა(ა)იპ „კულტურის და განათლების ფონდის" პროექტი „თაობა 2019", რომლის მიზანი იყო კინოხელოვნებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის პროფესიული უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; ა(ა)იპ „საქართველოს კიბერსპორტის ფედერაციის" პროექტი „თბილისის თასი 2019", რომლის მიზანი იყო კიბერსპორტის განვითარება საქართველოში, ახალგაზრდა ქართველი კიბერ მოთამაშეების საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და კიბერსპორტის პროფესიონალურ დონეზე აყვანა; ა(ა)იპ „მარადმწვანე ახალგაზრდული მოძრაობის" პროექტი „შემეცნებითი-საგანმანათლებლო ტური", რომლის მიზანი იყო სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, საქართველოს შიდა ტურისტული რესურსების ათვისება და გაცნობა, მომავალი გიდების ხელშეწყობა და გადამზადება; ა(ა)იპ „თავისუფალი ცნობიერების" პროექტი „ახალგაზრდების ცნობიერება", რომლის მიზანი იყო პლატფორმის შექმნა ახალგაზრდებში, სადაც შეძლებდნენ სხვადასხვა ფორმატში მიეღოთ ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიიდან მნიშვნელოვანი ფაქტების, კულტურული ღირსშესანიშნაობების, კინო-ხელოვნების და ლიტერატურული შემოქმედების შესახებ; ა(ა)იპ „ART&SOCIETY"-ის პროექტი „საბავშვო ფესტივალი „კლასობანა",

რომლის მიზანი იყო ბავშვებისათვის საყვარელი სივრცის - ვაკის პარკის გაცოცხლება და ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, მათთვის ფერადი და მხიარული განწყობის შექმნა; ა(ა)იპ „საქართველოს თაობის“ პროექტი „ჯგუფი „მგზავრები“- ახალგაზრდებისთვის“, რომლის მიზანი იყო თბილისში მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიების ორგანიზება და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა კულტურულ-შემოქმედებით აქტივობებში, ახალგაზრდების გართობისა და დასვენების ხელშეწყობა; ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის“ პროექტი „საჯომარდო ბანაკი“, რომლის მიზანი იყო ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში და მასობრივ ღონისძიებებში ჩართულობის ხელშეწყობა, ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ორგანიზება; ა(ა)იპ „კავშირი „ადამიანი კანონი თავისუფლებას“ პროექტი „ჩვენი ეზოს თამაშები, რომლის მიზანი იყო მოზარდების ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა, ოთახის კომპიუტერული თამაშების ჩანაცვლება ჯანსაღი, ხალისიანი ეზოს თამაშებით; ა(ა)იპ „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრის“ პროექტი „ECO SHARING FEST“, რომლის მიზანი იყო შემოქმედებითი იდეების მქონე აქტიური ახალგაზრდების გაერთიანება, მათი იდეების რეალიზების, არსებული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა და ჯანსაღი, აქტიური, შემოქმედებითი ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში; ა(ა)იპ „ფონდი მოწყალე სამარიტელის“ პროექტი „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე“, პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდა ავტორების წარმოჩენა და მომავალ თაობაში ტერენტი გრანელის შემოქმედების პოპულარიზაცია; ა(ა)იპ „საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის“ პროექტი - „თბილისის ჩემპიონატი: „ფეინთბოლი-ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდასაჭერად“; ახალგაზრდული ასოციაცია დრონის პროექტი „უნარების ჰაბი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებისთვის ბანაკის ორგანიზება, რომლის ფარგლებში მოხდება მათი უნარების განვითარება ე.წ OUTDOOR საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით (ეფექტიანი კომუნიკაცია, მოლაპარაკების ხელოვნება, გუნდური მუშაობა); ა(ა)იპ „თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი“-ს პროექტი „ხელოვნების გზით 2019“, რომლის მიზანი იყო ხელოვნების გზით ახალგაზრდების სოციალური

ინტეგრაცია, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების წარმოჩენა და განვითარება; ა(ა)იპ „ფესტივალი 1862“-ის პროექტები - „ნიკო 2019 - ქუჩის ხელოვნების ფესტივალი“ და „თბილისის საბავშვო ფესტივალი 2019“; ა(ა)იპ „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი - საქართველო“-ს პროექტი „თბილისის ახალგაზრდული კონფერენცია 2019“; ა(ა)იპ „ახალი თაობის კავშირის“ პროექტი - „ხელოვნება შენს უბანში“; ა(ა)იპ „თბილისი სტარტაპ ბიურო“-ს პროექტი „Touch“; ა(ა)იპ „ფოსტა“ პროექტი „Ski Markt Tbilisi 2019 EXPO“; ა(ა)იპ „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის” პროექტი „ახალგაზრდული სტუდენტურ-თეატრთა თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბი 2019“ და სხვა. ივნისი-ივლისის პერიოდში მოძიებული იქნა კერძო სპონსორები და მათი თანადაფინანსებით განხორციელდა მასობრივი ახალაგზრდული ღონისძიებები პარკებსა და სკვერებში თბილისის რაიონებში (გლდანი, ნაძალადევი, კრწანისი, სამგორი) 4 ლოკაციაზე.

გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ – 624.9 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება, სახლის (9 ფილიალი) მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, კავშირგაბმულობის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის და ინვენტარის განახლება. ასევე, საანგარიშო პერიოდში სახლის ფილიალებში ჩატარდა არაერთი სასწავლო, შემეცნებით–განმავითარებელი, სპორტული ღონისძიება, საქველმოქმედო აქცია, ინტეგრირებული, ღია და სამოდელო მეცადინეობა, შეხვედრა – საღამო და სხვა აქტივობა.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, გრძელდება სამგორის ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდგომ 1000-მდე ახალგაზრდას გაუმჯობესდება სასწავლო პირობები და შეიქმნება უსაფრთხო გარემო. ასევე, კოჯორში 30,000 კვ.მ ფართობზე მრავალფუნქციური ახალგაზრდული სოფლის მშენებლობის მიზნით, მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მხარდაჭერილი იყო 20 ახალგაზრდული ინიციატივა, ბანაკებში და ლაშქრობებში მონაწილეობდა 1 000 ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მხარდაჭერილი იქნა 30 ახალგაზრდული ინიციატივა, ბანაკებში და ლაშქრობებში მონაწილე 1 500 ახალგაზრდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს ერთი რეაბილიტირებულია თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (ჩუღურეთის ფილიალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაცია,

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის პირველი ეტაპი.

08 08 02 თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

2019 წლის გეგმა - 801.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 737.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 92%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: არაფორმალური განათლების პროგრამა/ტრენინგცენტრი; მოხალისეთა გადამზადების პროგრამა; ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე ახალგაზრდები; პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში - ტრენინგ ცენტრის ბაზაზე, ახალგაზრდების გამოკითხვის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე

დაყრდნობით, ჩატარდა 90-მდე ტრენინგ-კურსი შემდეგ თემებზე: „ეფექტური კომუნიკაცია და პრეზენტაცია“, ,,დროის მართვა“, ,,პროექტების მართვა", „ფონდების მოძიება“, „კონფლიქტების მართვა“, „საჯარო გამოსვალა“ და ა.შ. ტრენინგ-ცენტრის ბენეფიციართა რაოდენობა - 500 ახალგაზრდა;

მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერის ფარგლებში - ცენტრმა პარტნიორ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყო სასწავლო კურსების (BE lingual), გადამზადებისა და შემოქმედებითი აქტივობები („ფორუმ თეატრები“, მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვები), ასევე, მოხალისეთა გასვლითი სკოლის ორგანიზება. პროგრამამ მოიცვა 350-ზე მეტი ახალგაზრდა;

ფონიჭალის ცენტრის სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა ყოველდღიურად მხოლოდ სასწავლო კურსებზე ჰქონდა 420-მდე ახალგაზრდას. ფონიჭალის ცენტრში სწავლა მიმდინარეობდა შემდეგ სასწავლო კურსებზე: ინგლისური ენა, ხელნაკეთი ნივთები, გრაფიკა, ხატვა და ჭადრაკი. ცენტრში სასწავლო კურსების გარდა ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობები;

პროგრამა „მერიასთან ერთად“ - ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაში ჩართული, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ახალგაზრდებზე მომუშავე გაერთიანებების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდამჭერ ღონისძიებებს აერთიანებს, ბენეფიციარებს მიეცათ სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა (ტრანსპორტი, საკონფერენციო სივრცე, ინვენტარი). პროგრამამ მოქმედება დაიწყო 2019 წლის მარტში და თბილისში მოქმედმა 50-მდე ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ, რამდენიმე ათეულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სპორტულმა ფედერაციამ და ახალგაზრდულმა ჯგუფმა განახორციელეს 70-მდე პროექტი და აქტივობა, მათ შორის: ლაშქრობები თბილისის გარშემო, უნარების ჰაბი, კიბერჩემპიონატი, ველომარათონი, ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ა.შ. პირდაპირ ბენეფიციართა რაოდენობა აღემატებოდა 15 000 ახალგაზრდას, რომლებიც უფასოდ იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობებში.

მასობრივი ღონისძებების და საზაფხულო ახალგაზრდული მიმართულების ფარგლებში, ბაზალეთის სასწავლო ცენტრში მოეწყო ბანაკი, სადაც ახალგაზრდებს ჰქონდათ ცოდნის მიღების, უნარ-ჩვევების განმტკიცების შესაძლებლობა. ასევე, მონაწილეობდნენ სპორტულ აქტივობებში. ზაფხულის ბანაკში მონაწილეობა მიიღო 250 ახალგაზრდამ, მათი მობილიზება განხორციელდა სამ ნაკადად (თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა 4 დღე). ბაზალეთის ბანაკის პარარელურად ექსტრემალური სპორტის მოყვარულებისთვის მოეწყო საჯომარდო ბანაკი ფასანაურში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე ახალგაზრდამ.

მასობრივი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასთან დაკავშირებული მასობრივი ღონისძიებები, მათ შორის „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2019“, რომელშიც მონაწილეობდა 36 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 20 000-მდე ქართველი და უცხოელი სტუდენტი. სტუდენტურ ფესტივალთან ერთად წლის განმავლობაში ცენტრის რესურსებით მოეწყო არაერთი მასობრივი კულტურულ-შემოქმედებითი ხასიათის აქტივობა და ფესტივალი „თბილისის ცის ქვეშ“, რომლის არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათას თბილისის მოქალაქეს აღემატებოდა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლის განმავლობაში ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განხორციელებული ღონისძიება/აქტივობა - 50; გადამზადდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 200 წარმომადგენელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განსახორციელებელი ღონისძიება/ააქტივობა - 80; გადამზადდება თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 500 წარმომადგენელი.

მიღწეული მაჩვენებელი - ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სივრცის დათმობა, განხორციელებული ღონისძიება/აქტივობა - 90;

გადამზადდა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 500 წარმომადგენელი

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 50 ახალგაზრდა გადამზადდა, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლეა 200 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 300 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე 400 ახალგაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 360 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით ისარგებლ 420 ახალგაზრდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 2 000 ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში მონაწილე 12 000 ახალგაზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩაერთო 15 000 ახალგაზრდა

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 382.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 329.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 86.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში კულტურული ტურიზმის ზრდა; ხელოვნების ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; შემოქმედებითი ინდუსტრიის საშუალებით, ქართული ნაწარმის პოპულარიზაცია და დარგის განვითარების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 23 პროექტი, 350-მდე ქართველი და უცხოელი ხელოვანის, 32-მდე მოწვეული

უცხოელი ექსპერტის ჩართულობით. პროგრამას „შემოქმედებითი თბილისი“ პირველად მიეცა კონკურსის სახე, შეიქმნა ელექტრონული პორტალი, სადაც სათანადო წინასწარ შემუშავებული და განსაზღვრული პირობებით, შესაძლებელი იყო საპროექტო განაცხადების განთავსება (ატვირთვა),შესაბამისი მიმართულების მიხედვით. დაფინანსებული პროექტების განხორციელების შედეგადაც შეიქმნა მნიშვნელოვანი საგამომცემლო თუ სახელოვნებო ნიმუშები. საგამომცემლო მიმართულებით - ხელშეწყობით დაიბეჭდა 11 წიგნი, აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულებით - შედგა რამდენიმე საინტერესო გამოფენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს განხორციელდა 11 სხვადასხვა პროექტი, 330-მდე ქართველი და უცხოელი ხელოვანის, 30-მდე მოწვეული უცხოელი ექსპერტის ჩართულობით საშუალოდ წლის განმავლობაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 23 პროექტი, 350-მდე ქართველი და უცხოელი ხელოვანის, 32-მდე მოწვეული უცხოელი ექსპერტის ჩართულობით.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 986.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,003.8 ათასი ლარის 98.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 98.1 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დედის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება, ფრენბურთის ტურნირი ბიჭებისთვის და გოგონებისთვის (პროექტში ჩართული იყო 180 მოსწავლე), ტურნირი ტყვიის სროლაში, 1 ივნისის, ბავშვთა დაცვის დღის

აღსანიშნავად ბავშვთა გასართობი ღონისძიება, ტურნირი ქუჩის კალათბურთში 3X3 ფიბას სტანდარტებით, ტურნირი მინი ფეხბურთში, კულა გლდანელისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რაგბის ფესტივალი, ინტელექტუალური შეჯიბრი - რა? სად? როდის?, სპორტულ-გასართობი ტურნირი სპორტის რამდენიმე სახეობაში (ბოულინგი, ბილიარდი, ფლეისთეიშენი) რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: ჩატარდება 12 ღონისძიება, მ.შ. 6 სპორტული და 6 კულტურული.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 88.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დედის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება, „ქალთა საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავი ღონისძიება, სპორტული ღონისძიების: ფრენბურთის ჩემპიონატის, კალათბურთის ტურნირის, ფეხბურთის ტურნირისა და კულტურულ-გასართობი ღონისძიების "ბოლო ზარი" ორგანიზების მომსახურება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება, კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები „თბილისობა 2019“ -ის, და „თაობათა დღის“ ორგანიზების მომსახურება, ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?" მომსახურება, საჯარო სკოლების

მოსწავლეთათვის ორგანიზებული ღონისძიების „საუბრები ხელოვნებაზე" ფარგლებში, სტუმრების (ტარიელ ხარხელაურის, ლია ლიქოკელის, კონსტანტინე ამაშუკელის, ასევე, მწერლის გურამ მეგრელიშვილის და ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელის კონსტანტინე ამაშუკელის) მოწვევის ხარჯი (თითოეულზე 250 ლარის ოდენობით), შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაწეული ხარჯი და საახალწლო ღონისძიების ორგანიზება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: ჩატარდება 12 ღონისძიება, მათ შორის 3 სპორტული და 9 კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი: ჩატარდა 19 ღონისძიება, მათ შორის 4 სპორტული და 15 კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება.

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები მათ შორის: კულტურული ღონისძიებების მიმართულებით - ,,მხიარულები, საზრიანები და გაზაფხულის დღესასწაულები 2019“, ,,ბოლო ზარი-2019-ის ორგანიზება, „ალექსანდერსდორფი - გერმანული სოფელი დიდუბეში“ ორგანიზება; ,,მე ვამაყობ შენით“ ღონისძიების ორგანიზება; ,,წინასაახალწლო ღონისძიებები 2019“-ის ორგანიზება. სპორტული ღონისძიებების მიმართულებით - „ჩოგბურთი დიდუბე“, ,,ფეხბურთი დიდუბე 2019“, „მინის ფეხბურთი დიდუბე 2019‘’, „ქუჩის

კალათბურთი დიდუბე 2019“ და „ბადმინტონის ტურნირი დიდუბე 2019“-ს ორგანიზება. ასევე, გაწეულია რაიონში ჩატარებული საფეხბურთო ტურნირების გამარჯვებულებისათვის სპორტული ფორმების შეძენის და საგანმანათლებლო პროექტში გამარჯვებული რაიონში მცხოვრები სხვადასხვა სკოლის 10 მოსწავლის დასაჯილდოვებელი სიგელების (ჩარჩოთი) ბეჭდვითი მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: ჩატარდება 12 ღონისძიება, მათ შორის 6 სპორტული და 6 კულტურული.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 99.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სპორტული ღონისძიებებები: მარათონი „ჩემი გაზაფხული 2019“, რაიონის საჯარო სკოლების გუნდებს შორის ფრენბურთის ორდღიანი ტურნირი, ქუჩის კალათბურთის ტურნირი - „ჩუღურეთის თასი ქუჩის კალათბურთში 2019“, მინი ფეხმურთის ტურნირი “ჩუღურეთის თასი 2019“ და საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის სპორტულ-ინტელექტუალური ღონისძიებების ორგანიზება. ასევე, დაფინანსდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები: „საჩუქარი დედას“, ბავშვთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება, არაგვისპირელის ქუჩაზე მდებარე სკვერში კედლების მოხატვისა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ბოტანიკურ ბაღში კულტურულ-საგანმანათლებლო

ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება, რაიონში სკვერის გახსნასთან დაკავშირებით თეატრალური, კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება, საჯარო სკოლების წარმატებული მოსწავლეებისათვის კულტურული ღონისძიების ორგანიზება და რაიონში მცხოვრები 6-11 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება;

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატრდება 13 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის 6 სპორტული და 7 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებულია 13 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის 7 კულტურული და 6 სპორტული ღონისძიება.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 96.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 93.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ფრენბურთის, ჩოგბურთის, ქუჩის კალათბურთისა და მინი ფეხბურთის ტურნირის ჩატარების ორგანიზების მომსახურების ხარჯები, 1 ივნისის ბავშვთა დღისადმი, წყნეთობის, თბილისობის და საახალწლო (მათ შორის: SOS "ბავშვთა სოფლის" აღსაზრდელებისთვის) დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ასევე დაფინანსებულია რა? სად? როდის? ტურნირის ჩატარების ორგანიზების მომსახურებისა და ცირკის ბილეთების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატრდება 13 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის 7 სპორტული, 3 კულტურული და 3 სადღესასწაულო.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებულია 11 ღონისძიება, მათ შორის: 5 სპორტული, 3 სადღესასწაულო და 3 კულტურული ღონისძიება.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 97.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ფრენბურთის, წყალბურთის, ქუჩის კალათბურთის, მინი ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ნარდის, შაშისა და ჭადრაკის ტურნირის ჩატარების ორგანიზების მომსახურება, სპორტული სასაჩუქრე ბარათების შესყიდვა, ფეხბურთის ფორმების და სპორტული პიჟამოების შესყიდვა, სატრენინგო მომსახურების შესყიდვა, „ერთი დღე გასართობ ცენტრში“, დედისა (3 მარტი) და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, „დიდგორობის“ ტრადიციული დღესასწაულის ღონისძიება, ახალი წლის ღონისძიებები, შშმ ბავშვებისათვის ცირკის ბილეთების შესყიდვა და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 15 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 20 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის: 8 სპორტული, 5 შემეცნებითი და 7 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 9 სპორტული, 2 შემეცნებითი და 7 კულტურული ღონისძიება.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 99.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რაიონის ახალგაზრდობის ჩართულობა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობისათვის სპორტული მაისურების და შორტების, წარჩინებული კურსდამთავრებულებისათვის სუვენირების შეძენის, ფრენბურთის, ქუჩის კალათბურთის, მინი ფეხბურთის ტურნირის ორგანიზების ხარჯები; მუსიკისა და პოეზიის საღამოს, საგანმანათლებლო სემინარის და გარბენი „ვაზისუბანი 2019“-ის ორგანიზების, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება-თამაშის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს განხორციელდა 8 სპორტული და 10 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 6 სპორტული და 9 კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 5 სპორტული და 7 კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიება

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი და ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების, საგანმანათლებლო, მედალოსან მოსწავლეებთან შეხვედრა-დაჯილდოვების, ძიუდოს, ფრენბურთის, თავისუფალი ჭიდაობის შეჯიბრებების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანალებლო - სპორტული აქტივობები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 9 სპორტული და 9 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 17 სხვადასხვა ღონისძიება

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 109.7 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კიკ-ბოქსინგში, მინი ფეხბურთში შვიდდღიანი ტურნირის ჩატარების ორგანიზების მომსახურება, 3 მარტს დედის დღესთან და 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურულ-გასართობი ღონისძიებები, ი. გრიშაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე გრიშაშვილის სახელობის სკვერის გახსნასთან დაკავშირებული თეატრალური, კულტურულ - გასართობი ღონისძიებები, დედამიწის დღესთან დაკავშირებით საღებავებისა და სამუშაო იარაღების (ფოცხი,

ბარი) შეძენის; 300 არაგველის ობელისკის მიმდინარე ტერიტორიაზე კრწანისობის დღესასწაულთან დაკავშირებული კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება; ვაგზლის ქ. N57ა, რუსთავის გზტკ.N257-259-261 კორპუსების მიმდინარედ სკვერის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება; გრიშაშვილის სკვერში საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსნებისთვის კულტურული ღონისძიების ჩატარება; ღონისძიების - სპორტულ-ინტელექტუალური თამაშის თემაზე - „გააცოცხლე საქართველოს ისტორია“ ორგანიზებისა და სხვა ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 9 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 9 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის 3 სპორტული და 6 კულტურული ღონისძიება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 11 კულტურულ-სპორტული ღონისძიება.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2019 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ფრენბურთის ტურნირი, ქუჩის კალათბურთის ტურნირი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიება, საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის (10-11კლასი) სპორტულ-ინტელექტუალური თამაშის - ,,მხსნელები“ ორგანიზება, მინი-ფეხბურთის ტურნირის ორგანიზება სახელწოდებით „მთაწმინდის თასი-2019“, საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის (7-8 კლასი) სპორტულ-ინტელექტუალური თამაშის - სახელწოდებით „გააერთიანე საქართველო“ ორგანიზება, ქართული

ჭიდაობის ტურნირის ორგანიზება, კულტურულ-გასართობი ღონისძიება, სახელწოდებით „ქართული განძის სადარაჯოზე-ექვთიმე თაყაიშვილი“ ორგანიზება, საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის (6-9 წელი) წინასაახალწლო ღონისძიების ორგანიზება, კიკეთის საჯარო სკოლის აღსაზრდელთათვის გასართობი მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი: ჩატრდება 10 ღონისძიება, მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული.

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2019 წლის გეგმა - 406.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ცეკვის/ბალეტის პოპულარიზაცია, მრავალფეროვანი რეპერტუარი; ქართული თანამედროვე ბალეტით დაინტერესებულ პირთა გემოვნების ამაღლება; საერთაშორისო კავშირების დამყარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, გაწეულია სამეურნეო საქონელის და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის და დარბაზის იჯარის ხარჯები. მიმდინარე პერიოდში გაიმართა თანამედროვე ბალეტის 30-მდე წარმოდგენა, 1 გასტროლი. სექტემბრიდან განახლდა საგანმანათლებლო პროგრამები: თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსები და სამოყვარულო კლასები. გარდა ამისა, ჩატარდა თანამედროვე ბალეტ „მეტამორფოზების“ და გიორგი ალექსიძის

ქორეოგრაფიის აღდგენითი სადადგმო რეპეტიციები, მოწვეული პედაგოგის ეშლი ჩენის მიერ ჩატარდა გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ მოცეკვავეებისა და სტუდენტებისათვის კანინგემის ცეკვის ტექნიკის კლასები და რეპერტუარის ვორკშოპი; შედგა თანამშრომლობა მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე ცეკვის ერთ-ერთ უმსხვილეს და ავტორიტეტულ ფონდთან - მერს კანინგემის ფონდი ამერიკაში; დაიგეგმა თანამშრომლობა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბრიტანელი ქორეოგრაფის უეინ მაკგრეგორის ლონდონის თანამედროვე სახელოვნებო სივრცესთან Studio Wayne McGregor; მომზადდა უნიკალური ვიდეო არქივი მარიამ ალექსიძის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში თანამედროვე ქორეოგრაფიაში შეტანილი წვლილისა და განვითარების შესახებ; დასმა გააცოცხლა გიორგი ალექსიძის ორი გამორჩეული და საეტაპო დადგმა, რითაც გიორგი ალექსიძის 80 წლის საიუბილეო სეზონის აღნიშვნა დაიწყო.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს განხორციელდა 35-მდე სხვადასხვა პროექტი, ვიზიტორების რაოდენობა 7 000-მდე, გასტროლი - 3.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 30-მდე სხვადასხვა პროექტი, ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ 4 000-მდე, გასტროლი - 1.

08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა - 145.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 140.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა; შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მონაწილეობა და მათი მაქსიმალური ჩართულობა პროექტებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 18 პროექტი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა ჟურნალ სინათლის გამოცემა - 22.0 ათასი ლარის ოდენობით და უსინათლო მუსიკოსთა კონცერტი რეჯიოკალაბრიაში - 5.5 ათასი ლარის ოდენობით.


მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს განხორციელდა 13 პროექტი, 130-მდე შშმ პირის ჩართულობით საშუალოდ წლის განვალობაში


დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა


მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 18 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 140 - მდე შშმ პირი

❖ **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**



ათასი ლარი





09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

2019 წლის გეგმა 473.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 467.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაცული მუნიციპალური ქონება; ვიდეო სათვალთვალო სისტემების დანერგვა-განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვას და ვანდალიზმის პრევენციის გაძლიერებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის

მუნიციპალიტეტის ობიექტებში (საწყობები, სხვადასხვა მუნიციპალური შენობები), თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ბაღებში, პარკებსა და სკვერებში ერთიანი ვიდეო სათვალთვალო სისტემებით დამონტაჟების (შეძენილი და დამონტაჟებული იქნა 150 ცალი ვიდეო კამერა) ხარჯები;

ერთიანი ვიდეო სათვალთვალო სისტემის უკეთ მუშაობის მიზნით, მოეწყო ინფრასტრუქტურა: შეძენილი იქნა სერვერი, პერსონალური კომპიუტერები, ვიდეო ჩამწერი მოწყობილობების მყარი დისკები, კონდენციონერები, ქსელის ბარათი, სასერვერო კარადის კვების დისტრიბუციის სისტემის და უწყვეტი კვების წყარო;

თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებების და საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის ხარჯები (24 საათიანი მორიგეობისათვის).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წელს დაცულია 50 მუნიციპალური ობიექტი;

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაცული 64 მუნიციპალური ობიექტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების მომართვის საფუძველზე გაიზარდა ობიექტების რაოდენობა

2.საბაზისო მაჩვენებელი - სამეთვალყურეო სისტემის უკეთ მუშაობის მიზნით მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, მათ შორის სერვერების მყარი დისკებით გაძლიერება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სერვერების გასაძლიერებლად შეძენილი იქნება 28 ცალი მყარი დისკი, მოეწყობა სამეთვალყურეო სისტემის ინფრასტრუქტურა.

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილია ვიდეო ჩამწერი მოწყობილობის 28 ცალი მყარი დისკი, პერსონალური კომპიუტერები, კონდენციონერები, ქსელის ბარათი, სასერვერო კარადის კვების დისტრიბუციის სისტემის და უწყვეტი კვების წყარო.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ვიდეო სათვალთვალო სისტემების გაძლიერების მიზნით, ქსელში ჩართული კამერების რაოდენობაა 400 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩართული იქნება 250 ცალი კამერა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამატებით ჩაირთო 150 ცალი კამერა.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სამსახურებს შორის მიმდინარეობდა კონსულტაცია, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე სამარშუტო სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილ მოძრაობის სპეციალურ ზოლებში (BUS LANE) ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებისათვის კამერების შეძენის სხვა სამსახურის კომპეტენციაში გადასვლასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია დაგეგმილ და საბოლოო შედეგს შორის განსხვავება.

09 02 ცხოველთა მონიტორინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3,411.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3,408.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ია და 2018 წლის შესრულების მაჩვენებელზე 88.8 ათასი ლარით მეტია, გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.5%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 4.4%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 57978 შეტყობინება, მათ შორის 55664 შეტყობინება სატელეფონო, ხოლო 2314 წერილობით. აღნიშნულ შეტყობინებებზე განხორციელდა 14681 რეაგირება, რის შედეგადაც დაჭერილია 8275 ცხოველი და 457 ქვეწარმავალი, რომლებიც შემდგომ გაშვებული იყვნენ ბუნებრივ არეალში, ხოლო 10079 ცხოველი გადაყვანილი იქნა მუნიციპალურ თავშესაფარში. საანგარიშო პერიოდში ცხოველებს ჩაუტარდა 5618 ოპერაცია, მ.შ. 3206 სტერილიზაცია, 2259 კასტრაცია და 153 სხვადასხვა სახის ოპერაცია. მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 706 ცხოველი, მიეკედლა 1555 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა 174 ცხოველი, ბუნებრივ არეალში გაშვებულ იქნა 4675 ცხოველი და სხვადასხვა თავშესაფრებში დაბრუნდა 111 ცხოველი. ევთანაზია ჩაუტარდა 1679 ცხოველს;

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომლების მიერ გამოვლენილი იქნა 511 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, საჯარიმო სანქციის თანხამ შეადგინა 4.7 ათასი ლარი. ფასიანი მომსახურეობის ფარგლებში განხორციელდა ცხოველის 459 - იდენტიფიკაცია, 368 - ტრანსპორტირება, 497 - დაჭერა-გაყვანა, ვეტერინარული მომსახურეობა - 28. მაისი-ივნისის პერიოდში ქვეწარმავლების დამაფრთხობელი ღონისძიებების ფარგლებში - რეპელენტით შეიწამლა 170 ობიექტი, შეწამლული ტერიტორიების

საერთო ფართობმა შეადგინა 757730 კვ.მ. გაწეული ფასიანი მომსახურეობის შემოსავალმა საკუთარი სახსრების სახით შეადგინა 36.0 ათასი ლარი. ჩატარდა 396 სამაშველო ოპერაცია, რის შედეგადაც გადარჩენილია 450-მდე ცხოველი, ხოლო 5493 ცხოველს ჩაუტარდა ანტირაბიული ვაქცინაცია; სააგენტომ, ქალაქის მასშტაბით, მიუსაფარ ძაღლებს 25 ხის სახლი დაუდგა. თავშესაფრის ტერიტორიაზე ჩატარდა შიდა და გარე ვოლიერების, საოპერაციო ოთახის, საკანალიზაციო სისტემის კაპიტალური რემონტი, შესყიდული იქნა სამი ცალი ვენდინგმანქანა და სხვა.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 13,504.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 13,380.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.1%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 6,125.2 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 5,802.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 232.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 866.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 354.3 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 57,352.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა


დაფინანსებამ - 56,189.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 29,792.2 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 20,215.0 ათასი ლარი, გრანტები - 2.6 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 725.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 994.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 4,459.4 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (10 02) დაფინანსებულია 16,329.8 ათასი ლარით; საფინანსო საქალაქო სამსახური (10 03) – 1,255.8 ათასი ლარით (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და პროცესის ხარჯები - 332.3 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (10 04) – 692.5 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (10 06) – 729.8 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (10 07) – 5,593.8 ათასი ლარით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (10 08) – 1,017.4 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (10 09) – 570.3 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (10 10) – 1,274.4 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (10 12) – 1,544.2 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (10 13) – 5,980.1 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (10 37) – 761.2 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (10 43) – 1,219.6 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (10 44) – 814.1 ათასი ლარი, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური (10 45) – 796.6 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (10 27) – 1,997.4 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (10 28) – 1,986.5 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (10 29) – 1,593.0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (10 30) – 1,504.7 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (10 31) – 1,756.9 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (10 32) – 1,617.9 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (10 33) – 1,834.6 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (10 34) – 1,740.1 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (10 35) – 1,649.5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (10 36) – 1,929.1 ათასი ლარი.

10.20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,990.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა

შესრულებამ 1,588.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.8% და 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 256.3 ათასი ლარით ნაკლებია, რაც გამოწვეულია ადმინისტრაციული ხარჯების (მათ შორის შტატის შემცირება) შემცირებით. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 79.8%.


(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: 12 თვეში სულ შემოსულია: 31 012 განცხადება, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2018 წელი - 37 000) შედარებით 5 988-ით ნაკლებია. მშენებლობის ნებართვაზე (ყველა სტადიის და ქმედების) შემოსული 11 600 განცხადებიდან, მშენებლობის ნებართვა გაცემულია 5 446 განაცხადზე, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 392-ით მეტია (2018 წელი - 5 054).

10.21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,042.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,001.6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 96.1% და 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 73.6 ათასი ლარით ნაკლებია. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.1%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სააგენტომ საკუთარი სახსრების ფარგლებში დაიწყო თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების აზომვა-აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის ფორმირება GIS პროგრამაში. საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის პირველი ეტაპი (მომსახურების შესყიდვა განხორციელდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან), რაზედაც გადარიცხულია 680,0 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის და სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე